ანატოლი ჩეხოევი: „შევარდნაძე, თავის გადასარჩენად, საქართველოს ოთხთა კავშირში შემოიყვანს„ A2

მათხოვრობით შენარჩუნებული ძალაუფლება A3

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 10 მარტი, 2003 წელი. №67 (279)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ოღონდ ნუ იქნება მინიმალური ხელფასი 115-ლარიანი და...

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილება, შესაძლოა, მკვდრადშობილი აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, სახელისუფლებო ფრაქციები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რათა 28 თებერვალს მიღებული კანონი საერთოდ გაუქმდეს. პროსამთავრობო ძალები მზად არიან, მიზნის მისაღწევად ფრიად საშიშ და უპრეცედენტო გადაწყვეტილებებზეც წავიდნენ.

A2

## ეკონომიკა

### საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროგრამა ივნისში დამტკიცდება

ამჟამად საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ადამიანების რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის 14 პროცენტს, ხოლო სიღარიბის ზღვარზე მყოფ ადამიანთა რიცხვი მოსახლეობის 52 პროცენტს შეადგენს.

A4

## უცხოეთი

### ვაშინგტონი ახალი რეზოლუციის გასატანად ემზადება

შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა ერაყს განიარაღების ბოლო ვადად 17 მარტი დაუთქვეს. მათი თქმით, თუ ერაყმა ამ დღემდე გაერო-ს ყველა მოთხოვნა არ შეასრულა, ომი გარდაუვალი იქნება. ინსპექტორთა ხელმძღვანელი ჰანს ბლიქსი კი აცხადებს, რომ ამისათვის რამდენიმე თვეა საჭირო.

A5

## საზოგადოება

### დათმობენ თუ არა უმაღლესი სასწავლებლები სახელმწიფო გამოცდებს?

იურისტის კვალიფიკაციის დიპლომი შესაბამისმა სამინისტრომ უნდა გასცეს - ასეთია გერმანიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ბევერის დორფის რეკომენდაცია. ასეთი საგამოცდო სისტემა უკვე რამდენიმე წელია გერმანიაშიც მოქმედებს, თუმცა დიპლომს კურსადმთავრებულთა მხოლოდ სამოცი პროცენტი ღებულობს.

A6

## სამართალი

### ადამიანების გატაცებებში ქალებიც მონაწილეობდნენ

პანკისის ხეობაში, ბოლო დროს 10 დაკავებულს შორის ერთი ქალია. მას გასულ წლებში მომხდარ რამდენიმე გატაცებასთან უშუალო კავშირი ბრალდება.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | წვიმა |
| ქუთაისი | 11 | წვიმა |
| ბათუმი | 8 | წვიმა |
| სოხუმი | 8 | წვიმა |
| ფოთი | 9 | წვიმა |
| თელავი | 9 | წვიმა |
| ზუგდიდი | 10 | წვიმა |
| გორი | 6 | თოვლი |
| ახმეტა | 9 | წვიმა |
| ჭიათურა | 7 | წვიმა |
| გაგრა | 7 | თოვლი |
| სამტრედია | 10 | წვიმა |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1601 |
| ევრო | 2.3670 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4609 |
| რუბლი | 0.0684 |

# რეპორტაჟი პანკისის ხეობიდან




პანკისში უკვე არაერთი არაბული წარწერა გაჩნდა.

ინგა ალავიძე

*რა ხდება პანკისის ხეობაში? - ეს შეკითხვა დღესაც, პანკისის ხეობის პრობლემის შექმნიდან მეოთხე წელს, ძალიან აქტუალურია. გასული კვირის წამყვანი თემაც სწორედ ხეობაში დაწყებული ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის ახალი ფაზა გახდა.*

ზუსტად ერთი წლის წინ სამართალდამცველთათვის ხელმიუწვდომელი ხეობა ახლა პოლიციის, შინაგანი ჯარისა და უშიშროების სამსახურის "ტყვეობაშია". ხეობის შესასვლელს, რომელიც ამ სამივე უწყებისა და კიდევ, თავდაცვის სამინისტროს შენაერთებს აქვთ გადაკეტილი, უცხო პირი ვერ გადალახავს. სოფელ მატანში, ანუ ხეობის შესასვლელში, სადაც, როგორც გვითხრეს, წინა წლებში თეთრი ფერის დროშა ფრიალებდა ნახევარმთვარის გამოსახულებით, ახლა ქართველ ძალოვანთა პირველი საგუშაგოა გახსნილი და, ადგილობრივი მაცხოვრებლების გარდა, საგუშაგოს გადალახვის უფლება არავის აქვს. ხეობაში შესასვლელად სპეციალური ნებართვაა საჭირო, რომელიც ძალზე იშვიათ შემთხვევებში გაიცემა. განსაკუთრებული სიმკაცრე ხეობაში ჟურნალისტების შესვლაზეა დაწესებული. სპეცსაშვს კახეთის პოლიციის სამმართველოს უფროსი ზურაბ ტუშური იძლევა, ოღონდ, "მოსალოდნელი ექსცესების" თავიდან აცილების მიზნით, ოპერაციის ხელმძღვანელის - შს მინისტრის თანხმობის შემდეგ.

გაგრძელება A8 გვერდზე

## აფიორა ენერგოსექტორში - გასამართლებულია მხოლოდ შემსრულებელი

*საქართველოში ენერგეტიკის სფერო რომ სარფიანი გარიგებებისა და ფულის კეთების წყაროა, ეს ახალი ამბავი აღარ არის. ამ სფეროთი ნელ-ნელა სამართალდამცველი ორგანოებიც ინტერესდებიან. იმერეთის საოლქო პროკურატურამ ფირმა "ევროპის" საქმიანობა შეისწავლა და აღმოჩნდა, რომ მარტო აღნიშნულ ფირმას, თაღლითური გზით, სახელმწიფოს ენერგოსექტორიდან 2 მილიონი ლარი აქვს მითვისებული. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ასეთი ფირმები საქართველოში მრავლად მოქმედებენ. იმერეთის ოლქის პროკურატურამ ერთ-ერთი მათგანი გამოავლინა. რამდენიმე დღის წინ, ჭიათურის სასამართლომ "ევროპის" მეპატრონეს 7 წლით პატიმრობა მიუსაჯა.*

ბექა სისაური,
*ქუთაისი*

ფირმა "ევროპა" 1997 წელს დაარსდა და მისი დამფუძნებელი გიორგი ნინიკაშვილი იყო. აღნიშნულ ფირმას, დაარსებიდან 2 წლის განმავლობაში, არანაირი ოპერაციები არ უწარმოებია. 1999 წლიდან კი, იგი უეცრად გააქტიურდა და ორი მიმართულებით დაიწყო მუშაობა. გამოძიებით დადგინდა, რომ ამ პერიოდიდან, ნინიკაშვილი მეორადი სილიკომანგანუმის (წიდის) რეალიზებას, ენერგეტიკის სფეროში ვალების დათმობის ხელშეკრულებების გაფორმებას და აღნიშნული გზებით მიღებული თანხების თაღლითური გზით მითვისებას ეწეოდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## მთავრობას ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების შანსი აღარ აქვს

სოფიკო ოხანაშვილი

**"იანვარ-თებერვლის მონაცემებმა აჩვენა, რომ მთავრობა ცენტრალური ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმას ვერ შეასრულებს, ამის არანაირი შანსი აღარ არსებობს",** - განაცხადეს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა. მათ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მთავრობამ იანვარ-თებერვალში შემოსავლებისა და გრანტების ნაწილში კვარტალური გეგმის (რომელიც 186,4 მილიონ ლარს შეადგენს) მხოლოდ 43 პროცენტი შეასრულა. 57 პროცენტის შესასრულებლად, ანუ დაახლოებით 105,3 მილიონი ლარის ამოსაღებად მთავრობას მხოლოდ მარტის თვეღა დარჩა. ერთი თვის განმავლობაში გეგმის ნახევარზე მეტის შესრულებას, ახალგაზრდა ეკონომისტები, მთავრობისთვის კარგად ნაცნობი და არაერთხელ აპრობირებული ხრიკების მეშვეობითაც კი, შეუძლებლად მიიჩნევენ. **"ხმამაღლა ამბობენ, ადმინისტრაცია უნდა დავხვეწოთ და გავაუმჯობესოთო. არადა ყველაფერი, რასაც აკეთებენ მათი სიტყვების საპირისპიროს ამტკიცებს. ქვეყანა ამ მექანიზმით და ამ გაქანებით შორს ვერ წავა. მალე აღმოვჩნდებით კრიზისის წინაშე, რაც იმას ნიშნავს, რომ კვლავ იქნება გაუცემელი ხელფასები, პენსიები, რაც საბოლოოდ სოციალურ აფეთქებამდე მიგვიყვანს",** - განაცხადა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრმა თემურ მიმინოშვილმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## გარიგება - მძიმე პოლიტიკური ტვირთი

თამარ ხორბალაძე

*უახლოეს პერიოდში, საქართველოს პარლამენტს მოუწევს მსჯელობა თავისუფალი ეკონომიკური ზონების (იგივე სპეციალური ეკონომიკური ზონების) შესახებ კანონპროექტის თაობაზე. „აღორძინებამ" ამ მიმართულებით უკვე საკმაოდ სერიოზული სამუშაო ჩაატარა როგორც საზოგადოებრივი, ისე საპარლამენტო მხარდაჭერის მოპოვების თვალსაზრისით. ძალზე მნიშვნელოვანია შეთანხმება „გაერთიანებულ დემოკრატებთან", რომლებმაც მინიმალური ხელფასის კენჭისყრაში მხარდაჭერის სანაცვლოდ, ხმა უნდა მისცენ თეზ-ის კანონპროექტს.*

„გაერთიანებული დემოკრატები" არ შეიძლება არ აცნობიერებდნენ, რომ „აღორძინების" მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის საწინააღმდეგოდ, არსებობს სერიოზული არგუმენტები, რომლებიც სწორედ ოპოზიციურმა გაერთიანებამ (რასაკვირველია, „დემოკრატების" მონაწილეობით) ჩამოაყალიბა.

დღეს საშუალება გვაქვს, შემოგთავაზოთ ფრაგმენტები დასკვნიდან, რომელიც ამ კანონპროექტთან დაკავშირებით ოპოზიციის რიგებში მომზადდა.

**„ამ საკითხის ირგვლივ საუბრისას (დისკუსიისას) პასუხი უნდა გაეცეს ორ ძირითად კითხვას: 1) ვართ თუ არა დღეს მზად სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნისათვის? 2) კონკრეტულად რა პრობლემას გადაჭრის ზონების შექმნა და შეიძლება თუ არა მათ გარეშე ამ პრობლემების მოგვარება?**

**სადავო არ უნდა იყოს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სისტემა ჯერ კიდევ მყიფეა. მისი ინსტიტუტები არ არის სრულყოფილი ფორმით ჩამოყალიბებული. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, კონსტიტუციითაც კი არ არის კონკრეტულად განსაზღვრული, თუ როგორი ტერიტორიული მოწყობის ფორმას აირჩევს საქართველო მომავალი განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სისტემა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია...**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ათიათასობით დემონსტრანტი კუჩმას გადადგომას მოითხოვს

კვირას ათიათასობით უკრაინელი შეიკრიბა კიევში და პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას გადადგომა მოითხოვა. გუშინდელი მიტინგი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ყველაზე დიდი საპროტესტო აქცია იყო.

დაახლოებით, 30 000 მომიტინგე, სტუდენტებით დაწყებული და პენსიონერებით დამთავრებული, კიევის ქუჩებში დადიოდა და გაჰყვიროდა: "წადი, კუჩმა!" და "უარი კუჩმას რეჟიმს!" მომიტინგეებს უკრაინისეროვნული დროშები ეჭირათ.

"დღეს ჩვენ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ უკრაინა განსაცდელშია. ხელისუფლება კორუმპირებულია. ისინი უკრაინაში თავისუფლებასა და დემოკრატიას კლავენ", - განაცხადა ვიქტორ იუშჩენკომ, უკრაინის ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური პარტიის -"ჩვენი უკრაინას" ლიდერმა.

"უკრაინის გადასარჩენად ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და დემოკრატიული პოლიტიკური რეფორმა განვახორციელოთ", - განუცხადა იუშჩენკომ ტარას შევჩენკოს ძეგლთან შეკრებილ ხალხს.

ოპოზიციური პარტიები კუჩმას კორუფციასა და ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობაში ადანაშაულებენ. მათი თქმით, კუჩმა მისი მოწინააღმდეგე პოლიტიკოსების მიმართ "ტერორისტულ კამპანიას" ახორციელებს.

გაგრძელება A5 გვერდზე



REUTERS

ბლოკ "ჩვენი უკრაინის" ლიდერი ვიქტორ იუშენკო.

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პრობლემა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## სოჭის შეხვედრამ, უფრო კითხვის ნიშნები გააჩინა

სოჭის შეხვედრამ, თბილისშიც და სოხუმშიც, უფრო კითხვის ნიშნები გააჩინა, ვიდრე - ოპტიმიზმის გრძნობა. სამაგიეროდ მას საკმაოდ აღტაცებული გამოხმაურება მოჰყვა რუსულ მედიაში. საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" თავმჯდომარემ გივი ლომინაძემ კი გუშინ „ინტერ-პრესს" განუცხადა, რომ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ორმხრივ შეხვედრებს მიესალმება, თუმცა 6-7 მარტს სოჭში გამართული შევარდნაძე-პუტინის მოლაპარაკებების შედეგებით **"ზედმეტი აღტაცების მიზეზს"** ვერ ხედავს და, აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე, სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას დაუშვებლად მიიჩნევს.

გივი ლომინაძე „შეურაცხყოფად" მიიჩნევს მტკიცებას იმის შესახებ, რომ სოჭი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალი ქართული მხარისთვის სარგებლიანი იქნება. ამასთან, მისთვის გაურკვეველი რჩება, რკინიგზის ამოქმედების სინქრონულად, სად უნდა დაბრუნდნენ დევნილები ღირსეულად.

**"ღირსეულად სად ბრუნდებიან დევნილები - აფხაზური ხელისუფლების ჭერქვეშ, რუსეთის სამხედროების დაქვემდებარებაში, თუ საუბარია საერთაშორისო სტრუქტურების ეგიდით შექმნილ ერთობლივ ქართულ-აფხაზურ ადმინისტრაციაზე?!"** - განაცხადა ლომინაძემ.

მისი აზრით, მტკიცება იმისა, რომ სოჭში გამართულმა განხილვამ გარდატეხა შეიტანა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, ნაადრევია, ვინაიდან **„აფხაზეთის საკითხზე მიღწეულ შეთანხმებებთან დაკავშირებით ხელისუფლებას უამრავ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა".**

ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარე რუსეთის პრეზიდენტის დონეზე გახმოვანებულ მოსაზრებას, დევნილთა, პირველ რიგში, გალის რაიონში დაბრუნების თაობაზე, საეჭვო მინიშნებად აფასებს.

ამ განცხადებაში თავისთავად უცნაური არაფერია, მაგრამ...

**„რატომ არ საუბრობენ დევნილთა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე დაბრუნებაზე? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ რუსეთის ხელისუფლება ქართველი დევნილების დაბრუნებას მხოლოდ გალის რაიონში ვარაუდობს?!"** - კითხულობს ლომინაძე, რომელიც სოჭი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედებას, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირესთან - სომხეთთან კავშირ-ურთიერთობების აღდგენის სურვილს უკავშირებს, რასაც, თავისთავად, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში ქართული მხარის ინტერესების გათვალისწინებასთან საერთო არაფერი აქვს.

*"24 საათი"*

## დაისვა თუ არა სოჭში, ჩეჩნების სამშობლოში დაბრუნების საკითხი

საქართველოში მოქმედი ჩეჩნეთიდან დევნილთა საქმეების საზოგადოებრივი კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ისლამ საიდაევი დარწმუნებულია, რომ რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების ვლადიმირ პუტინისა და ედუარდ შევარდნაძის სოჭში, 7 მარტს გამართულ შეხვედრაზე, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხის პარალელურად, ჩეჩნეთის თემატიკასაც შეეხნენ, კერძოდ, საუბარია პანკისის ხეობიდან – დევნილთა სამშობლოში დაბრუნებაზე.

როგორც პრაიმ-ნიუსს ისლამ საიდაევმა უთხრა, ადრე, ედუარდ შევარდნაძისა და საქართველოში რუსეთის ელჩ ვლადიმერ ჩხიკვიშვილის მოლაპარაკებებზე, ეს საკითხი რუსმა დიპლომატმა წამოსწია, თუმცა საქმე ამ წერტილს არ გასცდენია.

რუსეთის მხრიდან ამ მიმართულებით არანაირი ინიციატივა არ დაფიქსირებულა, - აღნიშნა მან.

ამასთან, ისლამ საიდაევის აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ სოჭის შეხვედრის შემდეგ, რუსეთი ჩეჩნეთიდან დევნილებთან კონტაქტზე გასვლას შეეცადოს, რაც მათი დაბრუნების საკითხებს შეეხება.

მისი განცხადებით, ჩეჩნეთიდან დევნილები ასეთი დიალოგისათვის მზად არიან.

საიდაევის თქმით, შესაძლებელია, რომ ყველას არ გაუჩნდეს სამშობლოში დაბრუნების სურვილი, რამდენადაც ჩეჩნეთში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს.

იგი დარწმუნებულია, რომ რუსეთი ჩეჩენთა დასაბრუნებლად ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას არ შეეცდება და ეს პროცესი სამართლებრივი ნორმების დაცვით უნდა წარიმართოს, რამდენადაც დევნილებს ოფიციალური სტატუსი გააჩნიათ, რომელიც გაეროს დევნილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოს მიერაა გაცემული, ამდენად, სწორედ მათი გადასაწყვეტია ლტოლვილთა დარჩენა-არდარჩენის საკითხი.

რაც შეეხება საქართველოდან, ჩეჩნეთიდან დევნილთა მესამე ქვეყნებში გადასვლას, ისლამ საიდაევმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით, რუსეთზე ბევრია დამოკიდებული.

დასავლეთის რიგმა სახელმწიფოებმა გარკვეულ მომენტში მზადყოფნა გამოთქვეს ჩეჩენთა მიღებაზე, თუმცა მოცემული თვალსაზრისით, რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამთ, რამდენადაც დასავლეთში ჯერ კიდევ რუსეთის მოსაზრებებს ითვალისწინებენ, რომელიც ასეთ ქმედებებს არ მიესალმება, - თქვა მან.

*პრაიმ-ნიუსი*

## „ნაციონალები" პრეზიდენტის რადიოინტერვიუს „საპასუხოდ"

დღეიდან "ნაციონალური მოძრაობა" ახალ ტრადიციას ამკვიდრებს – ამიერიდან საქართველოს პრეზიდენტის რადიოინტერვიუს დეტალებში განიხილავენ და სიტყვასიტყვით შეისწავლიან "ნაციონალური მოძრაობის" წევრები და რადიოინტერვიუს ეთერში გასვლიდან სულ რაღაც ოთხიოდე საათში, სპეციალურად ამ მიზნით გამართულ პრესკონფერენციაზე, მის "თემატურ" ანალიზს შესთავაზებენ ჟურნალისტებს.

მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ დაზუსტებით არ იციან, რას და რაზე ისაუბრებს საქართველოს პრეზიდენტი, კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური დარწმუნებულნი გახლავან, რომ ახლაც და მომავალშიც პოლიტიკური საკბილოს პოვნა პრეზიდენტის მსგავს გამოსვლებში არ გაუძნელდებათ. მეტიც – "ნაციონალები" გუშინ უკვე გვაიმედებდნენ, რომ დღევანდელი პრესკონფერენცია მეტად მწვავე და საინტერესო იქნება.

*"24 საათი"*

## რუსთავი იცლება

რუსთავის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით, გასულ წელს ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა, ბუნებრივი მატების გზით, 27 ერთეულით გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალშობილთა რაოდენობა გარდაცვლილებისას მხოლოდ 27-ით სჭარბობდა. ასეთი მონაცემები 100 000-იანი რუსთავისათვის კატასტროფად შეიძლება ჩაითვალოს. ბოლო ათი-თორმეტი წლის მანძილზე ყველაზე სახარბიელო მაჩვენებელი რუსთავს 1990 წელს ჰქონდა, როცა ქალაქში 3026 ბავშვი დაიბადა. მას შემდეგ, ყოველწლიურად, ეს მაჩვენებელი ასეულებით მცირდებოდა და გასულ წელს 900-მდე დავიდა. სამაგიეროდ სტაბილურობას ინარჩუნებს გარდაცვლილთა რაოდენობა რუსთავში და ის წელიწადში 800-დან 900 კაცამდე მერყეობს.

2002 წელს რუსთავი 419-მა ადამიანმა დატოვა, ხოლო საცხოვრებლად 194 შემოვიდა, ანუ ამ მხრივ რუსთავის მოსახლეობა 225 ერთეულით შემცირდა. ჯერ კიდევ 1989 წელს მოსულთა რაოდენობა სჭარბობდა წასულებისას. 1991 წელს ქალაქი 6053 რუსთაველმა დატოვა. ეს ტენდენცია 92-93 წლებშიც გაგრძელდა და წასულთა რაოდენობამ 8 ათასზე მეტი შეადგინა.

რუსთავის სტატისტიკის სამმართველოს უფროსის ნაირა ლოლაშვილის ინფორმაციით, მისი სამსახურის მონაცემები, შეძლებისდაგვარად, ზუსტია.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი**. "საქართველოს სახალხო-პატრიოტული კავშირის" 5 კაციანი დელეგაცია 15 მარტს მონაწილეობას მიიღებს რუსეთისა და ბელორუსის ხალხთა ყრილობაში, რომელიც მოსკოვში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი გიორგი ბარამიძე აცხადებს, რომ შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ, ხელისუფლება და მისი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალები, შესაძლოა, "აღორძინების კავშირთან" გარიგებაზე წავიდნენ, რაც თავის მხრივ, 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზეც დაფიქსირდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფი 28-29 მარტს, თბილისში დებატებს გამართავს თემაზე - "კულტურის სამინისტროს როლი პოლიტიკაში**". პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოდის შვეიცარიის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა კურატორი, გენერალ-მაიორი იოზეფ შერლი უხელმძღვანელებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების არმიათა შეიარაღება ერთიან საქართველოს ეკუთვნის," - განაცხადა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა.

მისი თქმით, ევროპაში ჩვეულბრივი შეიარაღებული ძალების შესახებ შეთანხმების მოთხოვნათა თანახმად, "საქართველოს კიდევ გააჩნია გარკვეული ლუფტი და კვოტები ჯერ კიდევ ბოლომდე შევსებული არაა, ამდენად, სეპარატისტთა შეიარაღებაზე არსებული ტექნიკა ამ ლუფტში ჯდება". **პრაიმ-ნიუსი**

## ანატოლი ჩეხოევი: „შევარდნაძე, თავის გადასარჩენად, საქართველოს ოთხთა კავშირში შემოიყვანს"




*პუტინი შევარდნაძეს ახალ სსრკ-ში ეპატიჟება.*

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

*რუსეთის პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ანატოლი ჩეხოევი, "24 სათისათვის" მიცემულ ინტერვიუში, კომიტეტის თავმჯდომარეობიდან ბორის პასტუხოვის გათავისუფლებას სოჭში პუტინ-შევარდნაძის შეხვედრას უკავშირებს.*

**- რა მოხდა დსთ-ს საქმეთა კომიტეტში? რამ განაპირობა ბორის პასტუხოვის წასვლა და რას ნიშნავს ამ პოსტზე დღეს ანდრეი კაკოშინის მოყვანა?**

- ჯერ, ეს საკადრო ცვლილება, ჩვენს კომიტეტს არ განუხილავს, ისევე, როგორც ახალი თავმჯდომარის კანდიდატურა, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ბორის პასტუხოვი ყველა ნაბიჯს პრეზიდენტს უთანხმებდა და უთანხმებს. იქნება ისე, როგორც ამას ვლადიმირ პუტინი იტყვის, ეს ეხება ახალი თავმჯდომარის კანდიდატურასაც. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი განწყობითაა დღეიდან რუსეთის პრეზიდენტი საქართველოსადმი. დსთ-ს საქმეთა კომიტეტში საქართველოს საკითხები მე მიმყავდა და მე წავიყვან, არაობიექტურობას კი ვერავინ დამაბრალებს. ანდრეი კაკოშინი, როგორც კომიტეტის თავმჯდომარე, ბევრს ვერაფერს გადაწყვეტს, რადგანაც აქ არიან კომპარტიის წამრომადგენლებიც. კაკოშინი კომიტეტის სხდომებზე რიგითი დეპუტატი იქნება და ჩვენთან კონფრონტაციას მოერიდება. დსთ კომიტეტის სტრატეგია, ვფიქრობ, უცვლელი დარჩება.

**- და მაინც, არ გეჩვენებათ, რომ კრემლი თავის სტრატეგიას ცვლის დსთ-ს სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში?**

- თქვენ, ჟურნალისტებმა ვერ შენიშნეთ ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა, ერთი კვირის წინათ რომ მოხდა: გაფორმდა ოთხი უდიდესი სახელმწიფოს ახალი კავშირი - ერთიანი ეკონომიკური სივრცე. უკრაინამაც კი თვალდახუჭულმა მოაწერა ხელი ერთიანი საბაჟო სივრცის, ერთიანი სავალუტო რეგულირების შეთანხმებას. რუსული გაზეთები კი ჩუმად არიან, რადგან დღევანდელი რუსული პრესა და ტელევიზია მეხუთე კოლონაა.

პუტინმა ბრწყინვალე ნაბიჯი გადადგა და გააკეთა ის, რაც დღემდე არავის უქნია. მისი ეს ნაბიჯი ამერიკაში მეტად სერიოზულად მიიღეს. აშშ-ს ეგონა, რომ უკრაინას რუსეთს ჩამოაშორებდა, მაგრამ პუტინმა დაასწრო.

დარწმუნებული ვარ, რომ შევარდნაძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საკუთარი თავის გადასარჩენად, ოთხთა კავშირში შემოიყვანს საქართველოს. მოსკოვში 15 მარტს რუსეთ-ბელორუსის კავშირის ყრილობა ჩატარდება, უკრინამ უკვე სურვილი განაცხადა მასში მონაწილეობაზე. როცა შეიქმნება ერთიანი მინისტრთა კაბინეტი და ერთიანი პარლამენტი, როცა საერთო კანონები შესრულდება, ეს კავშირი დსთ-ზე გავლენიანი იქნება. დღეს ერაყის პრობლემამ აიძულა დსთ-ს ლიდერები, პირველ რიგში კი პუტინი და შევრადნაძე, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგათ, თორემ თითო-თითოს ყველას გაგვსრესდნენ.

შევარდნაძე დღეს დსთ-ს ტერიტორიაზე ყველაზე ჭკვიანი და ეშმაკი ლიდერია, მას თავის გადარჩენისა და შენარჩუნების უბადლო ინსტინქტი აქვს. ნახეთ, როგორ გააცურა შარშან საკუთარი ოპოზიცია. სპიკერი გადადგა, მან კი დაპირება არ შეასრულა და დარჩა. მაშინ მე სადღაც განვაცხადე კიდეც, რომ ეს იყო შევარდნაძის უმაღლესი პილოტაჟი. ახლაც, სოჭის მერე ჩავა თბილისში და განაცხადებს, სქართველო ახალ კავშირში უნდა შევიდესო. ნახავთ, ხალხი მას მხარს დაუჭერს, ოპოზიცია კი დაღრღნის. ჩათვალეთ, რომ ეს ჩემი ფანტაზიაა, მაგრამ მინდა, რომ ასე მოხდეს. უნდა მოიხსნას საქართველო-რუსეთს შორის საბაჟო-სავიზო რეჟიმები, და ნახავთ, ხუთჯერ ამაღლდება ხალხის ცხოვრების დონე. თუ ასე მოხდება, მომავალ არჩევნებში შევარდნაძე ხმათა 90 პროცენტს მიიღებს.

**- რადგან თავად ახსენეთ თქვენი ფანტაზია, იქნებ პროგნოზიც შემოგვთავაზოთ, როგორ განვითარდება საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობა სოჭის შემდეგ?**

- შევარდნაძეს ძალიანაც სურდა, სოჭში პუტინთან შეხვედრამდე ხელთ ჰქონოდა აშშ-სთან სამხედრო თანამშრომლობის უკვე რატიფიცირებული დოკუმენტი, რაც საქართველოს პარლამენტმა ჩააგდო და რამაც მაფიქრებინა, რომ იქ მრავლად არიან ჯანსაღი ძალებიც. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ნაბიჯი პარლამენტს თავად შევარდნაძემ უკარნახა. პუტინს კი არ უყვარს, როცა მას ვიღაცა კარნახობს.

დღეს საქართველოს პოზიცია არავის აინტერესებს, აშშ-საც და რუსეთსაც საქართველო, როგორც ტერიტორია, ისე სჭირდება. ასეც გაგრძელდება, თუკი საქართველოში შეინარჩუნებენ რუსეთისადმი მსგავს დამოკიდებულებას. გაიხსენეთ, რა მოხდა იუგოსლავიაში. აშშ-მ იგი დაშალა და ექვსივე სუბიექტი დაიმორჩილა, შევარდნაძე დროულად მიხვდა, რომ იგივე ბედი ელოდა საქართველოსაც.

**- პუტინმა სოჭში განაცხადა, რომ გარკვეული გეგმები აქვს აფხაზეთთან დაკავშირებით, რას გულისხმობდა კონფლიქტის "მკვდარი წერტილიდან" დაძვრაში?**

- მე არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის პრეზიდენტს მხედველობაში აქვს აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტების დარეგულირებაში მოლდავური ვარიანტის გამოყენება. მე ვიცი, პუტინს მოსწონს ეს ვარიანტი. ეს ვარიანტი კარგი წინადადებაა: დნესტრიპირეთთან ერთად ამ დოკუმენტის შემუშავება აჭარასთან, აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ერთიანი კონსტიტუციის შექმნას და სხვა მსგავს პროცესებს გულისხმობს.

**- მერედა, საქართველო ამ ვარიანტს დაეთანხმება?**

- მე რომ ვიცოდე, დღეს რა სურს შევარდნაძეს, ამ შეკითხვაზე გიპასუხებდით. მას თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება სურს, ეს სხვა საკითხია; თუკი მას მხოლოდ საკუთარი კლანის ინტერესები აღელვებს, მეორე თემაა.

**- ხომ არ იცით, რაზე დაიყოლია პუტინმა შევარდნაძე?**

- ეს შეხვედრა ერთობ კონფიდენციალურ და ვიწრო წრეში მომზადდა. ასე რომ, ყველა დეტალი გასაიდუმლოებულია. შეხვედრის ინიციატივა პუტინს ეკუთვნოდა. შევარდნაძემ კიევში მას დაპირება მისცა, ევროპის საბჭოში კი ქართველი პარლამენტარების მოქცევამ მოსკოვში ყველა გააცოფა. და ეს მაშინ, როცა საქართველო-რუსეთის ლიდერებმა ყველაფერზე მოილაპარაკეს. რა საჭირო იყო ამის მერე ქართული დელეგაციის დემარში? თუ ბურჯანაძე იქ მარტო იმის სათქმელად წავიდა, რომ რუსეთს საქართველოსთან მოლაპარაკება არ სურს, მაშინ რაღა გვეთქმის...

სოჭის შეხვედრის შედეგებზე დიდ გავლენას ახდენს ის, რომ დღეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რუსეთის მოქალაქეები არიან.

პუტინმა შევარდნაძე დაიყოლია სარკინიგზო მაგისტრალის სომხეთამდე გახსნაზეც; ნუ დაგავიწყდებათ პუტინის ფრაზა აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობოთა გაყვანაზეც. არ გამოვრიცხავ, რომ გაგულიას მერე პუტინი კოკოევსაც შეხვდეს.

## ოღონდ ნუ იქნება მინიმალური ხელფასი 115-ლარიანი და...

*ვიდრე საარჩევნო მანქანა სრული დატვირთვით ამუშავდება და პარტიული პოლიფონია ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულს მისწვდება, საზოგადოების მთელი ყურადღება 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზეა გადატანილი. მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების ინიციატორები - „გაერთიანებული დემოკრატები" - უკვე რეგიონებში გავიდნენ და პერიფერიებში დაიწყეს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების პროპაგანდა. მაგრამ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილება, შესაძლოა, მკვდრადშობილი აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, სახელისუფლებო ფრაქციები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რათა 28 თებერვალს მიღებული კანონი საერთოდ გაუქმდეს. პროსამთავრობო ძალები მზად არიან, მიზნის მისაღწევად ფრიად საშიშ და უპრეცედენტო გადაწყვეტილებებზეც წავიდნენ.*

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის მიერ მიღებული კანონის გაუქმების ერთ-ერთ მოტივად ისინი იმ ფაქტს ასახელებენ, რომ გიგი წერეთელი 28 თებერვლის პლენარულ სხდომას ნინო ბურჯანაძის სათანადო „ბრძანების" გარეშე უძღვებოდა, როგორც ამას რეგლამენტი მოითხოვს. არადა, ყველას, მათ შორის უმრავლესობასაც, კარგად ესმის, რომ ეს მხოლოდ საბაბია და არა მიზეზი - პარლამენტის თავმჯდომარის „ბრძანებით" ვიცე-სპიკერების მიერ სხდომის გაძღოლის პრაქტიკას ქართული პარლამენტარიზმის ისტორია საერთოდ არ იცნობს.

იმ შემთხვევაში, თუ რეგლამენტში არსებული ეს ჩანაწერი „გაცოცხლდება", საკანონმდებლო სივრცეში სრული ქაოსი გამეფდება, ვინაიდან აქამდე მიღებული კანონებისა თუ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების თითქმის 90 პროცენტი ეჭვის ქვეშ დადგება და გადასინჯვას დაექვემდებარება. პრაქტიკულად არც ერთი სხდომა ისე არ ჩატარებულა, რომ მას თავიდან ბოლომდე მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარე გაძღოლოდა. დროის რომელიღაც მონაკვეთში მას თითქმის ყოველთვის ცვლიდა რომელიმე ვიცე-სპიკერი.

სახელისუფლებო ფრაქციები კი ისე არიან დათრგუნულნი 28 თებერვალს მიღებული კანონის შესაძლო ამოქმედებით, რომ საკანონმდებლო ქაოსის საფრთხეს არაფრად აგდებენ.

**„მოხდეს, რაც მოსახდენია!"** - „გაბედულად" აცხადებს ფრაქცია „სოციალისტის" წევრი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაქარია ქუცნაშვილი.

ცალკე საუბრის თემაა თავად პარლამენტის რეგლამენტი. სწორედ მასში არსებულმა ლაფსუსებმა და სხვა საკანონმდებლო აქტებთან შეუსაბამობებმა გაუხსნა სახელისუფლებო ძალებს ხელფეხი.

სამთავრობო ფრაქციები, აპელირებისას, იშველიებენ რეგლამენტის 61-ე მუხლს, რომელშიც მართლაც არსებობს ჩანაწერი ვიცე-სპიკერის მიერ სხდომის გასაძღოლად პარლამენტის თავმჯდომარის სათანადო „ბრძანების" აუცილებლობის შესახებ, მაგრამ იმავე რეგლამენტის 25-ე მუხლში ნათქვამია: **„პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით."** როგორც ხედავთ, ამ შემთხვევაში „ბრძანების" წერილობითი ფორმით დადასტურებაზე რაიმე მინიშნებაც კი არ არსებობს. მეტიც: „ბრძანებითი ფორმის" გამოყენებაზე არაფერს ამბობს თავად საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 55-ე მუხლის მესამე თავში წერია: **„პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას."** ასე რომ, თავად ქვეყნის კონსტიტუციაც კი არ აღიარებს „ბრძანების" საჭიროებას თუნდაც ისეთ ექსტრემალურ სიტუაციაში, როგორიც პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომისას შეიძლება შეიქმნას.

სხვა საკანონმდებლო აქტებთან პარლამენტის რეგლამენტის შეუსაბამობას თავი რომ დავანებოთ, თავად რეგლამენტის შიგნითაც მრავლად არის „მარგალიტები". 61-ე მუხლის 25-ესთან „ჰარმონიულობას" ზემოთ უკვე შევეხეთ. მსგავსი „სიტუაციაა" 68-ე მუხლშიც: მისი მეორე თავის თანახმად, **„კომიტეტის სხდომები ტარდება საკომიტეტო კვირის დღეებში, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა."** მომდევნო თავში კი საუბარია რიგგარეშე სხდომის ჩატარებაზე, რომლის გამართვაც, თურმე, შესაძლებელია... პარასკევს. ყოველ შემთხვევაში, ასეთ განმარტებას იძლევა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე, რომელიც ძალზე ამაყობს იმით, რომ რეგლამენტის პროექტი, თავის დროზე, მან შეიმუშავა.

სწორედ ასეთ საკანონმდებლო ხვრელებში გაძრომ-გამოძრომით აპირებს სახელისუფლებო გუნდი შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების ანულირებას. რა, გაუჭირდება?!

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# გარიგება - მძიმე პოლიტიკური ტვირთი

პირველი გვერდიდან


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*კულუარული ინფორმაციით, "დემოკრატებმა" და "აღორძინებამ" შეთანხმება წერილობით დაადასტურეს.*

**სახელმწიფო სტრუქტურები, კონკრეტულად საბაჟო და საგადასახადო სამსახურები, არ არიან ჩამოყალიბებულნი იმ დონეზე, რომ შეძლონ სპეციალურ ეკონომიკურ ზონასა და ქვეყნის სხვა ტერიტორიის ფარგლებში არსებული იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფილი კონტროლის განხორციელება. გასულ წლებში, არსებულმა პრაქტიკამ დაგვანახა, რომ შეღავათების ნებისმიერი სისტემა, იქნება ეს კონკრეტული დარგის, სოციალური თუ რეგიონალური პრობლემების მოგვარების მიზნით შემოღებული, იწვევს ეკონომიკური მაქინაციების ზრდას, კორუფციის აყვავებას და, შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას.**

**რაც შეეხება ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივას: ინვესტიციების მოზიდვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა რისკის (ეკონომიკური და პოლიტიკური) დაბალი დონე და, ხშირ შემთხვევაში, მისი განმსაზღვრელი ფაქტორები გამოწვეულია არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობით, არამედ რეგიონში არსებული სიტუაციით. აქედან გამომდინარე, საქართველოს ვერც ერთ ტერიტორიულ ერთეულზე შექმნილი ეკონომიკური ზონა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულ წინაპირობას და ეს ფაქტორი მაინც იარსებებს.**

**მეორე არგუმენტია ის, რომ საქართველო, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, უნდა იქცეს სატრანსპორტო დერეფნად და ამისთვის აუცილებელია ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის მქონე საბაჟო ტერიტორია. მთლიანად მისაღებია წარმოდგენილი მიდგომა, მაგრამ საქართველოში არსებული კანონმდებლობა სრულად ითვალისწინებს აღნიშნულს, თან - არა ცალკეული ზონების, არამედ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.**

**ამდენად, სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ კანონპროექტის მიღება იმ მოტივით, რომ მხოლოდ აეროპორტების, საზღვაო პორტების ან ნავსადგომების ტერიტორიაზე შეიქმნას ზონები, ალოგიკურია. თუნდაც რომ შეიქმნას, ამით ვერანაირ დადებით შედეგს ვერ მივიღებთ, გარდა იმისა, რომ შევქმნით კონტრაბანდის ხელშემწყობ ლეგალიზებულ გარემოს."** - ასეთად წარმოაჩენს ოპოზიცია საკითხის ეკონომიკურ მხარეს.

ცალკე თემაა კანონპროექტში ჩადებული პოლიტიკური საფრთხეები, რომლებიც ნებისმიერ ეკონომიკურ მოტივს გადაწონის. დასკვნაში აღნიშნულია:

**„კანონპროექტის მიხედვით, სპეციალური ეკონომიკური ზონა ყალიბდება როგორც გარკვეული ტერიტორიული ერთეული, გააჩნია მართვის დამოუკიდებელი ორგანო, განკარგავს ამ ტერიტორიაზე არსებულ ქონებას, ზრუნავს ზონის შიგნით არსებულ წესრიგსა და სოციალურ პრობლემატიკაზე (სეზ-ის მმართველი ბიურო უზრუნველყოფს ზონას საგანმანათლებლო, კულტურის, ჯანდაცვის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის კერებით), აქვს საბაჟო და უცხოელებისათვის გამარტივებული სავიზო რეჟიმი.**

**ანუ, შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტის მიხედვით, „სპეციალური ეკონომიკური ზონა" წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, რასაც მოჰყვება:**

**შავი ფულის (ძირითადად უცხოური) გათეთრების კერების დაარსება;**

**სეპარატიზმის გაღვივება (ეკონომიკურად წახალისება);**

**ამ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ზონების დეპოლიტიზაცია;**

**საკუთარი დამოუკიდებელი პოლიციური (გასამხედროებული) რეჟიმის და დამოუკიდებელი სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა;**

**შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი, 50 წლით;**

**არ არსებობს მინიმალური მოთხოვნებიც კი, თუ რამ შეიძლება განაპირობოს სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნის საჭიროება, ანუ საკითხის გადაწყვეტა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მინდობილია პრეზიდენტზე."**

დასკვნის ავტორთა აზრით, **„დღეს საქართველოში სწორედ რომ არსებობს სპეციალური ეკონომიკური ზონები, მხოლოდ ისინი ამ სტატუსით არ არის დეკლარირებული. ასეთი ტიპის ზონებია:**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;**

**ერგნეთის ბაზრობა;**

**წითელი ხიდის ბაზრობა;**

**ზუგდიდის ბაზრობა (აფხაზეთის სავაჭრო დერეფანი);**

**სხვა კერძო ფირმები თუ ორგანიზაციები, რომლებიც ექსკლუზიურად სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით;**

**სახელმწიფო წილის მქონე ორგანიზაციები, რომელთა შემოსავლები და ხარჯები ყოველგვარ კონტროლს გარეშეა.**

**მათი ასეთი ფორმით არსებობა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება.**

**ამ მსხვილი „სპეციალური ეკონომიკური ზონებიდან", განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც დაწესებულია დამატებითი გადასახდელები, აბსოლუტურად უკონტროლოა აჭარის ტერიტორიაზე გადახდილი საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადები და ა.შ. ანუ ამ ტერიტორიულ ერთეულში დაცულია ყველა ის პირობა, რომელიც კანონპროექტის მიხედვით არის შემოთავაზებული, თუმცა ეკონომიკური მდგომარეობა ამ რეგიონში განსაკუთრებული წინსვლით არ ხასიათდება."**

დასკვნის ავტორები იმაზეც მიანიშნებენ, რომ ჩვენი ქვეყნის სეპარატისტული ბუნების გათვალისწინებით, ასეთი „საფრთხეების" ჩადება კანონპროექტში მეტად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება იქნება.

ცხადია, რომ მოყვანილი არგუმენტები და ბევრი ის საკითხი, რომელიც აღნიშნულ დასკვნაში ვერ მოხვდა, აუცილებლად ამოქმედდება იმ პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ, რომლებიც აღნიშნულ კანონპროექტს მხარს დაუჭერენ და რომელთაც, „აღორძინებისგან" განსხვავებით, პარლამენტში მოსვლა, აჭარის ამომრჩეველთა 99-პროცენტიანი მხარდაჭერის ხარჯზე, გარანტირებული არ აქვთ.

ამიტომ, ნებისმიერი ოპოზიციური ძალისთვის ნებისმიერ ფასად სეზ-ის შესახებ კანონპროექტის მხარდაჭერის გადაწყვეტილების მიღება მეტად მძიმე ტვირთი იქნება. აიღებენ თუ არა ამ ტვირთს თავზე „გაერთიანებული დემოკრატები", ეს საკითხი მხოლოდ კენჭისყრის დროს გაირკვევა, თუ საქმე აქამდე მივიდა.

# ეკა კვესიტაძის სვეტი

# მათხოვრობით შენარჩუნებული ძალაუფლება

ქვეყნის გულისთვის მე შემიძლია კარდაკარ ვიარო და ვიმათხოვრო – დაახლოებით ასეთი განცხადება გააკეთა შევარდნაძემ რამდენიმე ხნის წინ და ამით, როგორც ჩანს, ფიქრობდა, ქვეყნისათვის მოამაგე პრეზიდენტის იმიჯს შეიქმნიდა.

მაგრამ, საეჭვოა, შევარდნაძის ამ განცხადების შემდეგ რიგით ქართველს, დასავლეთის ქვეყნების მთავრობებთან ხელგაწვდილი პრეზიდენტის წარმოდგენისას თვალზე ცრემლი მოდგომოდა, რადგან ლოგიკურ კითხვას, რატომ დაგვჭირდა მათხოვრობა, ლოგიკურად მივყავართ პრეზიდენტისა და მთელი მისი გარემოცვის ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკასთან.

დღეს კი, საქართველოს ხელისუფლება, საერთაშორისო მათხოვრების სიაში თანდათან მიიწევს წინ.

ხელისუფლება უკვე მათხოვრობს ყველასთან - საკუთარ მოსალხეობასთან, რუსეთთან, თურქმენეთთან, ევროპის წამყვან ბანკებთან, სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, დონორ ქვეყნებთან და ასე შემდეგ.

მათხოვრობის თემა ორგვარია: მიუტევონ დაგროვილი ვალები, სულ მცირე მათ რესტრუქტურიზაციაზე მაინც დათანხმდნენ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა კიდევ ერთხელ გაიღონ მოწყალება და ახალი ვალების (თუ გრანტები იქნება, მით უკეთესი) აღების საშუალება მისცენ.

სანამ საერთაშორისო არენაზე მათხოვრობაა გაჩაღებული, ხელისუფლება ქვეყნის შიგნითაც განსაკუთრებულ ბედოვლათობას იჩენს. კვარტალური გეგმის შესრულებამდე მხოლოდ 20 დღეა დარჩენილი, ბიუჯეტში დაგეგმილი შემოსავლების მხოლოდ 47 პროცენტია შესული. ეს მაშინ, როცა აპრობირებული მეთოდის თანახმად, ბიუჯეტში თანხების მობილიზება წინანსწარ აკრეფილი გადასახადების ხარჯზე წლის პირველ თვეებში ხდება.

გარდა ამისა, ბიუჯეტში გათვალისწინებული შემოსავლების საკმაოდ დიდ ნაწილს დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული თანხები შეადგენს. ახლახან თბილისში მყოფმა სავალუტო ფონდის მისიამ კი განაცხადა, რომ ფონდის პროგრამის აღდგენასთან დაკავშირებით, კონსულტაციები მხოლოდ გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ გაგრძელდება.

ყველაფერი ის, რაც სავალუტო ფონდმა მთავარ მოთხოვნებად ჩამოაყალიბა (მეწარმეებისთვის შეღავათების დაწესება და საგადასახადო კოდექსის გამარტივება, სამი დიდი საწარმოსათვის საერთაშორისო აუდიტის ჩატარება, ენერგეტიკის ტარიფთან დაკავშირებული პრობლემების მოხსნა და, რაც მთავარია, რეალისტური ბიუჯეტის დაგეგმვა და მისი შესრულება), მიუხედავად სიმარტივისა, სერიოზული პრობლემაა ხელისუფლებისთვის.

რთული და გაუგებარი საგადასახადო კოდექსის გამარტივება კორუმპირებული მოხელეებისთვის არაკანონიერი შემოსავლების სარფიანი წყაროს გადაკეტვას ნიშნავს, ხოლო ფოთის პორტში, მადნეულში და საქართველოს რკინიგზაში საერთაშორისო აუდიტის ჩატარება, დიდი კლანების ინტერესებს ეჯახება.

რაც შეეხება დენის ტარიფს, თავის დროზე ლეიბორისტებისთვის ქულების ასაწევად და ნათელაშვილის რეიტინგის გასაზრდელად (რადგან კანცელარიის საძულველი ოპოზიციის მთავარი კონკურენტი სწორედ ნათელაშვილია და მის გაძლიერებაში ხელისუფლელბა სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული), საკონსტიტუციო სასამართლომ, ბუნებრივია, ხელისუფლების მოთხოვნით, დენის ტარიფის გაიაფება დააკანონა. და დღეს ამ პრობლემის მოგვარებას, ანუ ტარიფის ძველი ვარიანტის აღდგენას, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

აი, რაც შეეხება რეალისტური ბიუჯეტს. პრობლემა, თუ რატომ ვერასოდეს ვერ ახერხებს მთავრობა საკუთარი შესაძლებლობების გათვლას და ამის მიხედვით ბიუჯეტის დაგეგმვას, დღემდე მართლაც თავსატეხ ამოცანად რჩება.

სავალუტო ფონდი აცხადებს, რომ ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქვეყანა დეფოლტის ანუ გაკოტრების საფრთხის წინაშე დგება, რადგან ის პარიზის კლუბში საქართველოს ვალების რესტრუქტურიზაციას მხარს არ დაუჭერს. პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბუნებრივია, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ფონდის პროგრამის გაგრძელების საკითხიც.

თუმცა ეს არაფერი. სავალუტო ფონდის უკან ამერიკის ხაზინა და, შესაბამისად, ამერიკის ადმინისტრაცია დგას, რომელიც საქართველოში სტაბილურობით, ჯერჯერობით, დაინტერესებულია.

ეს იცის შევარდნაძემ და ახლაც სჯერა მეგობარი ბუშის.

ასეთ დროს კი, რა საჭიროა თუნდაც ყველაზე მარტივი მოთხოვნების შესრულება, როცა მათხოვრობითაც შეიძლება საკუთარი კორუმპირებული გარემოცვისა და იმ გახრწნილი სისტემის შენარჩუნება, რომელსაც ჭაობის სუნი, უკვე კარგა ხანია, ასდის.

# საქმე №41 - საქართველო ბრალს სდებს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას!..

საქმე №41 – ამ ნომრით უნდა განიხილოს ჰააგის ტრიბუნალმა აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების საქმე, რომლის მასალებსაც ქართული დელეგაცია ჰააგის ტრიბუნალს ხვალ გადასცემს.

დღეს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების დელეგაცია მიემგზავრება ჰოლანდიაში.

სამშაბათისთვის დელეგაციის წევრებს უკვე დანიშნული აქვთ შეხვედრები ჰააგის ტრიბუნალის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან. ეს არის აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურის წარმომადგენელთა პირველი სამუშაო შეხვედრა, რომლის შემდეგაც, სარჩელის შესატანად, ჰააგაში უკვე თავად თამაზ ნადარეიშვილი გაემგზავრება.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ტრიბუნალს არძინბას რეჟიმის წინააღმდეგ სარჩელი შვიდი მუხლით, მათ შორის ეთნიკური, ეკოლოგიური, რელიგიური გენოციდისა და ეთნოწმენდის მუხლებით გადაეცემა. საქართველოში უკვე გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ის 200 ტომი, რომელიც საქართველოს მხარეს, აფხაზეთში ეთნიკური წმენდის დასასაბუთებლად ჰქონდა შეკრებილი, ჰააგის ტრიბუნალში განხილვის საგნად იმის გამო ვერ იქცეოდა, რომ ჰააგის ტრიბუნალი განიხილავს 2002 წლიდან დღემდე საერთაშორისო სამართლის წინაშე ჩადენილ დანაშაულებს.

თამაზ ნადარეიშვილი აცხადებს, რომ ეს არ არის წინაღობა ქართული მხარისთვის, რადგან, "ვითომ მშვიდობიან" პერიოდშიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველების მიმართ სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულებია ჩადენილი.

დელეგაცია სწორედ 2002 წლის ფაქტების საფუძველზე შექმნილი 35 ტომით აღჭურვილი მიდის და იმედოვნებს, რომ რეალურ შედეგს მიაღწევს.

ნადარეიშვილის თქმით, ომის პერიოდისა და 2002-2003 წლებში მომხდარ დანაშაულებს შორის არსებითი სხვაობა არ არის. **"ომის დროს სეპარატისტთა ხელით ათასობით ქართველი დაიღუპა, ახლა კი ასობით იღუპება,"** - აცხადებს თამაზ ნადარეიშვილი.

**"24 საათი"**

# ხარაგაულელთა ინტერესი პოლიტიკურ გარიგებას ეწირება

*მიმდინარე კვირას საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზენაესი სასამართლოს ორი გადაწყვეტილება უნდა აღასრულოს – გადაითვალოს რუსთავის მაჟორიტარული არჩევნების შედეგები და დაბა ხარაგაულში საკრებულოს ხელახალი არჩევნების ვადა დანიშნოს.*

*უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილებები ცოტა ხნის წინათ მიიღო, მაგრამ ცესკო მის შესრულებას არ ჩქარობს. ოფიციალური ვერსიით, ამის მიზეზი ის არის, რომ კომისიის სხდომებზე კვორუმი ვერ გროვდება, თუმცა ყველამ შესანიშნავად უწყის, რომ ცესკო-ს აღარ სურს ახალი თავსატეხი. მით უფრო, რომ, როგორც კომისიაში აცხადებენ, ეს ორი პრობლემა, ასე თუ ისე, მოგვარებულია – რუსთავს მაჟორიტარი უკვე ჰყავს, ხოლო ხარაგაულში გამგებელი ისედაც დანიშნულია. და მაინც, ცესკო-ს ასეთი განწყობა გადამწყვეტი ნამდვილად არ იქნებოდა, რომ არა ერთი (და საკმაოდ მნიშვნელოვანი) გარემოება. საქმე ის გახლავთ, რომ რუსთავიცა და ხარაგაულიც პოლიტიკური თამაშების არენად იქცა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი პოლიტიკურ გარიგებებს შეეწირა.*

თამარ მჭედლიშვილი

რუსთავის არჩევნების შესახებ "24 საათი" დაწვრილებით წერდა. ამჯერად ყურადღებას ხარაგაულში დატრიალებულ მოვლენებზე შევაჩერებთ. სამწუხაროდ, ხარაგაულის მაგალითმა აჩვენა, რომ ქვეყანაში თვითმმართველობის ინსტიტუტი პარტიების დაპირისპირებამ შეიწირა. თავის დროზე, თბილისის საკრებულოს საკითხმა, თითქოს გადაფარა რაიონებში ამ მხრივ შექმნილი ურთულესი ფონი. არადა, პერიფერიებში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ პარტიული თამაშების გამო ქვეყანაში სრულყოფილი თვიმმართველობის შემოღებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

## პრეისტორია

თვითმმართველობის არჩევნები ხარაგაულში საკმაოდ სერიოზული დაპირისპირების ფონზე წარიმართა. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ 20 საარჩევნო უბნიდან, არჩევნები ჩატარებულად მხოლოდ 19-ში იქნა ცნობილი. არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდა თავად რაიონულ ცენტრში – დაბა ხარაგაულში, სადაც კენჭს 15 კანდიდატი იყრიდა. მათ შორის იყო რაიონის ყოფილი გამგებელი დავით სახვაძეც.

კანონის თანახმად, პირველი დონის საკრებულოების თავმჯდომარეები ქმნიან მეორე დონის ანუ რაიონულ საკრებულოებს და სწორედ მათი შემადგენლობიდან ნიშნავს პრეზიდენტი გამგებელს.

იმის გამო, რომ დაბაში ვერ მოხერხდა არჩევნების გამართვა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იქ განმეორებითი არჩევნები დანიშნა. სწორედ ამ მომენტიდან საქმეში „დიდი პოლიტიკა" ჩაერთო და ხარაგაული გაცხოველებული ვაჭრობის საგნად იქცა.

რაიონის გამგებლის სავარძლისთვის სერიოზულად იბრძოდნენ "სოციალისტები". მათ საკუთარი კანდიდატიც ჰყავდათ. შეაბამისად, რაოინის ყოფილი გამგებლის დავით სახვაძის არჩევნებში მონაწილეობა (რომელიც "ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერითაც სარგებლობდა) მათთვის დამატებით პრობლემებს შექმნიდა. თანაც, სახვაძეს დაბა ხარაგაულში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები ჰყავდა და მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. რაიონულ საკრებულოში სახვაძის გასვლა კი "სოციალისტებს" გეგმებს ჩაუშლიდა, რადგან არ იყო გამორიცხული, პრეზიდენტს გამგებლად სწორედ იგი დაენიშნა.

სწორედ ამ მომენტიდან ამუშავდნენ "სოციალისტები", რომელთაც „მოქალაქეთა კავშირი" ფარულად უჭერდა მხარს (შეგახსენებთ – ეს ის დროა, როდესაც ვახტანგ რჩეულიშვილი „მოქკავშირთან" ურთიერთობების დალაგებას იწყებს და საარჩევნო ბლოკში გაერთიანებას სთავაზობს; სამაგიეროდ კი, რაიონებში მხარდაჭერას ჰპირდება. ხარაგაული კი, "სოციალისტებისთვის" ამ მხარდაჭერის დემონსტრაციაა. თანაც, ხარაგაულელია „სოციალისტთა" ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ ნავაძეც, რომელიც, ამავდროულად, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარეა.

ასე რომ, ადგილობრივ არჩევნებში ხარაგაულის რაიონულმა საკრებულომ დაკარგა ის მნიშვნელობა, რასაც მას კანონი აძლევდა და პოლიტიკური ორთაბრძოლის ასპარეზად იქცა. 2 ივნისიდან მოყოლებული, ცესკო-მ იქ ხელახალი არჩევნები ოთხჯერ დანიშნა, რასაც, როგორც წესი, "სოციალისტების" პროტესტი მოჰყვებოდა ხოლმე. ცესკო-ს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში საჩივრდებოდა და "სოციალისტები" პროცესს იგებდნენ. ამის შემდგომ სასამართლოს უკვე დავით სახვაძეც მიმართავდა და პროცესს ისიც იგებდა. საბოლოოდ კი უზენაესმა სასამართლომ დავით სახვაძის სარჩელი დააკმაყოფილა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაავალა, "გონივრულ ვადაში" დაენიშნა დაბა ხარაგაულში საკრებულოს არჩევნები. ცენრალური საარჩევნო კომისია კი ვალდებულია, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება შეასრულოს.

ამასობაში, "სოციალისტები" ყველა ღონეს ხმარობენ, რათა დაბაში არჩევნები არ გაიმართოს. მით უფრო, რომ პრეზიდენტმა ეს საკითხი უკვე "გადაჭრა" და რაიონში გამგებელი ისე დანიშნა, რომ განმეორებით არჩევნებს არც კი დალოდებია.

## კანონის ლაბირინთები

როგორც წესი, საკანონმდებლო ლაბირინთებში გარკვევა საკმაოდ რთულია, მით უფრო, ამ შემთხვევაში, როცა კონკრეტული კანონი პარტიებს და საარჩევნო ადმინისტრაციებს ლავირებისთვის შესანიშნავ საშუალებას აძლევს. ასე მაგალითად, "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელი ნუგზარ კუპრეიშვილი ამბობს, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში აღრეულია ისეთი ცნებები, როგორიც არის ხელახალი კენჭისყრა და განმეორებითი არჩევნები. "**თუ მოინდომებ, არჩევნებს ჩაშლილად გამოაცხადებ, თუ მოინდომებ, არჩატარებულად,"** – აცხადებს იგი.

ხარაგაულში ხელახალი არჩევნების მოწინააღმდეგენი - ქართველი "სოციალისტები" ამტკიცებენ, "**რომ დაბა ხარაგაულში ცესკო-ს არჩევნები აღარ უნდა დაენიშნა, რადგან იქ წინა კენჭისყრები ჩაიშალა."** პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი მინდელი კი პირდაპირ ამბობს: "**კანონის თანახმად, ხარაგაულში პირდაპირი მმართველობა უნდა განხორციელდეს."**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ხარაგაულში "უკანონოდ დანიშნული განმეორებითი არჩევნების" თაობაზე პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიაც საუბრობს, რომლის თავმჯდომარე ასევე „სოციალისტია". მას მხარს ვახტანგ ხმალაძეც უჭერს. რამდენიმე თვის წინათ მის მიერ გაკეთებულ დასკვნაში ნათქვამია, რომ **„განმეორებითი კენჭისყრის ბათილად ცნობის შემთხვევაში, საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს ხელახალი არჩევნების გამართვას... ასეთ შემთხვევაში უნდა ამოქმედებულიყო "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობისა შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლი, რომლის თანახმად, პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება..."**

თავის მხრივ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გია ზესაშვილი ამ "გაუგებრობას" შესაბამისი კანონმდებლობის ხარვეზით ხსნის, სადაც ნათლად არ არის განსაზღვრული, რას ნიშნავს "ხელახალი" თუ "განმეორებითი" არჩევნები და რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს არჩევნები ჩაშლილად. იგი ასევე ამბობს, რომ "**ასეთი საკანონმდებლო კოლიზიის პირობებში, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, დაბა ხარაგაულში არჩევნების თავიდან დანიშვნისას, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნით იხელმძღვანელა, რომელიც მოსახლეობის არჩევანის უფლების უზენაესობას ქადაგებს."**

## დიდების თამაშები

დავით სახვაძის ბრძოლამ, როგორც უკვე ვთქვით, შედეგი გამოიღო – უზენაესმა სასასმართლომ მისი სარჩელის საფუძვლიანობა ცნო. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. წესით, ამის შემდეგ პრეზიდენტმა დაბა ხარაგაულში პირდაპირი მმართველობა უნდა გააუქმოს და არჩევნების შედეგებს დაელოდოს.

"სოციალისტები" კი უკან დახევას არ აპირებენ. თანაც, ხარაგაულში მიმდინარე პროცესებში თავად ვახტანგ რჩეულიშვილიც არის აქტიურად ჩართული. თავად განსაჯეთ – რამდენიმე თვის წინ მან საკუთარი ინიციატივით მიმართა იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულს თემურ შაშიაშვილს და სთხოვა, რაიონის თანამდებობაზე დასანიშნად სოფელ წიფის საკერბულოს თავმჯდომარის გიორგი ლაცაბიძის კანდიდატურა განეხილა და პრეზიდენტისთვის წარედგინა, რასაც თემურ შაშიაშვილის საკმაოდ სერიოზული აღშფოთება მოჰყვა.

**"რაიონში მოქმედი გარკვეული პოლიტიკური ძალებისა და პარტიების მიერ ზედიზედ იქნა ჩაშლილი დაბა ხარაგაულის საარჩევნო ოლქში 2 ივნისის ადგილობრივი თვიმმართველობისა და შემდეგ 30 ივნისს განმეორებითი არჩევნები. ვფიქრობ, რომ ამ პარტიების ლიდერები არ არიან საქმის კურსში აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით. სამწუხაროა, რომ პოლიტიკური ძალა, ნაცვლად იმისა, რომ არჩევნებში გამარჯვების მისაღწევად იზრუნოს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არჩევნები არ შედგეს, ჩაიშალოს და ამით მიაღწიოს სასურველ შედეგს. საარჩევნო კომისიებში პარტიების წარმომადგენელ წევრთა უმრავლესობა, ფაქტობრივად, არჩევნების ჩაშლის ორგანიზებაში იყო ჩართული. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგინებით, არჩევნების ჩაშლის ფაქტებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძული"** (ფრაგმენტი თემურ შაშიაშვილის ოფიციალური წერილიდან, რომელიც მან პრეზიდენტს გაუგზავნა).

ხარაგაულში მიმდინარე პროცესების შეფასებისას საკმაოდ კატეგორიულია რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ლადო ჭიპაშვილი. მისი თქმით, **"ის, რაც ხარაგაულში ხდება, თავიდან ბოლომდე პოლიტიკური შეკვეთაა. იგი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მიღებული გადაწყვეტილების შედეგია და ურცხვი და თავხედურია თავისი ფორმითაც და შინაარსითაც."** იგი ამბობს, რომ დაბაში პრეზიდენტის მმართველობის შემოღება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ხელახალი არჩევნები არ ჩატარდებოდა. **"ხარაგაულში ხელახალი არჩევნები არ ყოფილა და ჩაიშალა განმეორებითი არჩევნები. განმეორებითი არჩევნები სხვაა, ხელახალი – სხვა", -** ამტკიცებს ჭიპაშვილი. იგი "სოციალისტებისა" და ხელისუფლების ფარულ ალიანსზე საუბრობს და აცხადებს, რომ დაბაში არჩევნების ჩატარების შემთხვევაში გაიმარჯვებდა ის კანდიდატი, რომელსაც მოსახლეობა უჭერს მხარს და რომელსაც რაიონის გამგებლობის რეალური შანსი ექნებოდა, განსხვავებით "სოციალისტების" კანდიდატისაგან. ჭიპაშვილი ამბობს, რომ "სოციალისტების" მიმართ ხელისუფლების ასეთი ღია მხარდაჭერა **"ჯილდოა იმ პროშევარდნაძისტული პოლიტიკისათვის, რომელსაც პარტია მიზანმიმართულად ატარებს."**

ამის პარალელურად, „სოციალისტები" ახალ ფარულ ალიანსზე საუბრობენ. ირაკლი მინდელი აცხადებს, რომ **"ერთმანეთს შეეკრნენ თემურ შაშიაშვილი, "ნაციონალური მოძრაობა" და "ახალი მემარჯვენეები" და მათ საკუთარი კანდიდატის გაყვანა სურთ"** (ეს კანდიდატი სწორედ რაიონის ყოფილი გამგებელი დავით სახვაძეა). ირაკლი მინდელს უკვირს ამ ახალი ალიანსის შექმნა, რადგან ვერ ხსნის, **"თუ რა შეიძლება ჰქონდეთ საერთო მის სუბიექტებს. განსაკუთრებით, თემურ შაშიაშვილსა და მიეხილ სააკაშვილს."** თავის მხრივ, ამ ბრალდებას "აბსურდულს" უწოდებენ "ნაციონალები".

## პროტესტი

ამასობაში დაბა ხარაგაულში ვითარება უკიდურესად არის დაძაბული. ხარაგაულელები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების გამართვის თარიღის დანიშვნას სთხოვენ. რამდენიმე ხნის წინ, მათ თავად სახალხო დამცველი დაჰპირდა, რომ **"აუცილებლად დაიწყებს ხარაგაულის არჩევნების საკითხის შესწავლას."** საგულისხმოა ისიც, რომ ამომრჩეველთა ნაწილი ხარაგაულში განმეორებითი არჩევნების ჩაშლას „სოციალისტებს" ღიად აბრალებს.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის ბაზაზე ორგანიზებული, ქართველ და ევროპელ ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც მოამზადა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი, კოალიციის შექმნის ინიციატივით გამოდის. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტმა და ინსტიტუციური რეფორმების ცენტრმა გუშინ შესაბამისი განცხადება გაავრცელეს. ახალი საგადასახადო კოდექსის მხარდამჭერი კოალიციის ინიციატორების აზრით, ეს აუცილებელია, რადგან „განხილვის შემდგომ ეტაპებზე, სხვადასხვა გავლენიანი ჯგუფები დაიწყებენ აქტიურობას არსებულ პროექტში სამოქალაქო და სახელმწიფო (და არა ხელისუფალთა!) ინტერესებთან შეუსაბამო კერძო ან ჯგუფური ინტერესების შესატანად.“ **„24 საათი“**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, იტალიის საელჩო საქართველოში და იტალიური კომპანიები - PETROCTECNICA და EUREKOS „გაზისა და ელექტროენერგეტიკის სისტემაში დანაკარგების დისტანციური მართვის“ პროექტის პრეზენტაციას მოაწყობენ. ამ პროექტისათვის იტალიის მთავრობამ თანადაფინანსების სახით 500 ათასი ევრო გამოყო. იტალიელები საქართველოში, უკვე ერთი წელია, „კაშხლების კვლევისა და მონიტორინგის“ სამუშაოებს აწარმოებენ. ამ სამუშაოების ერთწლიან ანგარიშსაც დღესვე, სასტუმრო „მარიოტში“ წარადგენენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბაჟო დეპარტამენტში ჩატარებული შემოწმების შემდეგ, პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტი აქციზური მარკების მონიტორინგის ბიუროს მუშაობითაც დაინტერესდა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ განაცხადა, აქციზური მარკების მონიტორინგის ბიურო დაკისრებულ ფუნქციას ვერ ასრულებს, ამიტომ, კარგი იქნებოდა, ფინანსთა სამინისტროს მის გაუქმებაზე ეზრუნა. ფინანსთა სამინისტრომ ბიუროს გაუქმების რეკომენდაციები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდანაც მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთავრობა მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტს დედაქალაქის საკრებულოს რამდენიმე დღეში წარუდგენს. ფინანსთა მინისტრის მოადგილესთან, ლევან ჩრდილელთან დაგეგმილია ფრაქციებისა და კომისიების თავმჯდომარეების შეხვედრა, სადაც, საგადასახადო შემოსავლების კუთხით, მოხდება პარამეტრების შეთანხმება. მერია ბიუჯეტის პროექტში აპირებს გაითვალისწინოს „ნაციონალების“ მოთხოვნა პენსიების 3 ლარით გაზრდასთან დაკავშირებით. ლეიბორისტები „03“-ის დაფინანსებას და უფასო სტაციონარების ამოქმედებას ითხოვენ, „გაერთიანებული დემოკრატები“ – გარე განათების ოთხწლიანი პროექტის დაფინანსებას, ხოლო „ახლები“ პრიორიტეტს განათლების და კულტურის სფეროს ანიჭებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმში ეჭვი ეპარებათ, რომ აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლა სრული დატვირთვით აღდგება. წყარომ, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, განაცხადა, რომ მიმოსვლის აღდგენა სომხეთამდე რუსეთის ინტერესებში შედის, რადგან ეს რეგიონში ფედერაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას გამოიწვევს, ამას კი, ნაკლებად სავარაუდოა, საქართველო დათანხმდეს. **პრაიმ-ნიუსი**



## საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

**კომპანია ბი-პი-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და ბი-პი-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA აცხადებს კონკურსს კვალიფიციური საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად. საინფორმაციო ტექნოლოგიის ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში ბი-პი-ს მილსადენის სამშენებლო პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს ბი-პი-ს ხელმძღვანელობის ქვეშ**

სამუშაოს აღწერა:

IT ინჟინერი ანგარიშვალდებულია პროექტის IT მენეჯერის წინაშე და პასუხს აგებს პროექტის საინფორმაციო ტექნოლოგიის გეგმის განხორციელების ხელშეწყობაზე, სტანდარტული ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურირებასა და ინსტალაციაზე, ავტომატიზაციის საბაზისო ტექნიკურ უზრუნველყოფასა და ტრეინინგზე, პროექტის მიმდინარეობისა და დახურვისას დახმარების აღმოჩენაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

IT ინჟინრის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
- ყველა სატელეკომუნიკაციო და მასთან დაკავშირებული ელექტრონული აპარატურის და სისტემების ფუნქციონირება და ექსპლუატაცია.
- IT საინფორმაციო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება დადგენილ ადგილებში.
- ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალაცია და კონფიგურირება ყველა საჭირო სამუშაო ტერმინალზე.
- სერვერების ოთახებში, საწყობებსა და ოფისში სისუფთავის და წესრიგის დაცვა და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
- კომპიუტერული სისტემების და ქსელების ექსპლუატაციისა და რემონტის დროს დახმარების აღმოჩენა.
- სეტელეფონო ქსელთან და სხვა სატელეკომუნიკაციო აპარატურასთან, მაგალითად ოფისის ტელეფონებთან დაკავშირებით ჩანაწერების წარმოება.
- სატელეკომუნიკაციო აპარატურასთან დაკავშირებული საიზოლაციო სამუშაოების შესრულება და სამუშაო ნებართვების სისტემის ღრმა ცოდნა.
- მოწყობილობისა და ინვენტარის შეფასება, მოდიფიკაციების ინიცირება ან მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება მოდიფიკაციების პროცედურის პლატფორმის გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს სატელეკომუნიკაციო სისტემების გაუმჯობესებას.
- სამუშაო სადგურების საოპერაციო სისტემების საწყისი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
- გამოყენებითი კლიენტის პროგრამის დამტკიცებული ბოლო ვერსიის ინსტალაცია, ტესტირება, კონფიგურირება და ექსპლუატაცია.
- პროექტის წევრების დახმარება გამოყენებითი სისტემით სარგებლობისას და ფორმალური და არაფორმალური ტრეინინგის ჩატარება.
- მომხმარებლების დახმარება ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში და საჭიროებისამებრ, სხვა ჯგუფებთან კოორდინირება.
- ავტომატიზაციის გრაფიკისა და ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება და აპარატურის ტექნიკური პირობების შემუშავების ხელშეწყობა.
- მითითებისამებრ, პროცედურების, ინსტრუქციების, დოკუმენტაციის და საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ, სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

- სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი და სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის დარგში, ან სულ მცირე 5 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის უზრუნველყოფაში.
- სულ მცირე 3 წლის სამუშაო გამოცდილება ტელეკომუნიკაციის ან საინფორმაციო უზრუნველყოფის დარგში.
- ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა.
- ატესტირებული სპეციალისტი მაიკროსოფტის პროგრამაში (დიპლომირებული სპეციალისტი (MCP), მომავალში დიპლომირებული ინჟინრის კვალიფიკაციით (MCSE).
- თვითმოტივაცია, დინამიკური სამშენებლო პროექტის ატმოსფეროში მუშაობის და დაწესებული მოთხოვნების ალღოს აღების უნარი.
- დადებითი პირადი თვისებები და ურთიერთობის შესანიშნავი უნარი.
- პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დამატებითი სამუშაოს შესრულება.
- სისტემატურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისებისა და ეფექტურად გამოყენების უნარი.
- თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი: სისტემატიზირებულ და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
- ზეგავლენა: პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
- სამუშაოს კომპლექსურობა: სხვადასხვა დიაპაზონისა და კონტექსტის მქონე მოვალეობების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირი კავშირის გარეშე.
- აუცილებელი უნარ-ჩვევები: შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, გრაფიკზე აყვანის და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური კავშირის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი ურთიერთობების უნარი.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციფიკის ცოდნა: IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდების, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

- თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 13 მარტი, ხუთშაბათი.
- კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

*კადრების განყოფილება*

**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38.**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია "ბი-პი საქართველო"**


# საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროგრამა ივნისში დამტკიცდება

გიორგი გახელაძე

*ამჟამად საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ადამიანების რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის 14 პროცენტს, ხოლო სიღარიბის ზღვარზე მყოფ ადამიანთა რიცხვი მოსახლეობის 52 პროცენტს შეადგენს. „ურთულესი გარდამავალი ათწლეულის შემდეგ ორადორი მონაპოვარი გაგვაჩნია - მყარი ვალუტა და სიტყვის თავისუფლება, სხვა დანარჩენი მოსაპოვებელი გვაქვს,“ - ასე შეაფასა საქართველოს დღევანდელობა ექსპერტმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ.*

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა, რომელიც, უკვე სამი წელია, მუშავდება, სავარაუდოდ, ივნისის თვეში დამტკიცდება. ამის შესახებ პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკურ საკითხებში, აღნიშნულ პროგრამაზე მომუშავე სამთავრობო კომისიის მდივანმა თემურ ბასილიამ პროგრამის პრეზენტაციაზე თქვა. უახლოესი 2-3 კვირის განმავლობაში დოკუმენტს ძირითად დონორ ორგანიზაციებთან ერთად განიხილავენ. შემდეგ კი, პროგრამა მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად.

პროგრამის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე 750-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. **„ეს არ არის რაიმე ერთი ჯგუფის მიერ და ერთი მთავრობისთვის შექმნილი დოკუმენტი. სამწუხაროდ, შექმნილია შთაბეჭდილება, თითქოს პროგრამა სოციალური დახმარების გასაზრდელად დონორებისგან ფულის მიღებას ითვალისწინებს. არა, ეს დოკუმენტი უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო არჩევანი, რომელსაც ნებისმიერი მთავრობა უნდა ემსახურებოდეს,“** - განაცხადა თემურ ბასილიამ. მას დაეთანხმნენ „საქართველოს რესურსებისა და მდგრადი განვითარების“ კავშირის პრეზიდენტი ალექსანდრე თვალჭრელიძე და ექსპერტი საზოგადოების თანამონაწილეობის საკითხებში დავით გზირიშვილი: **„რაც მეტი ადამიანი ჩაერთვება ამ საერთო ეროვნული სტრატეგიის განხილვასა და განხორციელებაში, მით უფრო მოქნილი და მდგრადი შედეგების მომტანი იქნება ეს პროგრამა“**. დოკუმენტში აღიარებულია, რომ საერთო დოვლათის დაგროვებასთან ერთად, საზოგადოების ნებისმიერ წევრს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები, თავად უზრუნველყოს საკუთარი ღირსეული ცხოვრება. ამ მიზნის მისაღწევად კი, ორი მთავარი პირობის შესრულება არის მიჩნეული აუცილებლად: „1) სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური განვითარება (2015 წლისთვის რეალური მშპ-ს 2-3-ჯერ გაზრდა 2001 წელთან შედარებით, რისთვისაც აუცილებელია რეალური მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი 5-8 პროცენტის დონეზე) და 2) სიღარიბის შემცირება (2015 წლისთვის უკიდურესი სიღარიბის დონის დაწევა 14-დან 4-5 პროცენტამდე, ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონის შემცირება 52-დან 20-25 პროცენტამდე).



აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროგრამა რამდენიმე პრიორიტეტს მოიცავს: მმართველობის გაუმჯობესებას, მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფასა და სტრუქტურული და ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებას, რამაც ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარება უნდა შეაძლებინოს ქვეყანას.

პროგრამა ეყრდნობა თვალსაზრისს, რომ საქართველოში სიღარიბის დაძლევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფონზე - ეკონომიკა იძლევა სამუშაო ადგილებს და სოციალური დახმარების სახსრებს ბიუჯეტში. ამიტომ, პროგრამაში წამყვან ადგილს იკავებს ეკონომიკის განვითარების სტრატეგია.

ამ მიზნების მიღწევის გზები პროგრამაში დეტალურად გაიწერა, კერძოდ:

1. ქვეყნის მართვაში გასატარებელი ის ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს საინვესტიციო თუ სამეწარმეო კლიმატის შექმნას და სიღარიბის შემცირებას (გადასახადების შემცირება, ბიუჯეტის პროგრამული სტრუქტურირება, კანონმდებლობის დახვეწა და სხვ.); 2. პროგრამის დახვეწაში, კონკრეტული პროექტების განხორციელებაში და მათ მონიტორინგში მოსახლეობის ფართო ფენების თანამონაწილეობის მექანიზმი; 3. საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა დონორებისგან საჭირო დახმარების ოდენობა და მიმართულება; 4. საქართველოს ადამიანური, ინტელექტუალური, გეოპოლიტიკური და ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების საშუალებები ქვეყნის პრიორიტეტების ფარგლებში.

გრძელვადიანი (15 წლიანი) გეგმები მოცემულია სტრატეგიული მიმართულებების სახით. მოკლევადიანი (2003-2005 წლის) გეგმები დაკონკრეტებულია შემსრულებლებისა და დაფინანსების დონეზე. 2003-2005 წლებისთვის შემუშავდა 116 ღონისძიება, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 4,414 მილიონი ლარი.

დონორების ექსპერტიზის შემდეგ პროგრამა გამოქვეყნდება საჯარო განხილვისა და თანამონაწილეობისთვის. პროგრამაზე მომუშავე სამდივნოს წევრები გვპირდებიან, რომ გამოთქმული მოსაზრებები შევა პროგრამაში. **„პროგრამის და მისი შესრულების ამგვარი საჯარო შეფასება და კორექცია პერიოდულად მოხდება მომავალშიც, რადგან პროგრამა ღია და ცოცხალი დოკუმენტია - იგი მუდმივად შეიცვლება ახალი მდგომარეობის, იდეების და პერსპექტივების შესაბამისად. ეკონომიკური ზრდა ყოველთვის არ უზრუნველყოფს სიღარიბის დაძლევას. 4-5 წლის წინათ ჩვენ ზუსტად ასეთი პროცესის მომსწრენი გავხდით. ჩვენ თავად უნდა ავირჩიოთ სახელმწიფოს მართვისა და საზოგადოების განვითარების მოდელი, რომელიც ეკონომიკური ზრდით სიღარიბეს დაგვაძლევინებს,“** - განმარტა „სამეწარმეო გარემოს განვითარების ალიანსის“ გამგეობის წევრმა გიორგი ლოლაძემ.

„საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის“ დემოკრატიულ საფუძველზე განვითარებისთვის ნაგულისხმევია პროგრამის საჯარო წარდგინება, საზოგადოების მონაწილეობა მის შეფასებასა და დახვეწაში, რეალიზაციასა და მონიტორინგში. ყველა ეს საფეხური გულისხმობს ფართო საზოგადოების რეგულარულ ინფორმირებას, ანუ მასმედიის სისტემატურ მონაწილეობას ამ პროცესებში.

პროგრამის ღირებულება 4,27 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამ თანხის ძირითადი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ხოლო დარჩენილი თანხის ნაწილს დონორი ორგანიზაციები გაიღებენ. რაც შეეხება დაფინანსების დეფიციტურ ნაწილს, მის მოსაპოვებლად მთავრობა საერთაშორისო თანამეგობრობასთან კონსულტაციებს გამართავს. უსისტემო დახმარებების სანაცვლოდ, ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციები სიღარიბის დაძლევაში დახმარებას თვით ქვეყნის მიერ შემუშავებული პროგრამით ამჯობინებენ. მსგავსი სამოქმედო გეგმები მუშავდება შვიდ ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში. მაგალითად, აზერბაიჯანის მთავრობამ სულ ორიოდე კვირის წინ დაამტკიცა ანალოგიური პროგრამა.

# გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში უცხოელები შევლენ

*„საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მართვაზე ქონების მართვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საკვალიფიკაციო შერჩევაში, წინასწარი ინფორმაციით, ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID)-ის კონტრაქტორმა კომპანიამ PA consalting-მა გაიმარჯვა. PA consalting-ი „გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში“ 18 თვის განმავლობაში იმუშავებს და კომპანიას საპრივატიზაციოდ, ან რამდენიმე წლით მართვის უფლებით გადაცემისთვის მოამზადებს.*

„გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ საქართველოს რეგიონების ელექტრომომარაგებას ემსახურება. მისი მთავარი პრობლემა – მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვის მოუწესრიგებლობა და, შედეგად, დიდი ოდენობის კომერციული თუ ტექნიკური დანაკარგებია.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გია ადეიშვილი აცხადებს, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა 9 თვის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა, ორგანიზაციაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა დამოუკიდებლად მოეწესრიგებინა და ახლა ამას ამერიკელი პარტნიორის დახმარებით კარგად შეძლებს.

**„აქამდე ვცდილობდით დამოუკიდებლად გვემუშავა. როგორც ჩანს, კომპანიაში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად უცხოელთა „ქუდი“ გვჭირდება, რადგან ენერგოსისტემაში ქართველები ამჟამად უკვე აღარაფერს ვწყვეტთ,“** - განაცხადა ადეიშვილმა.

„გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ რეაბილიტაციის პროექტის დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობა აპირებს საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (KFW) კრედიტის გამოყოფა სთხოვოს. კრედიტის თანხის ნაწილი გამარჯვებული ორგანიზაციის კომპანიაში მუშაობას ნაწილობრივ დააფინანსებს, თანხის დანარჩენი ნაწილი კი, სისტემის მართვიდან შემოსული სახსრებიდან დაიფარება. წინასაკვალიფიკაციო შერჩევაში გამარჯვებული PA consalting-ი ვალდებულია კომპანიის თანამშრომლები ხელფასებით და დახმარებებით უზრუნველყოს. PA consalting-ს გამანაწილებელი სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესება, მათ შორის, ელექტროენერგიის მოხმარების აღრიცხვიანობის გაუმჯობესება და ამოღების მაჩვენებლის გაზრდა ევალება. PA consalting-მა სისტემის ტექნიკური მომსახურება, პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების პროგრამების შემუშავება და წლიური საინვესტიციო გეგმების მომზადებაც უნდა უზრუნველყოს..

*„24 საათი“*

# მთავრობას ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების შანსი აღარ აქვს

პირველი გვერდიდან

ახალგაზრდა ეკონომისტების აზრით, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის მონაცემების გასული წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებამ, მიუხედავად იმისა, რომ 2002 წელს ამოღებული თანხები 100 ათასი ლარით ნაკლებია, კიდევ ერთხელ ცხადყო ადმინისტრაციის უსუსურობა, მანკიერი და კორუფციული მექანიზმის არსებობა.

2002 წლის იანვარ-თებერვალში მთავრობამ პირველი კვარტლის გეგმის (173,2 მილიონი ლარი) 47 პროცენტი შეასრულა.

2003 წლის იანვარ-თებერვალში ცენტრალურ ბიუჯეტში პირველი კვარტლის გეგმის საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ 51 პროცენტი იქნა ამოღებული, რამაც თანხობრივად 77,1 მილიონი ლარი შეადგინა, 2002 წლის იგივე პერიოდში საგადასახადო შემოსავლების კუთხით მობილიზებული იყო 64 პროცენტი, ანუ 75,5 მილიონი ლარი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარღვევა, რაც ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა, ის არის, რომ თებერვალში საგადასახადო შემოსავლების კუთხით მობილიზებული 44,2 მილიონი ლარიდან, 18,2 მილიონი ლარი ანუ ამ თანხის 41 პროცენტი ბოლო დღეს არის ამოღებული, რაც ახალგაზრდა ეკონომისტებს საეჭვოდ და საგანგაშოდ მიაჩნიათ. **“ასეთი შედეგი ცხადყოფს, რომ მთავრობამ, გეგმის შესასრულებლად, ყველანაირ ხრიკებს მიმართა. ეს არის, ე.წ. პრაკრუტკა და სხვა მრავალი მეთოდი, წინანსწარ გადახდაზე ხომ უკვე ლაპარაკიც კი ზედმეტია”**, - განაცხადა თემურ მიმინოშვილმა. ახალგაზრდა ეკონომისტების აზრით, საგადასახდო შემოსავლების ასეთმა მაჩვენებლებმა შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს სავალუტო კურსზეც.

2002 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები (იანვარ-თებერვალი) პირველი კვარტლის გეგმასთან მიმართებაში

| შემოსავლები | პირველი კვარტლის პროგნოზი | ორი თვის ფაქტიური შემოსავლები | შესრულება | შესრულება პროცენტულად |
|---|---|---|---|---|
| **სულ შემოსავლები და გრანტები** | 173.2 | 81.2 | -91.9 | 47% |
| სულ შემოსავლები | 162.2 | 80.6 | -81.6 | 50% |
| სულ საგადასახადო შემოსავლები | 120.5 | 76.5 | -44.0 | 64% |
| სულ არასაგადასახადო შემოსავლები | 41.7 | 4.1 | -37.6 | 10% |
| სულ გრანტები | 11.0 | 0.6 | -10.4 | 6% |

2003 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები (იანვარ-თებერვალი) პირველი კვარტლის გეგმასთან მიმართებაში

| შემოსავლები | პირველი კვარტლის პროგნოზი | ორი თვის ფაქტიური შემოსავლები | შესრულება | შესრულება პროცენტულად |
|---|---|---|---|---|
| **სულ შემოსავლები და გრანტები** | 186.4 | 81.1 | -105.3 | 43% |
| სულ შემოსავლები | 178.7 | 79.6 | -99.1 | 45% |
| სულ საგადასახადო შემოსავლები | 152.0 | 77.1 | -74.9 | 51% |
| სულ არასაგადასახადო შემოსავლები | 26.7 | 2.5 | -24.2 | 9% |
| სულ გრანტები | 7.7 | 1.5 | -6.2 | 19% |

ახალგაზრდა ეკონომისტები, რომლებიც 2003 წლის ბიუჯეტის მონიტორინგს ახორციელებენ, პირველი კვარტლის გეგმის შესრულების შესახებ ოფიციალურ დასკვნას აპრილის დასაწყისში მოამზადებენ. ამ ეტაპზე, ასეთ არც თუ ისე სასიხარულო განცხადების აუცილებლობას კი იმით ხსნიან, რომ უარესი მოსალოდნელი შედეგის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ შესაბამისმა უწყებებმა ყურადღება ახლავე გაამახვილონ.

მათი ვარაუდით, თუ მთავრობამ ბიუჯეტთან მიმართებაში დამოკიდებულება არ შეცვალა, წლის ბოლოს სეკვესტრი გარდაუვალი იქნება, ასევე, დადგება საკითხი საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამების შეწყვეტის შესახებ. **“ცხადია, რომ მთავრობა ამ საკითხში მოუქნელია. ასე მუშაობით, ფაქტობრივად, ის იგნორირებას უკეთებს ყველა იმ ვალდებულებას, რაც მან იკისრა და სამწუხაროდ, ეს მას სულაც არ ადარდებს”**, - განაცხადეს ასოციაციის წევრებმა.

# ვაშინგტონი ახალი რეზოლუციის გასატანად ემზადება

*შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა ერაყს, განიარაღების ბოლო ვადად, 17 მარტი დაუთქვეს. მათი თქმით, თუ ერაყმა ამ დღემდე გაერო-ს ყველა მოთხოვნა არ შეასრულა, ომი გარდაუვალი იქნება. ინსპექტორთა ხელმძღვანელი ჰანს ბლიქსი კი აცხადებს, რომ ამისათვის რამდენიმე თვეა საჭირო.*

ბუშის ადმინისტრაცია უკანასკნელი დიპლომატიური ბრძოლისათვის ემზადება და ცდილობს, ერაყის წინააღმდეგ გაერო-ს იმ რეზოლუციის მიღება უზრუნველყოს, რომელიც ვაშინგტონს სამხედრო მოქმედებების დაწყების უფლებას მისცემს.

პრეზიდენტმა ბუშმა ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი გაერო-ს რეზოლუციის დარღვევაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა. ჯორჯ ბუშმა ამერიკელი ხალხისადმი რადიომიმართვაში აღნიშნა, რომ "ერაყი თამაშს აგრძელებს".

"ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ერაყში ომი თავიდან ავიცილოთ, - თქვა ბუშმა, - თუ სადამი მშვიდობიანი გზით არ განიარაღდება, მაშინ ამას ძალით გავაკეთებთ".

ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირთა აზრით, ისინი განცვიფრებულები დარჩებიან, თუ ჰუსეინი აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის მოთხოვნას დააკმაყოფილებს და 17 მარტისათვის მის ხელთ არსებულ ყველაზე საშიშ იარაღს ჩააბარებს. "მან ყველაფერი ისეთ ტემპში უნდა გააკეთოს, რომ ინსპექტორები პირდაღებულები დატოვოს", - აღნიშნა ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა..

შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი უკანასკნელი დღეების განმავლობაში უშიშროების საბჭოს იმ წევრების დაყოლიებას ცდილობენ, რომელთაც ჯერ არ გადაუწყვეტიათ, დაუჭირონ მხარი ახალ რეზოლუციას თუ - არა. ვეტოს უფლებით აღჭურვილი ამერიკის მთავარი მოწინააღმდეგე - საფრანგეთი იმავეს ცდილობს, რათა ახალი რეზოლუციის მიღება დაბლოკოს, რომელიც ომის დაწყების სანქციას გასცემს.

საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის კანცელარიამ გაავრცელა განცხადება, რომლითაც უარყო ახალი რეზოლუციის მიღების შესაძლებლობა. "ულტიმატუმის ფორმით რეზოლუციის მხარდაჭერა მიუღებელია საფრანგეთისათვის", - ნათქვამია განცხადებაში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დომინიკ დე ვილეპინი უშიშროების საბჭოს სამი არამუდმივი წევრის - ანგოლის, კამერუნისა და გვინეის დასარწმუნებლად ამ ქვეყნების დედაქალაქებში გაემგზავრა. მათ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.



ჯეკ სტროუ და კოლინ პაუელი

უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნის ჩილეს პრეზიდენტმა რიკარდო ლაგოსმა განაცხადა, რომ განიარაღების ბოლო ვადად 17 მარტის დანიშვნა "ძალზე მცირე დროა" განიარაღებისათვის. მისი კომენტარი, საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებებთან ერთად, ცხადყოფს, რომ აშშ-ს ძალიან გაუჭირდება უშიშროების საბჭოში გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ცხრა ხმის მიღება.

უშიშროების საბჭოში სულ თხუთმეტი წევრია, რომელთაგან ხუთს ვეტოს უფლება გააჩნია, მაგრამ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებას, სულ მცირე, ცხრა ხმა სჭირდება.

თუმცა, ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის ერაყში იმ შემთხვევაშიც შეიჭრება, თუ გაერო მას ამის უფლებას არ მისცემს.

ამჟამად, სპარსეთის ყურეში 200 000-ზე მეტი ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცი იმყოფება. ამერიკულმა და ბრიტანულმა სამხედრო თვითმფრინავებმა ორი დღის წინ სამხრეთ ერაყში არსებული სარადარო სისტემები დაბომბეს. ამერიკელი გენერლების მტკიცებით, ერაყის საჰაერო თავდაცვის სისტემა, ფაქტობრივად, განადგურებულია.

თეთრი სახლის ადმინისტრაციამ ახალი ტაქტიკის დამუშავება მას შემდეგ დაიწყო, რაც უშიშროების საბჭოს პარასკევის სხდომაზე ნათელი გახდა, რომ შეერთებული შტატები იზოლირებული იყო და ვაშინგტონის მხარდამჭერების პოზიცია კიდევ უფრო შესუსტდა. გაერო-ს განიარაღების ინსპექტორთა ხელმძღვანელმა ჰანს ბლიქსმა ერაყს თანამშრომლობისკენ გადადგმული ნაბიჯები მოუწონა და განაცხადა, რომ საჭირო იქნება კიდევ რამდენიმე თვე, რათა ინსპექტირება საბოლოოდ დასრულდეს. ეს კი, სავარაუდოდ, ნოემბრისათვის იქნება შესაძლებელი.

ბლიქსმა უშიშროების საბჭოს განუცხადა, რომ ინსპექტორებმა ერაყის ქიმიური და ბიოლოგიური შეიარაღების პროგრამების აღმოჩენა ვერ შეძლეს. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტებმა ვერ მოახერხეს აშშ-ს ბრალდებების დადასტურება, თითქოს ერაყს შეიარაღების ლაბორატორიები ქვეყნის გარეთ გადააქვს, რათა ისინი ვერ აღმოაჩინონ.

იმავე სხდომაზე მოჰამად ელბარადეიმ, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა, ეჭვქვეშ დააყენა ბუშისა და სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ბრალდებები, რომლის თანახმად, ერაყი ურანის გასამდიდრებლად ალუმინის ტუბების შესყიდვას ცდილობდა.

ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, ბლიქსის მიერ გაკეთებული განცხადებებით ისინი იმედგაცრუებულები არიან. მათი აზრით, ჰუსეინმა ერთმნიშვნელოვნად ვერ შეძლო გაერო-ს რეზოლუციის მოთხოვნების შესრულება.

ამ კვირაში უნდა განიხილონ ახალი რეზოლუციის პროექტი, რომლის დასამტკიცებლად დიპლომატები შეეცდებიან, ყველას დაუმტკიცონ, რომ ჰუსეინი საერთაშორისო თანამეგობრობას ეთამაშება და მხოლოდ იმ განზრახვით თანამშრომლობს, რათა დრო მოიგოს.

შეკითხვაზე - რა უნდა გააკეთოს ჰუსეინმა 17 მარტისათვის, რათა შეერთებული შტატები დააკმაყოფილოს, ამერიკელმა ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ ჰუსეინის სრულ განიარაღებაზე დათანხმება "პრაქტიკულად შეუძლებელია".

"მას მართლაც უკანასკნელი შანსი აქვს, რათა თავის მოძრავი ლაბორატორიები, ყველა სამუშაო მასალა და პროგრამა ჰანს ბლიქსს წარუდგინოს", - ამბობენ ამერიკელი ჩინოვნკები.

ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწეების თქმით, ბუში აპირებს, უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების ლიდერებს პირადად მიმართოს. მათივე ინფორმაციით, პრეზიდენტი მათ უშუალოდ დაუკავშირდება და მხარდაჭერას თხოვს, ისე როგორც ეს არჩევნებისას, ან კონგრესში რომელიმე კანონის შეტანის წინ ხდება ხოლმე. რამდენად ეფექტური იქნება ბუშის ახალი ტაქტიკა, უშიშროების საბჭოს კენჭისყრა გვიჩვენებს.

# ათიათასობით დემონსტრანტი კუჩმას გადადგომას მოითხოვს

პირველი გვერდიდან

კუჩმა დასავლეთის კრიტიკის ქარცეცხლში მას შემდეგ მოექცა, რაც აშშ-მ იგი ერაყისათვის იარაღის მიყიდვაში დაადანაშაულა.

თუმცა, ქვეყნის ლიდერი, რომელსაც საპრეზიდენტო ვადა 2004 წელს ეწურება, უარყოფს ბრალდებებს. მიტინგის დროს იგი საზღვარგარეთ იმყოფებოდა. კუჩმა სლოვაკეთის პრეზიდენტს რუდოლფ შუსტერს ხვდებოდა.

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საპროტესტო მსვლელობა იყო და პირველი იმ პროტესტების ახალ სერიაში, რომელსაც უახლოეს მომავალში ნაციონალისტი, ცენტრისტი და მემარცხენე ძალები გეგმავენ.

გასულ წელს კუჩმა იოლად გადაურჩა მასობრივ გამოსვლებს.

გასული კვირის დასაწყისში, ტელევიზიით გამოსვლისას, კუჩმამ ოპოზიცია რეფორმების შეფერხებაში დაადანაშაულა და უკრაინელებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ მის გეგმას, რომელიც პრეზიდენტის ძალაუფლების გარკვეული ნაწილის პარლამენტისათვის გადაცემას ითვალისწინებს.

ოპოზიციის ლიდერთა მტკიცებით, აღნიშნული წინადადება მხოლოდ პოლიტიკური ხრიკია, რომლითაც კუჩმა საკუთარი მმართველობის გახანგრძლივებას გეგმავს.

"ეს კიდევ ერთი ნაბიჯია უკრაინის დასაქცევად", - აღნიშნავს იულია ტიმოშენკო, უკრანული ოპოზიციის ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული ლიდერი.

"თუ ჩვენ გახლეჩილები დავრჩებით, მაშინ ხელისუფლებაში მყოფ ამ ძლიერ და ცინიკურ გუნდს ჩვენ ვერასდროს ვერ მოვუგებთ", - განაცხადა ტიმოშენკომ.

"გამოფხიზლდი უკრაინავ!" და "იბრძოლე და მოიგებ", - ეწერა მომიტინგეების პლაკატებზე.

# რეჯებ ერდოგანი პრემიერობისთვის ემზადება

თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერმა რეჯებ ერდოგანმა, პრაქტიკულად, მოიგო კვირას დანიშნული ადგილობრივი არჩევნები და პარლამენტარი გახდა. ეს კი მას პრემიერ-მინისტრად გახდომის უფლებას მისცემს.

ერდოგანის გაპრემიერება ბოლოს მოუღებს "ორხელისუფლებიანობას" თურქეთში და პარლამენტს საშუალებას მისცემს, ხელახლა უყარონ კენჭი ერაყის ომის წინ აშშ-ს ჯარების თურქეთში განლაგებას.

49 წლის ერდოგანმა "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიას გასული წლის ნოემბერში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოაპოვებინა. თუმცა, თავად მას საჯარო თანამდებობის დაკავება აკრძალული ჰქონდა, რადგან 1990-იან წლებში რელიგიური შუღლის გაღვივებაში დასდეს ბრალი. ამის გამო, პრემიერ-მინისტრი ერდოგანის მოკავშირე აბდულა გული გახდა.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მმართველმა პარტიამ კონსტიტუციის მუხლი შეცვალა, რომელიც ერდოგანს კენჭისყრის უფლებას არ აძლევდა. ამის შემდეგ, ერდოგანს ქალაქ შიირტში დანიშნულ განმეორებით არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად გზა გაეხსნა.

საღამოსთვის დათვლილი იყო ბიულეტენების 20 პროცენტი, რომლის მიხედვით, ერდოგანმა ხმების 87.75 პროცენტი მოაგროვა.

ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში პოპულარულ ერდოგანს, პრაქტიკულად, არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

მისი გაპრემიერება ორ კვირაში ან უფრო ადრეც მოხდება, რაც ერდოგანს საშუალებას მისცემს, რომ თურქეთში ამერიკის ჯარების შეყვანის წინადადება პარლამენტში ხელახლა შეიტანოს.

თურქი სამხედროები მხარს უჭერენ ხელახალ კენჭისყრას.

"ანკარაში მოელიან, რომ ერდოგანის არჩევის შემდეგ გული გადადგება და ახალი მთავრობა ამერიკული ჯარების შეყვანის თაობაზე პარლამენტში ხელახალი წინადადებით შევა", - აღნიშნავს ყოველდღიური გაზეთის "მილიეთის" მიმომხილველი დერია შაზაკი.

ანალიტიკოსების აზრით, ერდოგანი გაპრემიერებისთანავე მინისტრთა კაბინეტს განაახლებს და, სავარაუდოდ, პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, ეკონომიკისა და საგარეო საქმეთა მინისტრებს შეცვლის.

# ახლო აღმოსავლეთი ომის მოლოდინში

ერაყელები, დიდი ხანია, სადამის შიშში ცხოვრობენ. ახლა მათ, ისევე როგორც მათ თურქ, ირანელ და არაბ მეზობლებს სადამთან ერთად, სისხლისღვრისა და არასტაბილურობისაც ეშინიათ.

ახლა, როდესაც ომი პრაქტიკულად უკვე გარდაუვალია, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ერთნაირი შეშფოთებითა და ეჭვით უყურებენ ომის ორივე შესაძლო შედეგს: ამერიკის იოლ გამარჯვებასაც და კონფლიქტის გაჭიანურებასაც. ამავე დროს, თითოეულ მათგანს აწუხებს კითხვა, ვინ იქნება შემდეგი?

გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის, ლონდონის "საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის" დასკვნით, "არაბულ სახელმწიფოებს, თურქეთსა და ირანს ძალზე აშფოთებთ ქაოსი, რომელიც ომს შეიძლება მოჰყვეს. თუმცა, ისინი არანაკლებ შეშფოთებულნი არიან აშშ-ს გადამწყვეტი გამარჯვების პერსპექტივით".

"რეგიონის ქვეყნების მთავრობებმა კარგად იციან, რომ მათი მოსახლეობის მიერ ეს ომი ამერიკული იმპერიალიზმის დაუფარავ გამოვლენად, ნავთობის ხელში ჩაგდების მცდელობად და ისრაელის მხარდასაჭერად ჩაფიქრებულ შეთქმულებად ფასდება," – ნათქვამია ინსტიტუტის დასკვნაში.

პრეზიდენტი ბუში ამტკიცებს, რომ ეს ომი რეგიონში მშვიდობის დამყარებას ემსახურება და აცხადებს, რომ სადამის სასტიკ დიქტატურას ახალი მთავრობით შეცვლის, რომელიც, შესაძლოა, დემოკრატიულიც იყოს.

მისი თქმით, მომავალი მთავრობის ბედი ერაყელმა ხალხმა და არა ვაშინგტონმა უნდა განსაზღვროს, მაგრამ ამერიკა ვალდებულია, გამორიცხოს ერთი დიქტატორის მეორეთი ჩანაცვლება.

მისი თქმით, შეერთებული შტატები დაუპირისპირდება ყველას, ვინც ქაოსის გავრცელებას, ძველი ანგარიშების გასწორებას ან ერაყის დაშლას შეეცდება. "გარდა ამისა, აშშ დაიცავს ერაყის ბუნებრივ რესურსებს მომაკვდავი რეჟიმის მხრიდან საბოტაჟისაგან და იქნება იმის გარანტი, რომ ამ სიმდიდრეს ერაყელი ხალხი თავის საკეთილდღეოდ გამოიყენებს".

ბუშის მიერ დადებული პირობების მიუხედავად, ერაყის მეზობლები ფიქრობენ, რომ ერაყი სადამის შემდეგაც მათთვის დიდ პრობლემად დარჩება.

ზოგიერთი ქვეყანა შიშობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისინიც შეიძლება ბუშის პრევენტიული დარტყმების სამიზნედ იქცნენ. "ერაყი არ არის ბუშის სტრატეგიის ცენტრალური ნაწილი, იგი მხოლოდ დასაწყისია," – ამბობს ერაყის ბრიტანელი ექსპერტი ტომ დოჯი.

"უამრავ ქვეყანას სურს სადამის ჩამოგდება, მაგრამ მათ ამერიკელებისაც




არანაკლებ ეშინიათ. ვინ იქნება შემდეგი ბუშის შავ სიაში: სირია? ირანი? საუდის არაბეთი?" – კითხულობს ირანული საკონსულტაციო ფირმის ატიე ბაჰარის წარმომადგენელი ამირ ალი ნუბახში.

ირანის ყოფილი პრეზიდენტი აკბარ ჰაშემი რაფსანჯანი ამტკიცებს, რომ თუ ამერიკული შეიარაღებული ძალები რეგიონში ომის შემდეგაც დარჩებიან, ეს ახლო აღმოსავლეთში - დესტაბილიზაციას, ნავთობის ბაზარზე კი მნიშვნელოვან რყევებს გამოიწვევს.

"ნათელია, რომ ერაყში ამერიკელებს სამარეს გაუთხრიან. თუ ჰუსეინმა ვერ მოახერხა მათი განდევნა, მაშინ ამას სადამის დამხობის შემდეგ ერაყელი ხალხი გააკეთებს", – განაცხადა მან გასულ პარასკევს.

აქვს კი ამერიკას საკმარისი ნება, შესაძლებლობა და მიზანსწრაფვა საიმისოდ, რომ შეასრულოს ბუშის დაპირება ერაყის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და სტაბილური მთავრობის ჩამოყალიბების თაობაზე?

შეძლებს ამერიკა, მიაღწიოს კონსერვატორების უფრო შორეულ ოცნებას - ერაყის რეგიონში დემოკრატიის ხერხემლად ქცევისა და ამით მთელი რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში ფუნდამენტური ცვლილების გამოწვევის შესახებ, რაც გზას გაუხსნიდა არაბეთ-ისრაელის შერიგებას?

საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, საუდ ალ-ფაიზალი, რომელსაც ისრაელის მიერ არაბული მიწების ოკუპაცია და მის ხელთ არსებული მასობრივი განადგურების იარაღი უფრო დიდ საფრთხედ მიაჩნია, ვიდრე ერაყი, ამის თაობაზე სერიოზულ ეჭვს გამოთქვამს.

"ერაყის ოკუპაცია არ იქნება ადვილი. როგორ აპირებენ ამერიკელები 250 ათასი ჯარისკაცით ამ ქვეყანაში წესრიგის შენარჩუნებას?"

"თუ ერაყში ქაოსი გამეფდა, როგორ უნდა ააშენონ იქ დემოკრატია? თუ გაიმარჯვებენ და ბაღდადის ოკუპაციას მოახდენენ, წარმოიდგინეთ - რა რეაქცია ექნება ამაზე არაბულ და მუსლიმურ სამყაროს?"

## ანგარიშების გასწორება

ბუში ამბობს, რომ იგი არავის ერჩის, გარდა "სადამისა და მისი მკვლელთა რაზმებისა, რომლებმაც გაანადგურეს ერაყის საზოგადოება".

მაგრამ, წლების განმავლობაში სადამმა ასობით ათასი, თუ არა მილიონობით, ერაყელი საკუთარი რეჟიმის იარაღად აქცია და მათი მეშვეობით შეინარჩუნა ხელისუფლება.

"თუ ერაყში შეჭრისთანავე ქვეყანაში მკაცრი კონტროლი არ დამყარდა, ძალადობის უზარმაზარ ტალღას უნდა ველოდოთ, – ამბობს სამი ზუბაიდა, ერაყული წარმოშობის ბრიტანელი მეცნიერი, – უამრავ ადამიანს აქვს რეჟიმთან ანგარიში გასასწორებელი წამების, დამცირებისა და ახლობლების სიკვდილისათვის".

ირანი, თურქეთი, სირია, იორდანია და საუდის არაბეთი შიშობენ, რომ ქურთებს, შიიტებსა და მმართველ სუნიტ უმცირესობას შორის დაწყებულმა ანგარიშსწორებამ, შესაძლოა, მათი მეზობელი ქვეყნის დაშლა გამოიწვიოს. კონფლიქტის აღმოცენება მოსალოდნელია არა მხოლოდ ამ ჯგუფებს შორის, არამედ მათ შიგნითაც.

თურქეთმა უკვე ღიად განაცხადა, რომ თუ დღის წესრიგში დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის საკითხი დადგა, იგი ჩრდილოეთ ერაყში საკუთარ ჯარებს გააგზავნის. შიიტი ერთმორწმუნეების მხარდასაჭერად, ერაყის შიდა კონფლიქტში შეიძლება ირანიც ჩართული აღმოჩნდეს. ეს კი ნამდვილი კოშმარი იქნება საუდის არაბეთისათვის, რომელსაც ადგილობრივ შიიტ უმცირესობასთან თავისი პრობლემები აქვს.

როგორც არ უნდა დამთავრდეს ომი ერაყში, იგი ძირეულად შეცვლის რეგიონში ძალთა წონასწორობას და აიძულებს ვაშინგტონს, გადახედოს ახლო აღმოსავლეთში უსაფრთხოების მისეულ სტრატეგიას.

სპარსეთის ყურის აუზში აშშ, პირველ რიგში, დაინტერესებულია ნავთობის შეუფერხებელი მოწოდებით, რომლის ფასიც გონიერების საზღვრებს არ სცილდება. ამ მიზნების მისაღწევად, 1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე იგი ეყრდნობოდა ორ მთავარ მოკავშირეს: ირანსა და საუდის არაბეთს.

1980-იან წლებში ამერიკა ცდილობდა, ირანთან ომში ერაყი დამარცხებისაგან ეხსნა, 1991 წლიდან კი "ორმაგი შეკავების პოლიტიკის" გატარებას შეუდგა (პოლიტიკა, რომლის თანახმადაც, აშშ ცდილობდა შეეჩერებინა ორივე დაპირისპირებული ქვეყნის : ირანისა და ერაყის გაძლიერება).

## დარღვეული წონასწორობა

ჯეიმს რასელი, ამერიკელი სამხედრო მკვლევარი, ამბობს, რომ ძლიერი ერაყის შენარჩუნება შეიძლება არც იყოს საჭირო, რადგანაც, საშინაო პრობლემების გამო, ირანი საკმაოდ სუსტია და მისგან მომავალი საფრთხეც – უმნიშვნელო.

თავის სტატიაში რასელი აღნიშნავს: მართალია, პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ამერიკისათვის უკეთესია ამტკიცოს, რომ ერაყის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას უჭერს მხარს, მაგრამ რეალურად, როცა საქმესაქმეზე მიდგება, მას ურჩევნია, ერაყი დაიშალოს.

ერაყის დაშლა საბოლოოდ აგვაცილებს თავიდან ამ ქვეყანაში ახალი დიქტატორის მოსვლის საფრთხეს, შესაბამისად, მოიხსნება ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღზე მუშაობის გაგრძელების საშიშროებაც, – ამტკიცებს იგი.

კანან მაკია, ერაყელი მეცნიერი, რომელიც დაახლოებულია ოპოზიციურ "ერაყის ნაციონალურ კონგრესთან", ამბობს, რომ მხოლოდ სადამისა და მისი უახლოესი გარემოცვის მოშორებით ერაყს არაფერი ეშველება, მას კარგად ესმის ისიც, რა რთული იქნება ბაათისტური (ბაათი – ამჟამინდელი მმართველი პარტია) მემკვიდრეობისაგან ქვეყნის გათავისუფლება.

"ბაათის შემდეგ ერაყში ცხოვრება ბაგირზე სიარულის ტოლფასი იქნება. ერთი მხრივ, იქნება უამრავი პრეტენზია მათი მხრიდან, ვინც ბაათის დროს უსამართლოდ იტანჯებოდა, მეორე მხრივ კი, ყველასათვის ცხადია - თუ ყველას დასჯი, ვინც მართლა დამნაშავეა, ქვეყანა თავზე დაგექცევა, – წერდა მაკია 1998 წელს თავისი ცნობილი წიგნის "შიშის რესპუბლიკა"-ს შესავალში, - სადამის შემდგომ ერაყში სამართლიანობა იქნება ის, რაც ყველას ყველაზე მეტად სურს, მაგრამ ამავე დროს ისიც, რისი მიღწევაც ყველზე უფრო შეუძლებელია".

***როიტერი***

# მართლა, როგორ არიან ჩვენი ბავშვები?

## გასული კვირის ამბები


მერიის ხელმძღვანელობით უეფა და ფიფა სპორტულ კომპლექს აშენებენ.


კაფე "გირჩა" - აშენებენ თუ ანგრევენ?


ეს კი ნამდვილად ზუსტი სასწორი იქნება.

ვახო ხარაზიას ფოტოები

დალი კუპრავა

*მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო პერიოდი ის ხანაა, როცა "მოსახლეობა" და "უბრალო ადამიანები" მოქალაქის სტატუსს იძენენ და უმშვენიერესი ცნების - "ამომრჩევლის" მანტიაში ეხვევიან, განსაკუთრებული სიმძაფრე ჯერ არ იგრძნობა. პარტიათა ნაწილს საარჩევნო ციებ-ცხელებაში ჩასართველი არეკნი ჯერ არ გაუკეთებია და საზოგადოებაზე ზრუნვით თავის გამოსაჩენად ემზადება.*

უახლესი დემოგრაფიული სურათით, ჯერ კიდევ, მსოფლიოს ათას მეხუთასე მოქალაქე ქართველია, მაგრამ თუ გასულ კვირას გადავხედავთ, სტატისტიკას უახლოეს დროში მაინცდამაინც საჩვენოდ ცვლილება არ უწერია.

თუმცა, ვინ იცის, იქნებ სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის მიერ ვაკე-საბურთალოს რაიონში ამოღებულმა 44-მა კვერცხმა, სამმა კილოგრამმა "სკუმბრიამ" და ორმა კილოგრამმა "სიგამ" როგორ იმოქმედოს საზოგადოების განწყობაზე და იქნებ შობადობაც გაზარდოს.

შობადობის გაზრდის პერსპექტივისა რა მოგახსენოთ და, სიკვდილიანობის გაზრდის ვარიაციები რომ მრავალფეროვანი ხდება, აშკარაა: გასულ კვირას, რუსთავში, პენსიის მომლოდინე რიგში მოქალაქე გარდაიცვალა. თებერვლის პენსიები ჯერჯერობით მხოლოდ აჭარაში დარიგდა. 2002 წლის ნოემბრის პენსიები უკვე დაფინანსებულია და, როგორც ამბობენ, დეკემბრის დაფინანსებაც გამოყოფილია.

კვირამ გაზის ტრაგედიების გარეშე ჩაიარა.

სოციალურად დაუცველ თბილისელებზე გასული კვირიდან ახალდაარსებული "სოციალური აღორძინების" ფონდიც იზრუნებს, რომელსაც, "დემოკრატიული აღორძინების" პარტიასთან ერთად, მიწერ-მოწერით შეძენილი რამდენიმე უცხოელი დამფინანსებელიც ჰყავს. ფონდი იმედოვნებს, რომ წინასაარჩევნო ქარცეცხლიანი ხანა ფონდს საარჩევნო ხმებზე მონადირე დამფინანსებელ პარტიებს მოუმრავლებს.

საზოგადოებაზე ზრუნვის მაგალითი საააფთიაქო კომპანიებმაც გვიჩვენეს და წარმოგვიდგინეს გრიპის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხურ საშუალებებზე არანაკლებ ეფექტიანი და უსაფრთხო ანტიბიოტიკი "აველოქსი", მკაცრი გაფრთხილებით, რომ არ შევცდეთ და არ ვიყიდოთ კონტრაბანდული იაფი წამალი.

თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამმართველო აგრძელებს სკვერების მოწყობა-გამშვენიერებას. ლიფტების შესაკეთებლად კი სულ მალე ტენდერი გამოცხადდება და შორს არ არის ის დღეც, როცა თბილისის შვიდი ათასივე ლიფტი მწყობრში ჩადგება. ფასიანი ლიფტების თემამ ქალაქში შეკითხვა-კალამბურიც შვა: რა სჯობს - ლიფტი, რომელიც არავისთვის არ მუშაობს, თუ ლიფტი, რომელიც მარტო შეძლებულთათვის იმუშავებს? როგორც ამბობენ, სჯობს, იმუშაოს. ლიფტით მგზავრობაზე შეღავათებს კი ახალ სოციალურ პროგრამებში შეიტანენ და დამფინანსებელიც გამოუჩნდება.

ანტიმონოპოლიური სამსახური ლაშქრობას აგრძელებს - გასულ კვირას "დეზერტირების" ბაზრის ხელმძღვანელობა დააჯარიმა. ბაზრის დირექტორი, ზუბადალაშვილი, გაოცებული იყო: ზუსტ სასწორებს ველარ ვშოულობთ, ჩემი ბაზარი კი, ქუჩასთან შედარებით, აფთიაქივით გამოიყურება და რისთვის მაჯარიმებთ, ვერ გავიგეო.

სამომხმარებლო ბაზარზე ვაშლსა და საქონლის ხორცზე ფასი გაზრდილა, თუმცა, საინფორმაციო სააგენტო იქვე გვამშვიდებს, რომ "ამპიცილინის" ფასმა რამდენიმე პროცენტით დაიკლო.

ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებით უკმაყოფილო ენერგოორგანიზაციებმა უზენაეს სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და თუ ხუთ დღეში სასამართლო არ დააკმაყოფილებს, საკონსტიტუციოს მიმართავენ. "ლეიბორისტები", ჯიუტად, ტარიფის კიდევ დაკლებას "ჩალიჩობენ" - არჩევნები კარს მოგვადგაო.

რესპუბლიკის მოედანზე აშენებენ ახალ, 500-მილიმეტრიან წყალსადენს, რომელიც არც ისე ხშირად გამოვა მწყობრიდან, როგორც ძველი, 300-მილიმეტრიანი. თუმცა, "ვისი" იქნება მილსადენში გამავალი წყალი, ჯერ გაურკვეველია. მსოფლიო ბანკის დასკვნის შემდეგ გაირკვევა დღე, როცა გაიხსნება ფრანგული კომპანია "ჟენერალ დეფოს" სატენდერო პაკეტი.

გერმანიის ქალაქ მინდენში ქართველი ემიგრაციისთვის გაიხსნა საკვირაო სკოლა მოძრავი ანბანით, ქართული ზღაპრებით, "მრავალჟამიერით", მამულით და სარწმუნოებით. საკვირაო სკოლის მოსწავლეები თავიანთ თბილისელ მასწავლებლებს და გაყინულ სკოლასაც იხსენებდნენ.

თბილისში კვლავ გრძელდება განათლების სამინისტროსა და "ნაციონალ-დემოკრატების" ორთაბრძოლა სკოლების დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით. 26 თებერვალს განათლების სამინისტროს მიერ იუსტიციის სამინისტროში შეტანილ სკოლის დებულებას წინ უძღოდა საკრებულოს მიერ შეტანილი დებულების დამტკიცება. "მუნიციპალური დებულების" ავტორები იმეორებენ: "კართაგენი უნდა დაინგრესო", გაერთიანებული დემოკრატები კი ჯიუტად მოითხოვენ განათლების კანონში ცვლილებების შეტანას. "გაერთიანებული დემოკრატების საკანონმდებლო ინიციატივა სხვა არაფერია, თუ არა საკრებულოს გადაწყვეტილების ლეგალიზების მცდელობა", - განაცხადა ალექსანდრე კარტოზიამ. მიუხედავად იმისა, რომ 123-ე სკოლა უკვე მზადაა სამეურვეო საბჭოს ასარჩევად, არც განათლების სამინისტრო და არც ნაციონალები და გაერთიანებული დემოკრატები პოზიციის დათმობას არ აპირებენ.

ვინ ვის დაჯაბნის, საკრებულო-მერიის მსვლელობების განმსაზღვრელი ლოზუნგიცაა. თუ საკრებულო ცდილობს, უკანონოდ აშენებულის ნგრევით თავი გამოიჩინოს, მერია მშენებარე ობიექტებით იწონებს თავს. გასულ კვირას ქალაქის მერმა ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ უჩვენა აღმშენებლობითი საქმიანობის ფაქტი და საამაყო კოლექტორის მონახულების შემდეგ, დიდი დიღმის სპორტული კომპლექსი დაათვალიერებინა. ასეთი რამ დსთ-ს ქვეყნებში არ არისო, - აღნიშნა მერმა. კომპლექსი, რომელიც 26 მაისისთვის უნდა დამთავრდეს, UEFA-ს და FIFA-ს მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა.

ჟურნალისტები ექსკურსიაზე, მცხეთასაგურამოში, გურამ შარაძემაც წაიყვანა. მცხეთის ნაგავსაყრელი გაუქმდა, ყოველ შემთხვევაში, შაბათს დასუფთავებული დაახვედრეს ავტობუსზე ამხედრებულ შარაძის საინსპექციო ექსპედიციას. კვირის ნაღვაწით კმაყოფილმა შარაძემ ხელები მოიფშვნიტა - ესეც ასე, პროგრამა-მინიმუმი შესრულებულიაო.

აჭარის წარმომადგენლობაში აღინიშნა საქართველოს კიდევ ერთი საერთაშორისო "მიღწევა", რითაც ის მსოფლიოს შეუერთდა: ადამიანებით ვაჭრობის მსოფლიო ბაზარზე უკვე "ღირსეულად", სამივე მონაცემით გავდივართ - ადამიანებით ვაჭრობის ტრანზიტული, მიმწოდებელი და სამომხმარებლო ფორმით.

"ტრადიციონალისტმა" პარლამენტარმა ნატო ჩხეიძემ თავისი მცდელობით კინაღამ მსოფლიო კონტექსტიდან ამოაგდო საქართველო, როცა განაცხადა: საქართველოში ქალთა და მამაკაცთა თავისუფლება არარსებული პრობლემაა და 8 მარტი საბჭოეთის გადმონაშთია, როცა ქალებს წელიწადში ერთი დღე გამოუყვეს დასაბანად და პედიკიურ-მანიკიურის გასაკეთებლად. ამ შემთხვევაში ნუ მივბაძავთ ავსტრიას და ევროპის სხვა ქვეყნებს, სადაც ამ დღესასწაულს აღნიშნავენო, თქვა პარლამენტარმა და ქალებისა და კაცების "გაუკულმართების ტენდენცია" 8 მარტს გადააბრალა. 8 მარტი თბილისში, ათთეთრიანი ყოჩივარდებით, მაინც აღინიშნა და განსაკუთრებულად, არც საპარიკმახეროები გადატვირთულა.

როგორც იქნა, საქართველოს ბიუჯეტის გაზრდის რეალური შანსიც გამოჩნდა. გასულ კვირას "საქართველოს მეწარმეთა პარტიამ" დაბადების დღე აღნიშნა. 10 წლის იუბილეზე "მეწარმეებმა" თავიანთი მოკრძალებული, უხმაურო მოღვაწეობის შედეგი განაცხადეს: მცირე მეწარმეობის შესახებ კანონპროექტი, რომელსაც შეუძლია, ბიუჯეტს ორი მილიარდი ლარი შემატოს(!). კანონპროექტში ისეთი მექანიზმებია ჩადებული, რომლებიც მილიონ ორასი ათას მცირე მეწარმეს ჩრდილოვანი ეკონომიკიდან გამოიყვანს, ბიუჯეტს სიხარულით შეავსებინებს და ეს სრულიადაც არ ჰგავს ბასილიას ზღაპარს - "სიღარიბის დაძლევის პროგრამას". იმედია, პარლამენტი უარს არ იტყვის კანონპროექტის განხილვაზე მაინც.

არ ვიცი, განვითარების რომელ საფეხურზე მდგომი, ერთ-ერთი ტომის წარმომადგენლები ერთმანეთს ასე ესალმებიან: "ბავშვები როგორ არიან?" ასევე იწყებს ტომის ბელადი ტომის საბჭოს შეკრებასაც.

აზრი კი ის არის, რომ, თუ ბავშვები კარგად არიან, ე.ი. ყველაფერი რიგზეა.

მართლა, როგორ არიან ჩვენი ბავშვები?

## ინფორმაცია

### დაუფინანსებლობა უარყოფითად არ მოქმედებს ვაქცინაციაზე

ჯანდაცვის პროგრამების დაუფინანსებლობა დაავადებათა კონტროლის ცენტრის პროგრამებსაც შეეხო. როგორც ცენტრის უფროსის მოადგილემ ლევან ბაიდოშვილმა განაცხადა, ძალიან მძიმე მდგომარეობაა იმუნიზაციის, მალარიის, ეპიდზედამხედველობის პროგრამების დაფინანსების თვალსაზრისით. დღეისთვის ცენტრის თანამშრომლებს არ მიუღიათ ექვსი თვის ხელფასი, ანალოგიური პრობლემა მწვავედ დგას რაიონების ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიური სამსახურების წინაშეც. [illegible] **მედია ნიუსი**

### გრიპის სტატისტიკა

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, [illegible] გრიპით დაავადებულთა რაოდენობა 407 და სხვა რესპირატორული დაავადებებით 202 შემთხვევა.

4 მარტის მონაცემებით, გამოვლინდა გრიპის 183 და სხვა რესპირატორული დაავადების 174 შემთხვევა. 7 მარტს დაფიქსირდა გრიპის 28, სხვა რესპირატორული დაავადების 169 შემთხვევა. [illegible]

[illegible] **"მედია ნიუსი"**

### გამოვლინდა მენინგოკოკური ინფექციის ორი შემთხვევა

[illegible] **მედია ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** წლეულს, თებერვალში, საქართველოში შიდსის 12 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. [illegible] **მედია ნიუსი**

**თბილისი.** [illegible] **ინტერ-პრესი**

**ქუთაისი.** [illegible] **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** [illegible] **ინტერ-პრესი**

# „შემოვიდე სახლსა შენსა..."

*1996 წელს, ვაკის პანთეონის მიმდებარე ტერიტორიაზე, წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიწყო. მისი ერთ-ერთი აღმშენებელი ექიმი მანანა ილურიძეა. 1989 წელს მას შვილი დაეღუპა და, როგორც თავად აცხადებს, ამ ტაძრის აშენება შვილის სულის უკვდავსაყოფად სურდა. 2002 წლის აგვისტოში ვაკის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად მამა ბაქარი მოვიდა. ამ დღიდან ილურიძესა და წინამძღვარს შორის უთანხმოება დაიწყო, რომელიც დღითიდღე სულ უფრო მძაფრ ხასიათს იღებს.*

თამარ დვალი

"მამა ბაქარ ბურდული მოსვლისთანავე აგრესიული იყო. მისივე სიტყვებით, მას ვაკეში, სარფიან ადგილას სურდა მოსვლა და ამ სურვილის ასრულებაში საპატრიარქო დაეხმარა. მან მოსვლისთანავე ხელფასი მომთხოვა - 150 ლარი, თან იცრუა, რომ ამას საპატრიარქოს კურთხევით აკეთებდა. როდესაც მოვთხოვე წერილობითი დადასტურება, აგრესიაც მაშინ გამოამჟღავნა. მამა ბაქარმა უსაფუძვლოდ ამიკრძალა ზიარება, გამაძევა ტაძრიდან და ფიზიკური განადგურებით დამემუქრა. მრისხანებაში მყოფი მემუქრებოდა, რომ გამოიძიებდა, თუ რა სახსრებით ავაშენე ტაძარი. ასევე უსაფუძვლოდ გააძევა ტაძრიდან სამი მესანთლე", - თქვა ილურიძემ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე და განაცხადა, რომ მამა ბაქარი შეკვეთილ წირვაში მრევლს 100 ლარს სთხოვდა, დაწესებული ჰქონდა საკუთარი ტარიფები და ერთ სანთელში, ათი თეთრის ნაცვლად, ხალხს ოც თეთრს ახდევინებდა. "მღვდელი შეგნებულად აპირისპირებს მრევლის წევრებს ერთმანეთთან. მას ტაძარი მხოლოდ მატერიალური შემოსავლის წყაროდ უნდა. "მამა ბაქარმა გამაფრთხილა, მეუფე გერასიმესთან მიტანილ განცხადებას უკან თუ არ წამოვიღებდი, ტყვიის სროლით და შვილის საფლავიდან ამოთხრით დამემუქრებოდა. საპატრიარქო ამაზე დუმს და ასეთ მღვდელს მფარველობს. დეკანოზმა, ლევან ფირცხალაიშვილმა, რომელიც ბურდულის ნათელ-მირონნია, საპატრიარქოს წმინდა კედლებში გამომიცხადა, რომ მე სატანა და თვითმარქვია ვარ. მან მამა ბაქარის სიტყვებიც დაადასტურა და მითხრა, რომ ეს ის კაცი იყო, რომელიც ნათქვამს სისრულეში მოიყვანდა და ტყვიას დამახლიდა. ამის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ყოველივე ჩემს წინააღმდეგ მიმართული, ცილისმწამებლური და ბინძური კამპანიაა", - აცხადებს ილურიძე. საპატრიარქოს პრეს-სამსახურის უფროსმა, მამა დავით შარაშენიძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ ტაძრის აღმშენებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს ტაძრის მისაკუთრებაზე. "ყველაფერი იქედან დაიწყო, როდესაც ამ ქალბატონმა ტაძარზე მესაკუთრეობის პრეტენზია გამოთქვა. მამა ბაქარის მისვლამდე წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ორი მოძღვარი იყო. იქ არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, მათ სხვა ტაძარში გადასვლა ითხოვეს. მე არაინაირი ინფორმაცია არ მაქვს მამა ბაქარის მუქარის შესახებ," - გვითხრა მამა დავითმა. მანანა ილურიძე პატრიარქთან შეხვედრას ითხოვს და აცხადებს, რომ მის ამ სურვილს საპატრიარქოს წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან. როგორც მეუფე ზაქარიამ გვითხრა, ამ საკითხის განხილვა მას სწორედ პატრიარქმა დაავალა და, აქედან გამომდინარე, პატრიარქი ამ ვითარებას კარგად იცნობს. "ქალბატონმა მანანამ ითხოვა ეკლესიის აშენების უფლება. საეკლესიო წესით, ტაძარი შემოწირულობით შენდება და არა ერთი ადამიანის მიერ. როგორც გაირკვა, ამ ქალბატონმა ზედმეტი უფლებები მოითხოვა და პრეტენზია ჰქონდა მისი ნებართვის გარეშე მღვდელი არ დანიშნულიყო. ვითვალისწინებთ მის მდგომარეობას, მაგრამ ეკლესიის ხელშეუხებლობა უფრო გასათვალისწინებლად მიმაჩნია. მრევლი ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს. მამა ბაქარის მოსვლამდე ტაძარში ორი მოძღვარი მსახურობდა, მაგრამ მათ, მოსალოდნელ უთანხმოებას, თავი აარიდეს და სხვაგან გადასვლა ითხოვეს. სიცრუეა, როდესაც ქალბატონი მანანა აცხადებს, რომ საპატრიარქო საქმის კურსში არ არის ან ვინმეს მფარველობს. ჩვენ რა შეგვიძლია გავაკეთოთ, როდესაც ამ ქალბატონს პოზიციების დათმობა არ უნდა, მრევლი კი მამა ბაქარის წასვლის წინააღმდეგია," - ამბობს მეუფე ზაქარია. ვაკის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ბაქარ ბურდულმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა: "მე ყაჩაღი კი არა, მღვდელი ვარ. რა უფლება მაქვს, საფლავი ამოვთხარო. თუკი ჩემი მრევლი ჩემს წინააღმდეგ წავა და რამეში დამადანაშაულებს, მაშინვე დავტოვებ ეკლესიას. მე, როდესაც ამ ეკლესიაში მივედი, ყველაფერს ის განაგებდა. 3 შესაწირი ყუთი ედგა და თავად იღებდა შემოსულ თანხას. როდესაც ვუთხარი, რომ ეკლესიის შემოსავალ-გასავალი საპატრიარქოს საქმე იყო, მიპასუხა, რომ მას ბინა დაგირავებული ჰქონდა და თანხა სჭირდებოდა. ქალბატონ მანანას ბაზრიდან სამ თეთრად შემოჰქონდა სანთელი და ყიდდა. რაც შეეხება ეკლესიაში შემოსვლას, რა უფლება მაქვს, ვინმეს ავუკრძალო. მიმაჩნია, რომ მას არ აქვს უფლება, ეკლესიის ტერიტორია საკუთრებასავით განკარგოს."

ეს სამწუხარო ამბავი, ალბათ, წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებით შეიძლება დავამთავროთ: "შემოვიდე სახლსა შენსა, თაყვანი ვსცე ტაძარსა წმინდასა შენსა, შიშითა შენითა უფალო..."

# დათმობენ თუ არა უმაღლესი სასწავლებლები სახელმწიფო გამოცდებს?

*იურისტის კვალიფიკაციის დიპლომი შესაბამისმა სამინისტრომ უნდა გასცეს - ასეთია გერმანიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ბევერის დორფის რეკომენდაცია. ასეთი საგამოცდო სისტემა უკვე რამდენიმე წელია გერმანიაშიც მოქმედებს, თუმცა დიპლომს კურსადმთავრებულთა მხოლოდ სამოცი პროცენტი ღებულობს.*

ეთერ მამულაშვილი

რამდენიმე დღის წინ თბილისში იმყოფებოდნენ სომხეთის, აზერბაიჯანის და გერმანიის ქვეყნების იურისტთა დელეგაციები. ჩატარდა სპეციალური ერთდღიანი კონფერენცია იურიდიული განათლების რეფორმის შესახებ, რომელზედაც კავკასიის სამივე ქვეყნის წარმომადგენლობამ ისაუბრა თავიანთ რეგიონებში მიმდინარე იურიდიული განათლების რეფორმის შესახებ. სხვა რეკომენდაციებთან ერთად გერმანულმა მხარემ კავკასიის ქვეყნებს ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდების დანერგვა ურჩია. ამ მხრივ, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლები შეთანმხდნენ, რომ შესაბამისი ნაბიჯის გადადგმას საკუთარ ქვეყანაში აუცილებლად შეეცდებიან. თუ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში შედეგი დროის საკითხია, საქართველოში ამ იდეის განხორციელებას, ალბათ, სერიოზული წინააღდეგობები შეხვდება.

დღეს საქართველოში ორასამდე რეგისტრირებული კომერციული და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია, რომელთა უმეტესობა სახელმწიფო გამოცდების "გარეთ გატანას" იოლად ვერ შეელევა.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც პრეზიდენტისგან ავტონომიურობის უმაღლესი ხარისხი აქვს მინიჭებული, გამოსაშვები გამოცდების სხვებისთვის "დათმობას" არ აპირებს. იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, რომან შენგელია ფიქრობს, რომ სახელმწიფო გამოცდების უნივერსიტეტიდან გატანა საგამოცდო კომისიისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის უნდობლობის გამოცხადებას ნიშნავს. ამას გარდა, არის კიდევ რამდენიმე მიზეზი, რის გამოც თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი კატეგორიულად უარს ამბობს - სახელმწიფო გამოცდების იუსტიციის სამინისტროსთვის გადაბარებაზე. **"იუსტიციის სამინიტროში თანამშრომელთა უმრავლესობა, მინისტრის მოადგილეებიდან დაწყებული, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. რამდენად ლოგიკური და სწორია, რომ ჩვენმა გუშინდელმა კურსდამთავრებულმა ჩაიბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა?",** - კითხულობს რომან შენგელია. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი დარწმუნებულია, რომ კურსდამთავრებულისთვის იურისტის კვალიფიკაციის მინიჭება, უმაღლეს სასწავლებლის პრეროგატივაა და უნივერსიტეტის ყველა კურსდამთავრებული იურისტის მანტიის ღირსია.

სულ სხვას ფიქრობენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც იურიდიული განათლების რეფორმის საკუთარი პროექტები აქვთ შემუშავებული. არასამთავრობოები ამბობენ, რომ უმაღლესი სასწავლებლები სახელმწიფო გამოცდებს, როგორც ერთ-ერთ შემოსავლის წყაროს, საკუთარი ნებით არასდროს დათმობენ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის თავჯდომარე, ზაზა რუხაძე, რომელიც ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდების ინიციატივის აქტიური მხარდამჭერია, გამოცდების ამ სისტემაზე გადასვლის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე საუბრობს. **"დღევანდელ ვითარებაში, როცა ჩვენი სახელმწიფო ჩართულია სხვადასხვა ინტეგრაციულ პროცესებში, იურისტის პროფესია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს კი ქვეყანას აყენებს იმის აუცილებლობის წინაშე, რომ მაღალკვალიფიციური და დასავლური სტანდარტის იურიდიული კადრი ჰყავდეს. ამის გამო, პასუხისმგებლობა სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს. სახელწიფო უნდა იყოს დამკვეთი და, შესაბამისად, კვალიფიკაციის მინიჭებაც მისი პრეროგატივა უნდა იყოს",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ზაზა რუხაძემ, რომელიც დარწმუნებულია, რომ ხსენებულ საგამოცდო სისტემაზე გადასვლა, უმაღლესი განათლების სფეროში დღეს არსებულ რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემასაც მოაგვარებს. კერძოდ, ამაღლდება სწავლების დონე და ხარისხი, რაც უმაღლეს სასწავლებლებს თვითკრიტიკისა და შეფასების შესაძლებლობას მისცემს, შემცირდება დაბალი დონის სასწავლებელთა რიცხვი, გარკვეულწილად, იკლებს მისაღები გამოცდების დროს კორუფციის შემთხვევები და ე.წ. "ჩაწყობის" შესაძლებლობებიც, რადგან **"თუ აბიტურიენტს წინასწარ ეცოდინება, რომ შეიძლება ისწავლოს, მაგრამ ვერ მიიღოს დიპლომი და, შესაბამისად, არ ექნება იურისტის კვალიფიკაცია, მაშინ ის აღარ გადაიხდის მისაღებ გამოცდაზე ფულს",** - ფიქრობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე.

რაც შეეხება კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებს, ზოგიერთი მათგანი ზემოთ ხსენებულ საგამოცდო მოდელზე გადასვლას მხოლოდ რამდენიმე პირობის შესრულების შემთხვევაში დათანმხდება. "ალმა-მატერის" იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, დავით მანაგაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა **"თუკი იქნება ობიექტური, მიუკერძოებელი და კომპეტენტური კომისია, სადაც უნდათ, იქ ჩატარდეს გამოცდები. ჩვენ არ ვართ წინაღმდეგი - პირიქით. ასეთ შემთხვევაში აშკარად გამოჩნდება ჩვენი კურსდამთავრებულების მაღალი ცოდნის დონე და ხარისხი".**

როგორ გადაწყდება ეს საკითხი, ამის პროგნოზირება დღეს ექსპერტებსაც უჭირთ. როგორც ისინი ამბობენ, ამ შემთხვევაში მთავარი მხოლოდ პოლიტიკური ნების გამოვლენაა და მეტი არაფერი.

# ადამიანების გატაცებებში ქალებიც მონაწილეობდნენ

პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის მესამე ფაზა ძალაში შევიდა, თუმცა, მას არც საგუშაგოების რიცხვის გაზრდა, არც დამატებითი ძალების შეყვანა არ მოჰყოლია. სხვათა შორის, კერძო საუბრებში, იქაურები გაკვირვებასაც კი გამოთქვამენ იმის გამო, თუ რატომ გამოცხადდა ოპერაციის განახლება, როცა ის არც შეწყვეტილა.

იქ მოღვაწე სამართალდამცველების თქმით, პანკისში აქამდეც ძველებურად გრძელდებოდა პატრულირებაცა და ოპერატიული მუშაობაც. სხვათა შორის, ამის დამადასტურებელი არგუმენტებიც კი არსებობს – იანვარ-თებერვალში ხეობაში 10 ძებნილი პირი დაუკავებიათ, მათ შორის - სერიოზული დამნაშავეებიც. თუ გაიხსენებთ პანკისური ოპერაციის აქტივობის საშემოდგომო პიკის დროს დაპატიმრებულთა რაოდენობას, ახლანდელი მაჩვენებელი მაშინდელს ბევრით არ ჩამოუვარდება.

პოლიციის ინფორმაციით, 2003 წლის პირველ ორ თვეში პანკისის ხეობაში დაკავებულთა შორის ორი მსხვილი ნარკობარონია. ერთის, ადამ თათიაშვილის ვინაობა ქართველ სამართალდამცველთათვის მრავლისმეტყველია: მის სახელს პანკისიდან გამოსული ნარკოტიკების თითქმის ყველა მსხვილი პარტია უკავშირდება. თათიაშვილს ბევრით არ ჩამოუვარდება მეორე დაკავებული – ამ ცოტა ხნის წინათ დაპატიმრებული ცნობილი პანკისელი ნარკოვაჭრის, იური ბაღაკაშვილის ძმა. პოლიციელთა ცნობით, იგი ორიოდ თვის წინ ერთხელ უკვე აღმოჩნდა სამართალდამცველთა ხელში, თუმცა, გაურკვეველი მიზეზით, თავდებით მოახერხა გათავისუფლება და საქმიანობაც ძველებურად გააგრძელა. ახლა უკვე იგი მეორედ დააპატიმრეს იმავე ბრალდებით – ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის გამო.

10 დაკავებულს შორის ერთი ქალია. მას გასულ წლებში მომხდარ რამდენიმე გატაცებასთან უშუალო კავშირი ბრალდება. ერთ-ერთი გატაცებული 12 წლის გოგონა გახლდათ. ეს ამბავი 1999 წელს მოხდა. ამჟამად უკვე დაკავებული ომალოელი ქალბატონი კი გატაცებული ბავშვის მშობლებსა და გამტაცებლებს შორის შუამავლის როლს კისრულობდა – ოჯახისგან გამოსასყიდი თანხის გამოძალვას უზრუნველყოფდა. გოგონა გამტაცებლებმა ოთხ დღეში გაათავისუფლეს, თუმცა, ომალოელ ქალს მოღვაწეობა ამით არ შეუწყვეტია. შუამავლის ფუნქცია მას კიდევ რამდენიმე გატაცების საქმეში ჰქონდა დაკისრებული. კერძოდ, მისი დახმარებით მოახერხეს 2000 წელს ყარაჯაელი ისან იბრაგიმოვის გამტაცებლებმა გატაცებულის ოჯახისთვის 30 ათასი დოლარის გამოძალვა, რის შემდეგაც, გატაცებიდან ერთი კვირის თავზე, იბრაგიმოვი გაათავისუფლეს.



*პოლიციის ყოველდღიური ოპერატიული სამუშაო*

დღეს დაკავებულთა საქმეებს სამართალდამცველი ორგანოები იძიებენ. რაც შეეხება ანტიკრიმინალური ოპერაციის მესამე ფაზის დაწყებას, ამის თაობაზე წინასწარ განცხადებების გაკეთების შემდეგ სამართალდამცველებს მუშაობის პირობები გაურთულდათ – დამნაშავეთა სამყარო მოსალოდნელმა სპეცოპერაციებმა განსაკუთრებული სიფრთხილისთვის განაწყო.

# ორი მეგობრის მკვლელობაში ბრალდებულს სამუდამო პატიმრობა ემუქრება

თამარ კაციტაძე

უზენაესი სასამართლო რამდენიმე დღეში ორი მეგობრის მკვლელობაში ბრალდებული ზაზა ქუთათელაძის საქმის განხილვას დაიწყებს.

ოთხი წლის მანძილზე განძრახ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი ქუთათელაძე 2001 წლის დეკემბრის ბოლოს პოლიციის სპეცრაზმმა საკუთარ სახლში დააკავა.

აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომების მონაწილე ზაზა ქუთათელაძეს, მეტსახელად "გუტენას", თანამებრძოლი მეგობრების - გია თარგამაძის და ლადო მანჯგალაძის განზრახ მკვლელობისთვის, პოლიციელთა მკვლელობის მცდელობისთვის, იარაღის უკანონო ტარებისა და სხვა დანაშაულებებისათვის ბრალი მკვლელობიდან სამ დღეში – 1997 წლის 26 ივლისს დაუსწრებლად წარუდგინეს. დაკავებამდე, სავარაუდოდ, იგი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიას აფარებდა თავს და ამ ხნის მანძილზე მასზე ძებნა იყო გამოცხადებული.

დაკავებულმა ქუთათელაძემ თავი უდანაშაულოდ ცნო და დუმილის უფლება გამოიყენა.

ჰქონდათ თუ არა მკვლელობამდე კონფლიქტი მეგობრებს, ან რა გახდა საბოლოოდ სისხლიანი ანგარიშსწორების მიზეზი, დაზუსტებით არავინ იცის, რადგან ინციდენტის უშუალო მონაწილენი გარდაცვლილები არიან; დუმილს არჩევენ საერთო მეგობრებიც.

გამოძიებით შეკრებილი მასალებით კი მკვლელობის სურათი ასეთია:

1997 წლის 18 ივლისს გია თარგამაძე, ლადო მანჯგალაძე, მამუკა ჭეიშვილი, მამუკა ნაჭყებია და ზაზა ქუთათელაძე გია თარგამაძის მამინაცვლის რესტორან "თეთრ დუქანში" ქეიფობდნენ.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, რამდენიმე ხნით ადრე ზაზა ქუთათელაძეს ლადო მანჯგალაძის ნათესავისგან ავტომობილი "ზაპოროჟეცი" უყიდია, მაგრამ თანხა დათქმულ დროს არ მიუტანია. რესტორანში მეგობრებს საქმის გარჩევა სწორედ "ზაპოროჟეცის" გამო დაუწყიათ.

როგორც საუბარში გაირკვა, ქუთათელაძე "ზაპოროჟეცის" პატრონისთვის არც ფულის მიტანას აპირებდა და არც მანქანის დაბრუნებას, რის გამოც იგი გაუმტყუნებიათ. მეგობრებიდან ყველაზე მეტად ქუთათელაძეს თარგამაძის შენიშვნა სწყენია, უყვირია – თუ ადგილზე არ დაგადუღეთ, კაცი არ ვიყოო - და რესტორნიდან გაქცეულა.

"თეთრ დუქანში" მომხდარი ინციდენტიდან რამდენიმე დღეში, 23 ივლისს ზაზა ქუთათელაძეს თავის მეგობარ აკაკი გვარამიასთვის მისი მანქანით ათონელის ქუჩაზე გაყვანა უთხოვია, ისე რომ განზრახვა არ გაუმხელია. გვარამიას ჩვენებით, ქუთათელაძეს გზაში დიდი დიღმის დასახლებაში შეუვლია და უკან სპორტული ჩანთით დაბრუნებულა. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ჩანთაში ავტომატი იდო.

მეგობრები გია თარგამაძის ადგილსამყოფელის დასადგენად ჯერ რესტორან "თეთრ დუქანში" მისულან. თარგამაძის დედას შვილის მეგობრისთვის უთქვამს - ბიჭები უბანში არიანო.

ქუთათელაძეს გვარამიასთვის მანქანა ორბელიანის კუთხეში გაუჩერებინებია, თვითონ კი ჩანთიანად გადასულა. გია თარგამაძე, ლადო მანჯგალაძე და კობა მანჯგალაძე ფურცელაძის ქუჩაზე მაღაზია "ნანასთან" მდგარან.

თვითმხილველთა თქმით, ქუთათელაძემ ჯერ თარგამაძეს ესროლა, შემდეგ ლადო მანჯგალაძეს და შემდეგ სროლა კობა მანჯგალაძისთვისაც დაუწყია, მაგრამ მას სადარბაზოში დამალვა მოუსწრია.

სროლის ხმაზე შემთხვევის ადგილას კრწანისის რაიონის ოთხი პოლიციელი მისულა. ქუთათელაძემ ცეცხლი მათაც გაუხსნა, სროლა-სროლით გვარამიას მანქანაში ჩამჯდარა და შემთხვევის ადგილიდან გაქცეულან.

გვარამიას მანქანაზე ქალაქში მაშინვე ძებნა გამოცხადდა. სანაპიროზე მანქანა საგზაო პოლიციის ასეულის უფროსის მოადგილემ ალექსანდრე ჯაფიაშვილმა გააჩერა. მოულოდნელად, ქუთათელაძემ ავტომატი პოლიციელს დაუმიზნა და მოკვლით დაემუქრა. შეშინებულმა ჯაფიაშვილმა უკან დაიხია. დამნაშავე ჯერ პოლიციელის მანქანაში ჩაჯდა და გაქცევა სცადა, მაგრამ მანქანა ვერ დაქოქა, შემდეგ გვარამია გადმოაგდო მანქანიდან, საჭესთან თვითონ დაჯდა და გაიქცა.

გვარამიას მანქანა რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს სამხედრო გზაზე იპოვეს.

ერთი სიტყვით, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, გია თარგამაძის და ლადო მანჯგალაძის მკვლელობის გამოძიება კრწანისი-მთაწმინდის რაიონის პროკურატურამ დასრულებულად გამოაცხადა და საქმე შემდეგი განხილვისათვის უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა.

ინფორმაცია

## პატიმრები გვირაბში დაიჭირეს

ქსნის კოლონიის თანამშრომლებმა ორი პატიმრის გაქცევის მცდელობა აღკვეთეს. განზრახ მკვლელობისთვის გასამართლებულ ძმებს, ვეფხია და სოსო დრობიშეკებს გვირაბის თხრისას წაასწრეს. მათ უკვე მოესწროთ ოთხმეტრიანი სიგრძის გვირაბის გათხრა. ძმებს უზენაესმა სასამართლომ განაჩენი ორიოდ წლის წინ გამოუტანა და მათ ციხეში კიდევ კარგა ხანი აქვთ გასატარებელი. გაქცევის მცდელობის გამო უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და, სავარაუდოდ, ერთი ძმის - თხუთმეტ, მეორის კი ოცწლიან სასჯელს გაქცევის მცდელობისთვის დაკისრებული რამდენიმეწლიანი პატიმრობაც დაემატება.

## წყალტუბოელები პოლიციას ეხმარებიან

გუშინ წყალტუბოს მოსახლეობამ ქუთაისი-ლენტეხის გზის გადაკეტვა სცადა. მათი აღშფოთება ქალაქსა და მთლიანად რაიონში გახშირებულმა ყაჩაღურმა თავდასხმებმა გამოიწვია. გზის გადაკეტვა ხალხს სოფელ ჯიმასტაროში, ჯემალ ჩაკვეტაძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისას, 12 წლის გოგონას მკვლელობამ გადააწყვეტინა.

როგორც ცნობილია, ტრაგედია გუშინწინ მოხდა. ჩაკვეტაძეებთან შევარდნილმა ნიღბიანმა ყაჩაღებმა, წინააღმდეგობის გაწევის გამო, დანით დაჭრეს ოჯახის უფროსი ჯემალ ჩაკვეტაძე, გაქცევისას კი ოთახში, სადაც ბავშვები იმყოფებოდნენ, ხელყუმბარა შეაგდეს. ხელყუმბარის აფეთქების შედეგად დაიღუპა 12 წლის ვენერა გადაზიანი, ხოლო 14 წლის ირაკლი გადაზიანი მძიმედ დაიჭრა. მოგვიანებით, მას წვივის ამპუტაციის ოპერაცია ჩაუტარეს. ბოროტმოქმედებმა გაქცევა მოახერხეს და, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ რაიონში შესასვლელი ყველა გზა გადაკეტა, გუშინ საღამომდე ყაჩაღები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაკავებულნი.

როგორც მომხდარით აღშფოთებული მოსახლეობა ამბობს, მომხდარმა მათი მოთმინების ფიალა აავსო – ბოროტმოქმედებს დაუსჯელობის იმედი აქვთ და თანდათან უფრო და უფრო სასტიკ მეთოდებს იყენებენ.

**"წყალტუბოში ყაჩაღური თავდასხმები ძალზე ხშირია, მაგრამ ამის გამო დასჯილი ცოტა გვინახავს. პოლიციის უმოქმედობა დამნაშავეებს ხელ-ფეხს უხსნის",** - ამბობდნენ გზის გადაკეტვის მსურველები, თუმცა, გზა საბოლოოდ აღარ გადაკეტეს.

**"პირიქით, მოსახლეობა დიდ დახმარებას გვიწევს დამნაშავეების ძებნაში,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას წყალტუბოს პოლიციის უფროსმა გელა დარსაძემ, - **ისინი ყველაფერში მხარში გვიდგანან – სახლების ჩხრეკაზე მიდგება საქმე თუ ტყეში ძებნაზე. გზის გადაკეტვა მათ მალევე გადაიფიქრეს, როცა მიხვდნენ, რომ ჩვენ ძალას არ ვიშურებთ დამნაშავეების დასაკავებლად".**

## პრობლემატური პატიმარი

ადამიანების გატაცებებისთვის ბრალდებული ნუგზარ გვიჩიანი სამართალდამცველებს, შეიძლება ითქვას, ციხეშიც იმდენივე პრობლემებს უქმნის, რამდენსაც თავისუფლად ყოფნისას ახერხებდა. არაერთი ადამიანის გატაცებისთვის პასუხისგებაში მიცემული გვიჩიანის კრიმინალურ საქმიანობაზე ლეგენდები დადის. ამბობენ, მას ადამიანებით საბითუმო ვაჭრობა ჰქონდა გაჩაღებული და ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, რომ მას გატაცებულები ერთმანეთში შეშლია და გამოსასყიდის გადამხდელისთვის მათი კი არა, სულ სხვა გატაცებული მიუყვანია. მისი გამოაშკარავების შესახებაც მეტად საინტერესო ისტორიას ყვებიან: თითქოს გვიჩიანმა მეგობარს მანქანა ისე ათხოვა, რომ დაავიწყდა, საბარგულში გაკოჭილი გატაცებული რომ ჰყავდა გადამალული. მეგობარს მანქანა გაუფუჭდა, ხელოსანთან მიიყვანა და საბარგულში სამუშაო იარაღების ნაცვლად ხელ-ფეხ შეკრული, პირში ნაჭერჩატენილი ბავშვი დახვდათ.

უკვე დაპატიმრებულმა გვიჩიანმა საოლქო სასამართლოდან მოახერხა ამ ზაფხულს გაქცევა. ბადრაგის წევრი, რომელიც მან გაქცევისას დაჭრა, საავადმყოფოში გარდაიცვალა. თავად გვიჩიანი კი საოლქო სასამართლოს მახლობლად, თონეში დამალული იპოვეს.

გუშინ კი მან ახალი საზრუნავი გაუჩინა გუშაგებს: ლურსმანი ჩაირტყა მუცელში. სასჯელაღსრულების დაწესებულების მოკვლევის სამსახურში ირწმუნებიან, რომ გვიჩიანს ციხის საავადმყოფოში მოხვედრა სურდა. თურმე, პატიმრები თვითდაზიანების მეთოდს ხშირად მიმართავენ, რომ ისინი ციხის საავადმყოფოს შედარებით მსუბუქ რეჟიმში ამყოფონ.

ძნელი სათქმელია, მომავალში კიდევ რა პრობლემებს შეუქმნის პატიმარი გვიჩიანი გუშაგებს, თუმცა, საავადმყოფოში გადაყვანას მან უკვე მიაღწია.

## აფხაზეთის საბაჟო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე მძევლობიდან გაათავისუფლეს

გუშინწინ აფხაზეთში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად მოხერხდა გამტაცებელთა ხელიდან აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის საბაჟო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ასლან კობახიას გათავისუფლება.

აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ასლან კობახია ამჟამად გუდაუთაში, საკუთარ სახლში იმყოფება და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. სეპარატისტები, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კობახიას გათავისუფლების დეტალებს, ჯერჯერობით, არ ახმაურებენ. უცნობი რჩება ისიც, თუ სად, როდის და რა ვითარებაში ჩატარდა სპეცოპერაცია.

გათავისუფლებული მძევალი ბოლო დროს სამეწარმეო საქმიანობით იყო დაკავებული. იგი 12 თებერვალს, ღამით, სოხუმიდან გაიტაცეს. გამტაცებლები გამოსასყიდს ითხოვდნენ, თუმცა, რა თანხაზე იყო საუბარი, ამას აფხაზები საიდუმლოდ ინახავენ. ასლან კობახიას 1996-2002 წლებში სეპარატისტთა საბაჟო კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა. თუმცა, ამბობენ, რომ ბოლო ხანებში მას არძინბასა და მის ხალხთან ურთიერთობა გაურთულდა.

## მოკლეს ბულგარელი მილიარდერი

ბულგარელი მილიარდერი ილია პავლოვი სოფიაში მას შემდეგ მოკლეს, რაც ის მოწმის სახით დაკითხა ბულგარელმა მოსამართლემ. სასამართლო ხუთი ბრალდებულის საქმეს განიხილავს – სამ ბულგარელსა და ორ უკრაინელს ბრალად ედებათ ბულგარეთის პირველი პოსტკომუნისტური ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის, ანდრეი ლუკანოვის მკვლელობა.

ილია პავლოვი სასამართლოს წინაშე ხუთშაბათს წარსდგა, პარასკევს კი მას საკუთარი ოფისის წინ ესროლეს. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა – ბიზნესმენი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. "პავლოვის სიკვდილის მიზეზი ერთადერთი ტყვია გახდა, რომელმაც გულში გაუარა", - განაცხადა ბულგარეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ილია პავლოვი ბულგარეთის უმდიდრეს ადამიანად ითვლებოდა. სოციალისტურ წარსულში ის სპორტს მისდევდა და, როგორც ძალოსანმა, სახელიც კი მოიხვეჭა,. მოგვიანებით ის კომერციულ საქმიანობაში ჩაერთო და წარმატებითაც. პავლოვის ქონება 1,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. ის ხელმძღვანელობდა ბულგარეთის უმსხვილეს საწარმოო კომპლექსს MG Corporation-ს, რომელშიც 10 ათასი ადამიანია დასაქმებული. გასულ წელს კი პოლონურმა ბიზნეს-ჟურნალმა აღმოსავლეთ ევროპის უმდიდრესი ადამიანების ჩამონათვალში მისი გვარი მერვე ადგილზე დააყენა.

ილია პავლოვი 2001 წელს შემთხვევით გადაურჩა მისთვის მოწყობილ მახეს და სახლისკენ მიმავალ გზაზე ჩადებული ბომბის აფეთქების შედეგად არ დაზარალებულა.

რაც შეეხება მკვლელობამდე ერთი დღით ადრე ყოფილი პრემიერ-მინისტრის მკვლელობის საქმეზე სასამართლოში გამოსვლას, პავლოვმა განაცხადა, რომ ლუკანოვს ბიზნესიდან იცნობდა. თავად ლუკანოვი 1989 წელს ბულგარეთის კომუნისტი ლიდერის, ტოდორ ჟივკოვის ჩამოგდების ორგანიზატორი გახლდათ. ის 1996 წლის ოქტომბერში საკუთარ სახლთან მოკლეს. მაშინ ბულგარეთის საინფორმაციო საშუალებები ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ მკვლელობა შეკვეთილ ხასიათს ატარებდა და პრემიერ-მინისტრის კომერციულ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული.

# აფიორა ენერგოსექტორში - გასამართლებულია მხოლოდ შემსრულებელი

პირველი გვერდიდან

პროკურატურის მონაცემებით, ნინიკაშვილმა კომერციული საქმიანობა თავდაპირველად წიდის რეალიზაციით დაიწყო. კერძოდ, მონახა ფირმა, რომლის ხელმძღვანელიც უკვე გარდაცვლილი იყო და შეადგინა ყალბი დოკუმენტი, თითქოს აღნიშნული ფირმისგან 1800 ათასი ტონა წიდა შეიძინა. პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ მას გადასახადები არ გადაუხდია. ამ გზით მან ბიუჯეტს 373 ათასი ლარი დააკლო, რამაც საბოლოოდ, სანქცია-საურავების დარიცხვით, 700 ათას ლარამდე მიაღწია. აღნიშნული თანხა არაფერია იმასთან შედარებით, რაც ნინიკაშვილმა მოგვიანებით "ლაჯანურჰესიდან" თაღლითური გზით მიითვისა.

ფირმა "ევროპის" ხელმძღვანელმა შეიტყო, რომ სააქციო საზოგადოება "მინას" "ლაჯანურჰესის" 190 ათასი ლარი ვალი ემართა. ჰესისთვის ეს ვალი უიმედო იყო, ანუ მათ ვერაფრით მოახერხეს "მინადან" აღნიშნული ფულის გადმორიცხვა. უეცრად გაჩნდა ნინიკაშვილი და ჰესს აღნიშნული ვალის მოთხოვნის უფლების დათმობა შესთავაზა. ფირმა "ევროპას" "მინადან" 190 ათასი ლარი რვა თვის განმავლობაში უნდა ამოეღო და ჰესისთვის შესაბამისი ღირებულების საჭირო საქონელი მიეწოდებინა. ნინიკაშვილმა მოახერხა და სააქციო საზოგადოება "მინადან", 4 თვის განმავლობაში, ხელზე 190 ათას ლარამდე თანხა მიიღო. თუმცა, ჰესისთვის ერთი თეთრის ღირებულების საქონელიც არ მიუწოდებია. ვინაიდან დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა, დაახლოებით, ერთი წელი იყო, ნინიკაშვილი ამ ხნის განმავლობაში ჰესის ხელმძღვანელობას ყოველდღე ჰპირდებოდა, რომ საჭირო საქონელს აუცილებლად მიაწვდიდა. მან დაარწმუნა "ლაჯანურჰესის" ხელმძღვანელობა, რომ ხელშეკრულება აუცილებლად შესრულდებოდა და მასთან პირველი ხელშეკრულების დადებიდან 4 თვეში, მეორე ხელშეკრულება დადო. ამჯერად, საქმე შპს "საქენერგო 2000-იდან" ჰესის კუთვნილი მილიონ 200 ათასი ლარის დავალიანების მოთხოვნის უფლების დათმობას ეხებოდა. ნინიკაშვილმა გაარკვია, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანას ამავე რაოდენობის ვალი "საქენერგო 2000"-ის ჰქონდა. ამიტომ ნინიკაშვილი შეეცადა, ფეროდან აღნიშნული ღირებულების პროდუქციის წამოღების ხარჯზე, მისთვის "საქენერგო 2000"-ს ვალი გაექვითა. პროდუქციის რეალიზებით მიღებული თანხით კი "ლაჯანურჰესს" გაისტუმრებდა. მაგრამ "ფეროსთან" მოლაპარაკებები ჩაეშალა და თანხის "დასაქონლება" ვერ მოახდინა. თუმცა, მოგვიანებით ნინიკაშვილმა სხვა გზას მიაგნო და აღნიშნული მილიონ 200 ათასი ლარის აქტივი, მილიონ 196 ათას ლარად სულ სხვა ფირმას მიჰყიდა, აღნიშნული თანხა, რა თქმა უნდა, სრულად ჩაიჯიბა. მიუხედავად ამისა, ნინიკაშვილმა "ლაჯანურჰესთან" კვლავ ახალ ხელშეკრულება დადო. ჰესს სარემონტო სამუშაოები ჰქონდა ჩასატარებელი, ამისათვის კი, დაახლოებით, 200 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. ამასთან დაკავშირებით, ფირმა "ევროპამ" შემდეგი ვალდებულება იკისრა: თუკი ჰესი აღნიშნული თანხის 50 პროცენტს წინასწარ გადაიხდიდა, "ევროპა" დაიქირავებდა სამშენებლო ფირმას და შესაბამის სამუშაოებს ჩაატარებდა. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, ჰესის სალაროდან ფირმა "ევროპაზე" 97 ათასი ლარი გაიცა. თანხის მიღების შემდეგ ნინიკაშვილმა სარემონტო სამუშაოები, რასაკვირველია, არ შეასრულა, ფული კი მთლიანად მიითვისა.

აღნიშნული ოპერაციების ფონზე ჩნდება კითხვა - თუკი ნინიკაშვილი არც ერთ შეთანხმებას არ ასრულებდა, რატომ დებდა ჰესი მასთან ახალ-ახალ ხელშეკრულებებს? იმერეთის ოლქის პროკურატურაში არ აკონკრეტებენ, თუ ვინ მფარველობდა ნინიკაშვილს, მაგრამ ამბობენ, რომ ნინიკაშვილთან ხელშეკრულების გასაფორმებლად, ჰესის ხელმძღვანელობაზე ზოგჯერ ენერგეტიკის სამინისტროდან სატელეფონო ზარის საშუალებით ზეწოლა ხორციელდებოდა. როდესაც ეს ვერ ჭრიდა, საქმეში "კანონიერი ქურდებიც" ერეოდნენ.

ზემოთ მოყვანილ ფაქტებთან ერთად, ფირმა "ევროპას" ხელმძღვანელს ერთი თაღლითური ოპერაცია კიდევ აქვს ჩატარებული, ოღონდ ამჯერად მან ტრადიციას უღალატა და უკვე კერძო ფირმა "ჯორჯიანიმპორტი" "გადააგდო". საქმე ისევ ენერგეტიკის სფეროში ვალის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებას ეხება. კერძოდ, "საქენერგოს" "ჯორჯიანიმპორტის" 281 ათასი ლარი მართებდა. ნინიკაშვილმა ამ თანხის დასაქონლება "ფეროში" მოახერხა, ანუ იქიდან 141 ტონა პროდუქცია წამოიღო. სანაცვლოდ კი "ფეროს" "საქენერგომ" ამავე რაოდენობის ვალი გაუქვითა. ნინიკაშვილმა პროდუქცია საზღვარგარეთ გაიტანა და 300 ათას ლარად რუსეთის ერთ-ერთ ფირმას მიჰყიდა. ნინიკაშვილს "ჯორჯიანიმპორტისთვის" ანგარიშსწორება დღემდე არ მოუხდენია.

2001 წლის 15 ნოემბერს პროკურატურის მოკვლეული მასალების საფუძველზე ნინიკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და იგი დააპატიმრეს. თუმცა, ნინიკაშვილმა ფინანსური მაქინაციების კეთება ამის შემდეგაც განაგრძო და, კვლავ ყალბი დოკუმენტების მეშვეობით, სასჯელისაგან თავის დაძვრენა სცადა. მან წარმოადგინა ხელშეკრულება, საიდანაც ირკვეოდა, რომ თითქოსდა "ლაჯანურჰესიდან" წამოღებული მილიონ 700 ათასი ლარი ქუთაისში რეგისტრირებული ერთ-ერთი ფირმის მეპატრონეს გადასცა, რომელიც თურმე 2 თვეში გარდაიცვალა. გამოძიებამ იმუშავა და დაადგინა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ყალბი იყო.

პროკურატურამ ნინიკაშვილს საბოლოოდ ბრალი დასდო, "ლაჯანურჰესის" კუთვნილი 1 489 391 ლარის და შპს "ჯორჯიანიმპორტის" კუთვნილი 281 ათასი ლარის მითვისებაში. მას პროკურატურა სახელმწიფოსთვის 373 356 ლარის გადასახადებისგან თავის არიდებასა და ყალბი დოკუმენტების დამზადებასაც ედავება.

აღსანიშნავია, რომ გამოძიების პროცესში ნინიკაშვილს თავი დამნაშავედ არ უცვნია. იგი დუმილის უფლებით სარგებლობდა. ნინიკაშვილის მიერ მითვისებული თანხების ამოღება ვერც სამართალდამცველებმა შეძლეს, რადგან იგი საბანკო ოპერაციებს თითქმის არასოდეს აწარმოებდა და თანხას ყოველთვის ხელზე ღებულობდა.

გიორგი ნინიკაშვილის საქმე ჭიათურის მოსამართლე ტაბატაძემ განიხილა. პროცესზე კამათში მონაწილე პოკურორმა, საოლქო პროკურატურის უფროსმა თანაშემწემ მურთაზ კაპანაძემ განსასჯელისთვის 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. პროკურატურაში აცხადებენ, რომ ამ მოთხოვნას ნინიკაშვილის მხრიდან მუქარა მოჰყვა - "ევროპას" ხელმძღვანელი მურთაზ კაპანაძეს მოკვლით დაემუქრა.

მართალია, პროკურატურამ, გიორგი ნინიკაშვილის სახით, ერთი თაღლითის გამოვლენა შეძლო, მაგრამ გამოძიებას აქვს ეჭვი, რომ მას კრიმინალური ავტორიტეტები და ხელისუფლების წარმომადგენლები მფარველობდნენ. თუმცა, ამის შესახებ არც ბრალდებული საუბრობს და არც დაზარალებულები მიუთითებენ. რამდენიმე გვარმა პროცესზე თავად ნინიკაშვილის მხრიდან გაიჟღერა, მან განაცხადა, რომ გამომძიებელი მიშიკო ჩოგოვაძე ბრალდებულს სთხოვდა, ჩვენებებში დაეფიქსირებინა, რომ მას ზურგს ნუგზარ შევარდნაძე და საქართველოს გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე უმაგრებდნენ. პროკურატურა ნინიკაშილის ამ განცხადებებს საქმისთვის პოლიტიკური დატვირთვის მიცემის მცდელობას უწოდებს.

საბოლოოდ, გიორგი ნინიკაშვილს ჭიათურის სასამართლომ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. იმერეთის ოლქის პროკურატურა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ქუთაისის საოლქო სასამართლოში აპირებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნინიკაშვილის სახით სამართალდამცველებს ხელში მხოლოდ შემსრულებელი ჩაუვარდათ, მისი დამკვეთები – მაქინაციებში მონაწილე ხელისუფლების წარმომადგენლები კი დაუსჯელნი დარჩნენ.

# რეპორტაჟი პანკისის ხეობიდან

ბესო გულაშვილის ფოტოები

პირველი გვერდიდან

**“დაიწყო ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციის ახალი ფაზა, ამიტომაც ჟურნალისტებისა და სხვა უცხო პირებისთვის, მათი უსაფრთხოების მიზნით, ხეობაში შესვლა გამკაცრებულია. მეტიც, აქ თითქმის არავის ვატარებთ. თუმცა, ახლა ხეობაში სიმშვიდეა, ჟურნალისტებისთვის საინტერესო, სასკანდალო აქ არაფერი ხდება,”** – ასე გვაცილებდნენ ბლოკ-პოსტებზე მდგარი გუშაგები.

თუმცა, ხეობის სიმშვიდე ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის ახალი ფაზის დაწყების პირველივე დღეს დაირღვა - 1 მარტს სოფელ ჯოყოლოს საგუშაგოზე შინაგანი ჯარის საპატრულო მანქანაზე მომხდარი თავდასხმის შემდეგ. **“ეს იყო ტერორი,”** – მანქანის დაცხრილვის შემდეგ თავდამსხმელთა დასაჭერად ხეობაში ჩატარებულ პოლიციურ რეიდებს ადგილობრივი მოსახლეობა ასეთ შეფასებას აძლევს.

**“ამ თავდასხმამ სერიოზული დაძაბულობა წარმოშვა. დილიდან შუაღამემდე ისეთი ამბები ხდება აქ, უშიშროებისა და პოლიციის მანქანებით მთელი ხეობა ისეა განათებული, ნემსი რომ დაგივარდეს, იმას იპოვნი. სერიოზული ჩხრეკები მიმდინარეობს. სახლებში ყოველგვარი ნებართვის გარეშე, წიხლისკვრით შემოდიან და თავდაყირა აყენებენ ყველაფერს. ეძებენ ბოევიკთა ფოტოებს, უცხოურ ჟურნალებს, ტელეფონის ბარათებს, ტელეფონის წიგნებს. კიდევ, რაღაც ნივთიერება ყოფილა, პანკისში მზადდებოდაო - იმის რეცეპტები აინტერესებთ. ამოწმებენ თითქმის ყველა ოჯახს, მაგრამ განსაკუთრებული კონტროლი ვაჰაბიტებზეა დაწესებული. ამოწმებენ ყველაფერს, თითქმის ტერორში ვართ. ლტოლვილები წაიყვანეს და დაიკარგა ხალხი, უკან აღარ გამოუშვეს, მათ ადგილსამყოფელს ველარავინ მიაგნო. მეტის ატანა აღარ შეიძლება,”** – აცხადებენ ადგილობრივი ქისტები, რომლებმაც გვთხოვეს, მათი ვინაობა არ დაგვესახელებინა, რადგან “მერე ჩვენ მოგვდგებიან,” – ამბობენ პანკისელები.

ჩატარებული რეიდით აღშფოთებულმა ხეობის მოსახლეობამ გზები გადაკეტა, გამაფრთხილებელი მიტინგი ჩაატარა და ჟურნალისტებთან შეხვედრა მოითხოვა. დაძაბული სიტუაცია საბოლოოდ შეთანხმებით დასრულდა. პოლიციის, საკრებულოსა და თემის საბჭოს მეთაურთა გადაწყვეტილებით, ხეობაში პატრულირება ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით განხორციელდება.

**“ვეძებთ ძებნილებს, რომელთაც ჩაბარების წინადადებას წინასწარ ვაძლევთ და თუ არ დაგვთანხმდებიან, შემდეგ ვატარებთ ოპერაციას. რა ნებართვებზეა საუბარი, როცა ვიცით, რომ კრიმინალი, რომლის დასაპატიმრებლადაც მივდივართ, შეიარაღებულია და სროლას აგვიტეხს... რა თქმა უნდა, ვჩხრეკთ სახლებს, ვეძებთ ფოტოებს, ნარკოტიკს, იარაღს, რიცინს - აი, ეს გვაინტერესებს. რა, არ უნდა გვაინტერესებდეს? ამ დროს კი, გარკვეული პირები, რომელთაც ხელს არ აძლევთ წესრიგი, მთელ ამბავს ტეხენ, პატრულს თავს ესხმიან... ადგილობრივი მოსახლეობის აქტივთან და სოფლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, გადავწყვიტეთ, რომ ხეობის მაცხოვრებლებით დაკომპლექტებული სახალხო რაზმები, რომლებსაც საწვავით ჩვენ ვუზრუნველყოფთ, წინ წაუძღვებიან ჩვენს მანქანებს და ჩატარდება პატრულირება. პატრული ბინას არ გაჩხრეკს, უბრალოდ, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მთელ ხეობაში დღის მანძილზე 3-ჯერ ჩაატარებს რეიდს. პატრულირება აუცილებელია, აი, ნახეთ, ახლახან ერთ-ერთი სახლიდან რა ამოვიღეთ,”** – გვეუბნება კახეთის პოლიციის სამმართველოს უფროსი ზურაბ ტუშური და რამდენიმე ფოტოს გვაჩვენებს. 2 ფოტოზე ავტომატებით შეიარაღებული ბოევიკებია გამოსახული, მესამეზე კი - ხეობიდან მიმავალი, დაახლოებით, 100-კაციანი სამხედრო შენაერთი, ტყვიამფრქვევებითა და სხვადასხვა საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილები. **“ხედავთ, გადიან ხეობიდან. აი, ეს ხდებოდა აქ და აღარ გვინდა, რომ განმეორდეს, იმხელა შრომა ჩაიდო, რომ მისი წყალში გადაყრა არ შეიძლება, ქვეყანა ცოდვაა. არადა, მათი უკან დაბრუნების საშიშროება რეალურად არსებობს,”** – ამბობს ზურაბ ტუშური.

ძალოვანთა განცხადებით, პანკისში დამატებითი ძალების შეყვანა და დამატებითი ბლოკ-პოსტების გახსნა აუცილებელი არ არის. ადგილობრივი ძალებისა და იქ მყოფი შინაგანი ჯარის ნაწილები სიტუაციას აკონტროლებენ. ძირითადი აქცენტი ახლა საზღვრების კონტროლის გამკაცრებაზეა გადატანილი. ძალოვანთა ამჟამინდელი სამუშაო გეგმის მიხედვით, დამატებითი ძალები სასაზღვრო ზოლში გადაიგზავნება.

**“ანტიტერორისტული ოპერაციის ახალი ფაზის დედააზრი ის არის, რომ არ დავუშვათ იმის რეანიმაცია, რაც ხეობაში 1 წლის წინ ხდებოდა, თუ მივედით იქამდე, რომ ვერ შევაკავეთ მათი შემოსვლა, ხეობაში დამატებითი ძალების შემოყვანა აუცილებელი გახდება,”** – მოსალოდნელი “გარე საშიშროების” შესახებ აცხადებენ ძალოვანები.

რაც შეეხება ხეობის შიგნით არსებულ სიტუაციას. **“ხეობაში არც ერთი ახალგაზრდა ჩეჩენი აღარ დარჩა. ყველანი წავიდნენ აქედან, ზოგი ჩეჩნეთში, ზოგი - ვინ იცის, სად. აქ ბოევიკიები არ არიან, არც ბანდიტები და არც “ალ ქაიდა”. ასეთს ახლა აქ ვერ ნახავ. ალაჰს ვფიცავარ, არ არის მართალი, რასაც რუსები ამბობენ, უბრალოდ ხალხს ატყუებენ, აშინებენ,”** – გვეუბნება ჩეჩენი ლტოლვილი.

საერთოდ, ხეობაში მაცხოვრებელი ჩეჩენი ლტოლვილები ჩვენთან კონტაქტს თავს არ არიდებდნენ, პირიქით. სამწუხაროდ, პანკისისხეობელი ქისტები გაგვირბოდნენ. დუისში მდებარე სალოცავიდან - მეჩეთიდან გამოსული ახალგაზრდები ერთადერთი ფრაზით გვშორდებოდნენ: “დიდება ალაჰს!”

**“შეშინებულები არიან და იმიტომ არ გეკონტაქტებიან, -** გვეუბნება ახალგაზრდა კაცი, **- რა ხდება ხეობაში? არიან თუ არა ბოევიკები? – ამას კითხულობს ყველა, ვინც ჩამოდის. ჩვეულებრივი სიტუაციაა, არაფერია განსაკუთრებული. მე კარგად ჩახედული არ ვარ სიტუაციაში და პოლიტიკაზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ვიცი ერთი რამ, რომ ჩეჩნები ჩვენთან სამტროდ არ იყვნენ მოსულები და წავიდნენ, როგორც მეგობრები, გონივრულად მოიქცნენ. მათ რომ წინააღმდეგობა გაეწიათ, ეს საგუშაგოებიც ვერ გაიხსნებოდა. ასეთი რამ მოხდა: ხადორის საგუშაგოს გახსნა ერთმა ჯგუფმა გააპროტესტა, მაგრამ ქართველებთან მოლაპარაკებების შემდეგ მიხვდნენ, რომ ომს მეგობრობა სჯობდა და დაწყნარდნენ. ესენი ბოევიკები არ არიან, თავისუფლებისთვის იბრძვიან. რა ქნან, რუსებმა გამოყარეს სახლიდან, დაუბომბეს სახლები, ბავშვებს და ქალებს ხოცავენ, ახალგაზრდა გოგონებს აუპატიურებენ და შემდეგ კლავენ. ჩეჩენთა ცხედრებით სამარხებს აკეთებენ. ამიტომაც აქ წამოვიდნენ. ახლა აღარ არიან, წავიდნენ, ესენი კი მაინც ეძებენ. მე ჯაბრიელი მქვია, -** აგრძელებს ახალგაზრდა კაცი და ჩვენს შეკითხვებს პასუხობს, **- ხეობაში ვაჰაბიტები ბლომად არიან, ადგილობრივებიც და ჩამოსულებიც. ადრე სკოლებში ისწავლებოდა არაბული ენა, შემდეგ აკრძალეს და ახლა ბავშვებს დაქირავებული მასწავლებლები ამეცადინებენ. მეტს ვერაფერს გეტყვით,”** – ჯაბრიელი პოლიციის მანქანის დანახვისთანავე გვშორდება.

**“დიდი მადლობა ქართველებს იმისთვის, რომ მიგვიღეთ და შეგვიფარეთ. ძალიან კარგად გვესმის ისიც, რომ ხეობაში ჩვენი ყოფნით სერიოზული პრობლემები შეგიქმენით, რუსეთის გფბ პროვოკაციისა და სხვა პოლიტიკური მიზნებისთვის გვიყენებს და მერე თქვენ “გარტყამენ”. ეს ყველაფერი ჩვენ ვიცით. იმ დღეს მიტინგის ჩატარება გვინდოდა, გზა გადავკეტეთ, მოვიდნენ აქაურები და გვითხრეს, აქ ნუ ჩაატარებთ მიტინგს, მერე ჩვენ აგვიტეხავენ მთელ უბედურებასო. არ გვწყენია, გვესმის მათი, ამდენი უდებურებით ესენიც დაიღალნენ, რომელიმე ქვეყანა რომ მიგვიღებდეს, იმ წუთასვე წავიდოდით,”** – ასეთია პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილთა განწყობა.

პანკისის ხეობის კონტროლის სადავეები, ჯერჯერობით, ქართველ ძალოვანებს უპყრიათ, თუმცა, ხეობაში დამყარებული სიმშვიდის შენარჩუნება მაინც დიდ პოლიტიკურ თამაშებსა და რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის მოსალოდნელ განვითარებაზეა დამოკიდებული.


ამ ბლოკ-პოსტიდან პანკისის ხეობა იწყება, აქ ყველა გადის შემოწმებას.


პანკისური "მარკეტი".


დუისის ცენტრი.


პანკისში ჩეჩნების ახალი თაობა იზრდება.


ჩეჩენ ყმაწვილებს ვაჰაბიტები არაბულს ასწავლიან.


ჩეჩენი ლტოლვილი.


ბლოკ-პოსტი დუისის შესასვლელში.

www.24hours.ge

24

B



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge




ნოდარ ლადარია

გასულმა კვირამ დაგვანახა, რომ ჩვენს ქვეყანაში ორი მინიმუმის დაახლოების სურვილს მაქსიმალური დაძაბულობის გამოწვევა შეუძლია. ალბათ უკვე გასაგებია, რომ საუბარი მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებაზეა. „24 საათი" ყოველდღე აშუქებს ამ პროცესის დეტალებს. აღმოჩნდა, რომ პროცესი მრავალი ერთმანეთში აბურდული ძაფისაგან შეკრულ კვანძს უფრო ჰგავს, ვიდრე მოვლენათა თუნდაც სწრაფ, მაგრამ სწორხაზოვან მსვლელობას. რატომ?

ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქმე ფულს ეხება. საკვირველია, რატომ აქამდე არავის მოუვიდა აზრად საქართველოს ჰიმნის შემდეგი ვარიანტი: მაკარის არია ვიქტორ დოლიძის ოპერიდან „ქეთო და კოტე". ხომ გახსოვთ: „ფულები არის ჩვენი გამხარებელი". ქვეყანაში, სადაც მრავალწლიანი სტრატეგიული განვითარების შესაძლებლობებათა განხილვა არავის აღელვებს და საერთოდ არც ვიცი, ამგვარი განხილვა თუ გაკეთებულა, ყველაზე მწვავე თემა ფულის განაწილებაა. მნიშვნელობით უმთავრესი და ყველაზე საინტერესო ისაა, ვინ და რამდენის ჩაჯიბვას ან დახარჯვას შეძლებს დღეს.

მეორეც — საშუალო ქართველი პოლიტიკოსის ინტუიცია სრულებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გასაგები გამხდარიყო იდეა, რომელიც ეკა კვესიტაძის 4 მარტის პუბლიკაციის სათაურმა გამოხატა: *მინიმალური ხელფასი — „დემოკრატების" პოლიტიკური იარაღი*. მაგრამ იარაღიცაა და იარაღიც: მინიმალური ხელფასის ხუთჯერ გაზრდის ეკონომიკურად დასაბუთებული პერსპექტივა, უფრო სწორად კი ამ პერსპექტივის ავტორობა აქტუალურ პოლიტიკურ თამაშში რომ ჯოკერის ტოლფასია, ეს ყველას ესმის. სწორედ ამან ააფორიაქა ჯერ კიდევ არჩილ მეფის მიერ შენიშნული „უჩემოდ ვინ იმღერეობის" პრინციპზე აწყობილი ჩვენი ეროვნული პოლიტიკური ელიტა.

და მაინც, თუ ერთი წუთით არ გავითვალისწინებთ საკითხის საკუთრივ პოლიტიკურ მხარეს, რისი იმედი უნდა გვქონდეს? პასუხი ასევე ეკა კვესიტაძის 5 მარტის პუბლიკაციის სათაურშია: *მინიმალური ხელფასების გაზრდა შესაძლებელია*. ამგვარი პასუხი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ეკონიმისტის, ვლადიმერ პაპავას თვალსაზრისს ეყრდნობა. ბუნებრივია, ეკონომისტის აზრით, მიზნის განხორციელება თანდათანობით (ანუ, როგორც ახლა ამბობენ, ეტაპობრივად) უნდა წარიმართოს: აპრილში მინიმალური ხელფასი 35 ლარი უნდა გახდეს, ზაფხულში — 50, შემოდგომაზე — 80, ერთი წლის შემდეგ კი შეიძლება გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს (თუ რა თქმა უნდა, თვით ეს მინიმუმი იმ დროისათვისაც იგივე იქნება — დავსძენთ ჩვენ). ასეა თუ ისე, მინიმალური ხელფასის მკვდარი წერტილიდან დაძვრა შესაძლებელია. სწორედ აქ ერთვება საქმეში პოლიტიკა...

თავის დროზე, რუსეთში **ეგორ გაიდარმა** თავისი მოღვაწეობის კრახი დაახლოებით ასე გაამართლა: „**ჩვენ შევიმუშავეთ აუცილებელი ეკონომიკური რეფორმების მართებული გეგმა, რომელიც ქვეყანას გაჭირვებიდან გამოიყვანდა, მაგრამ ამ გეგმის განხორციელებისას გადაულახავ პოლიტიკურ სიძნელეებს შევეჩეხეთ**". ეკონომიკისა და პოლიტიკის ამგვარი გამიჯვნა მხოლოდ დამარცხებულთა არგუმენტი შეიძლება იყოს — თანაც ძალიან სუსტი არგუმენტი. მაგრამ ამ გამიჯვნას წამდაუწუმ ვხვდებით ჩვენს გარშემო. საოცრად ხშირად ისმის შემდეგი ფრაზები: „საკითხი უაღრესად პოლიტიზირებულია", „ჩვენ არ გვსურს ამ საკითხის პოლიტიზირება" და სხვა. თვით ეკა კვესიტაძის ნახსენები პუბლიკაციაც ვერ გადაურჩა ამ უკვე კლიშედ ქცეულ გამოთქმებს. თითქოსდა ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის შესაძლო პოლიტიკური ასპექტი იმთავითვე რაღაც გარეგან ან, უფრო მეტიც, ხელისშემშლელ ხასიათს ატარებდეს. ნურავის ჰგონია, რომ ეს ფრაზები გავლენას ვერ იქონიებენ საზოგადოებრივ შეგნებაზე. ბოლოს და ბოლოს, ქართული ანდაზებიდან მაინც ვიცით, რომ შეძახილით ხე გახმა, მეტისმეტი პწკენა-პწკენით კი პატარძალი დაორსულდა.

აბა, დავფიქრდეთ, განა მინიმალური ხელფასის კანონის ძალით რამდენჯერმე გაზრდა შეიძლება არ იყოს პოლიტიზირებული? ასე უნებლიეთ იქმნება და მტკიცდება ჩვენს საზოგადოებაში უკვე საყოველთაოდ გამეფებული თვალსაზრისი, თითქოსდა პოლიტიკა მხოლოდ ცალკეულ პირთა და დაჯგუფებათა შორის ძალაუფლებისთვის ატეხილი ზნეობრივი ნორმებისაგან დამოუკიდებელი ბრძოლა იყოს და მეტი არაფერი. ასე ეძლევათ, მაგალითად, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს იმის თქმის საბაბი, რომ ისინი სკოლების პოლიტიზირების უფლებას არავის მისცემენ, — თითქოსდა სახალხო განათლების საქმე სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი არ იყოს! გაგონილა, პოლიტიკას ამ დონეზე ემიჯნებოდეს ის, ვისაც მისი ცხოვრებაში გატარება ევალება? ამის შედეგად კი თვით ტერმინის დისკრედიტაციას ვიღებთ: პოლიტიკა უკვე მხოლოდ საზოგადოების უკიდურესად შეზღუდული ნაწილის, ისტებლიშმენტის კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებელ საქმიანობადაა მიჩნეული.

არ ვიცით, რამდენი უძახეს ხეს, არც ისაა ცნობილი, რამდენჯერ და სად უპწკინეს პატარძალს, მაგრამ აშკარაა, რომ ხან მედიის, ხანაც თვითონ პოლიტიკოსთა ან სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან მომავალმა ერთი შეხედვით უმნიშვნელო სიტყვებმა უკვე იმდენი ქნა, რომ ჩვენში სიტყვაზე „პოლიტიკა" თითქმის ყველას ერთი და იგივე ნაღვლიანი ასოციაცია უჩნდება: ძალაუფლებას დახარბებული ქართველების კინკლაობა.

ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ, რომ პოლიტიკა არაა ცალსახად ცუდი რამ და რომ ჩვენი ცხოვრების მრავალი საჭირბოროტო პრობლემა ისეა აგებული, რომ არათუ ვერ გათავისუფლდება პოლიტიკური „სარჩულისაგან", ამის მცდელობა თვით პრობლემის გადაჭრას აბრკოლებს.

მაინც ვის აძლევს ხელს პოლიტიკის დისკრედიტაცია? მოდით, 3 მარტის ნომერი ავიღოთ და თვალი გადავავლოთ ბადრი კოპლატაძის სტატიას, *მიიღებს თუ არა სახელმწიფო მინისტრი „წასვლის გადაწყვეტილებას"*. ამას პუბლიკაციიდან ვერ ვგებულობთ, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს რიტორიკული შეკითხვაა, რომელსაც კითხვის ნიშანი არ დაუსვეს ბოლოში. მაგრამ რიტორიკული შეკითხვის სათაურად გამოტანა, ალბათ, უფრო ბოლო გვერდებისთვის გათვალისწინებულ თვალსაზრისებს (თანამედროვე ჟარგონზე „ოფინიონებს") უხდება. შესაძლოა, ეს სათაური პირადად ბ-ნი ჯორბენაძისთვისაა განკუთვნილი, რათა ერთი მცირე ექსტრასისტოლა გამოიწვიოს, აი, ხალხში რომ გულის ამოვარდნას უწოდებენ. თუმცა, ბესო გულაშვილის ფოტოზე გამოსახული თვითკმაყოფილი არსება ექსტრასისტოლის იმედსაც არ გვიტოვებს.

ასეა თუ ისე, ბადრი კოპლატაძის სტატიიდან რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს ვიგებთ: 1. როგორც ეტყობა, საქართველოს პრეზიდენტი არ აპირებს ვეტო დაადოს პარლამენტის გადაწყვეტილებას მინიმალური ხელფასის შესახებ; 2. ამ გადაწყვეტილების „ჩასაგდებად" იგი ერთგული და ნაკლებად ერთგული ფიგურებით ჩვეულ მანიპულაციებს მიმართავს; 3. ამ მანიპულაციებს შეიძლება შეეწიროს ავთანდილ ჯორბენაძის კარიერა. ამ თვალსაზრისს ამაგრებს მაია ურუშაძის მიერ 3 მარტს მომზადებული პუბლიკაცია, *საარსებოდ მინიმალური ხელფასი*, რომელშიც ვკითხულობთ: "ასე რომ, მთავრობას რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი: თუ ჯორბენაძის გუნდი მოახერხებს დაარწმუნოს პრეზიდენტი, რომ მინიმალური ხელფასის ზრდის დაფინანსებისთვის ბიუჯეტიდან გასაცემი 116 მილიონი ლარის გარეშე „მოქალაქეთა კავშირის" წინასაარჩევნო კამპანია განწირულია, შესაძლოა პრეზიდენტმა თავისი გუნდი დაინდოს და ვეტოს უფლება აამოქმედოს". პრეზიდენტის არჩევანი გასაგებია: მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია პასუხისმგებლობის ტვირთვა, ლაქიები მაშინაც უმცროს ლაქიას ეძებენ, როცა ცეცხლის დანთება ბატონს არ უბრძანებია, როცა ბატონი საერთოდ არც არსებობს...

ასეთ პირობებში უკვე გასაგები ხდება, რატომ არ სურს ხელისუფლებას, მინიმალური ხელფასის ჯოკერი სხვამ გაითამაშოს. წარმატების შემთხვევაში ხომ მას გამთამაშებლის სასარგებლოდ ადგილის დატოვება მოუწევს. ასეთ პირობებში კი ვლადიმერ პაპავას და, საზოგადოდ, ნებისმიერი ექსპერტის დადებითი დასკვნა უკვე მნიშვნელოვნად კარგავს წონაში: სანამ მართვის სადავეები ჩვენს აქტუალურ ხელისუფლებას უპყრია, ის გარედან შემოსული ნებისმიერი საქმიანი და ჭკვიანური წინადადების „ჩაგდებას" შეეცდება. რამდენიც არ უნდა იძახონ ეკონომისტებმა, რომ საკითხის გონიერი გადაწყვეტისას ჩვენს ეკონომიკას არაფერი ემუქრება, მოწმენდილ ცაზე გავარდნილი მეხივით მაინც გაჩნდება ჰიპერინფლაციაც და, ვინ იცის, კიდევ რამდენი უბედურება. აბა, სხვა რა გზა აქვთ 3 მარტის ნომრის პირველ გვერდზე გამოსახულ პიროვნებასა და მის უშუალო უფროსს? მათ ხომ ამის გარდა არაფერი შეუძლიათ...

ვეთანხმები 3 მარტის ნომერში გია ნოდიას მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ხელისუფლების მიმართ საყვედურები ჩვენი მედიის და, საერთოდ, ჩვენი სინამდვილის საერთო ადგილად, ლოკუსად იქცა. მაგრამ ეს თვით ჩვენი ბანალური სინამდვილის თვისებაა და მედიას საერთო ადგილებისაგან თავის დაღწევის სნობური ტენდენცია არ უნდა ჰქონდეს.

ბადრი კოპლატაძის სტატიაში საკმაოდ ლაკონურად და ამომწურავად იყო ნაჩვენები ავთანდილ ჯორბენაძის სამსახურეობრივი გზა მისი სახელმწიფო მინისტრობის პერიოდში. ამ გზას რომ წარსულისკენ გავადევნოთ თვალი, მივიღებთ ადამიანს, რომელსაც სახელისუფლებო სავარძლის გარდა არაფერი დარჩენია ცხოვრებაში, თავისი სამედიცინო წარსულიდან კი ვინძლო მხოლოდ ნემსის გაკეთების წმინდად მოტორული ჩვევა თუ შერჩა. კი მაგრამ ჟვანია? — იკითხავს მკითხველი. ჩვენი პროექტის ავტორზე რას ვიტყვით — ისიც ხომ თავის კარიერასაა გამოკიდებული და მარცხის შემთხვევაში კვლავ ბიოლოგობას ველარ დაიწყებს. პასუხი მარტივია: ჟვანია, ჯორბენაძისგან გასხვავებით, პროფესიონალი პოლიტიკოსია და არა პროფესიონალი ხიზანი; ჟვანია, სულ მცირე, საკუთარ შეცდომებს უშვებს და მათ გამოსწორებაზეც თვითონ აგებს პასუხს, მაშინ, როცა ჯორბენაძეს თავისი შეცდომაც კი არ გააჩნია — მის მიერ დაშვებული უზუსტობა რეალურად ყოველთვის მისი დამნიშვნელის მარცხი იქნება და შესაბამისად დამნიშვნელის მიერვე გამოსწორდება. როგორ? — აი, რას გვეუბნება ამის შესახებ ბადრი კოპლატაძის სტატია: „შევარდნაძე თავის მინისტრებს წასვლისკენ ღიად არასოდეს მოუწოდებს, მათ ყოველთვის „თვითონ" უწევთ ამ გადაწყვეტილებამდე მისვლა".

რა ვქნათ — ასე ესმით ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკა!

ეს პოლიტიკური უმწიფარობა კი გასული კვირის განმავლობაში „24 საათის" ფურცლებზე სხვანაირადაც გამოვლინდა. ერთ დისკუსიას ვგულისხმობ, რომლის მონაწილენი უშუალოდ კი არ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, არამედ საწინააღმდეგო პოზიციებზე დადგნენ. თუმცა კი, მათი ამ პოზიციებზე დგომა ფრიად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ერთ მხარეს ახლადგამომცხვარი ქართველი პაციფისტები იდგნენ. მათ ელექტრონული მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი „პაცეფისტებს" ეძახდა, ალბათ, „მელიციისა" და „სტეპენდიის" კვალზე. მადლობა ღმერთს, „24 საათში" ეს სიტყვა სწორად იბეჭდებოდა. ამ თემას ნანა ბასილაშვილი უძღვებოდა და მან ორი სტატია მოგვაწოდა: *ყველანი პარლამენტის შენობის წინ — კულტურის მოღვაწეები ომის წინააღმდეგ* (5 მარტი) და *მშვიდობიანად გადაადგილებული აქცია მშვიდობისათვის — ქართველი პაციფისტები მესამე მსოფლიო ომის წინააღმდეგ* (7 მარტი). ამ თვალსაზრისით საინტერესოა, როგორ ირგებენ ირაკლი კაკაბაძე, ბასა ჯანიკაშვილი, ლელა ცისკარიშვილი, ზურაბ მახაშვილი, უჩა ნანუაშვილი და ომის საწინააღმდეგო აქციის სხვა მომწყობები ანაქრონისტულ განსაზღვრებას „კულტურის მოღვაწეები"?

მაგრამ ახლა ამის დრო არა გვაქვს. ჩვენი ყურადღება უკვე ხსენებული დისკუსიის საწინააღმდეგო მხარეზე უნდა შევაჩეროთ: 5 მარტს „24 საათმა" დაბეჭდა ნიუ-იორკიდან ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ გამოგზავნილი სტატია, *რატომ ვუჭერ მხარს ამერიკის შესაძლო ომს ერაყში*. სტატია ამერიკის შეერთებული შტატების იდეური აპოლოგეტისა და სამოქალაქო საზოგადოების შეგნებული მომხრის პათოსითაა გამსჭვალული. ზურაბ ჭიაბერაშვილი ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს და მის თვალსწინ იშლება ომის საწინააღმდეგოდ მიმართული საკმაოდ შთამბეჭდავი მოძრაობა. ჩვენი ავტორი მის არსებობას ვერ უარყოფს, მაგრამ დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელი ლიბერალური სულისკვეთების გამოხატულებად მიიჩნევს მას. საბოლოოდ, ერთობ კურიოზული სიტუაცია იქმნება: რაც უფრო ძლიერად ისმის ამერიკაში და, საზოგადოდ, მსოფლიოში ომის საწინააღმდეგო ხმები, მით უფრო აშკარადაა გამოკვეთილი სადამ ჰუსეინის რეჟიმსა და თავისუფალ, დემოკრატიულ სამყაროს შორის კონტრასტი და, შესაბამისად, უფრო გამართლებული და ლამის ბუნებრივია ომის დაწყება. ამ ლოგიკური პარადოქსის წყალობით (ზურაბი წლების განმავლობაში სწორედ ლოგიკის კათედრაზე მოღვაწეობდა უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე) გამოდის, რომ ყველა, ვინც ბუშის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებს არ ეთანხმება, პრაქტიკულად, მხოლოდ ამტკიცებს ამ გადაწყვეტილებათა დემოკრატიულ გარემოში წარმოშობის ფაქტს.

მეორე მხრივ, ტექსტის ლოგიკური გამართულობა, აზრის რკინისებურად გათვლილი და აწყობილი კონსტრუქცია იმდენად მტკიცეა, რომ ძლივს ამჩნევ შესაძლო ხარვეზებს. სტატიაში ვკითხულობთ: „სადამ ჰუსეინი ასალაგმია საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულებისათვის, იმ საფრთხისათვის, რასაც იგი უქმნის მეზობლებს (სხვათა შორის, არა მხოლოდ ისრაელს) და იმისთვისაც, რომ მისი დაუსჯელობა ახალისებს მსოფლიოს მრავალ მმართველს, ანალოგიურ ქმედებას მიჰყოს ხელი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში". ძალიან კარგი. მაგრამ რომელ წახალისებულ მმართველებზეა საუბარი? რატომ ერთ-ერთი მაინც არ დაგვისახელეს? რატომაა მიჩნეული მათ ლიდერად მაინც და მაინც სადამ ჰუსეინი? დაფიქრდები ამ შეკითხვებზე და ერაყის წიაღში დაფარული ნავთობი გაგახსენდება უნებლიეთ. ამ ნავთობის შესახებ სტატიის ტექსტში არაფერია ნათქვამი. ავტორი საომარი მოქმედებების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მხოლოდ იდეურ მოსაზრებებს განიხილავს, მაგრამ არაფერს ამბობს მათ პირდაპირ მატერიალურ ინტერესებზე. ამ მხრიდან განხილული რეალობა ოდნავ სხვანაირად გამოიყურება და არა მარტო იმიტომ, რომ ამგვარად შექმნილი სურათი უფრო სრულია და ამავე დროს უფრო კორექტული მიდგომის წყალობითაა შექმნილი — მიდგომისა, რომელშიც, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სამართლიანადაა გაერთიანებული პოლიტიკა და ეკონომიკა.

აი, მაგალითიც. სტატიაში ვკითხულობთ დებულებას, რომელსაც ზურაბ ჭიაბერაშვილი თავის ძირითად არგუმენტად გვაცნობს: „ერაყზე შეერთებული შტატების იერიში არის არა იმდენად შეტევა სადამ ჰუსეინზე, რამდენადაც მსოფლიოს იმ წესრიგზე, რომლის შენარჩუნება ხელს აძლევთ მათ, ვინც ვერ ხედავს, რომ მსოფლიო ფუნდამენტურად შეიცვალა 1945 წლის შემდეგ, როცა გაერომ არსებობა დაიწყო. **მიმაჩნია, რომ არსებული წესრიგის უცვლელობა უფრო მეტად გააჩენს სხვა ომების შესაძლებლობას და, ვინძლო, საჭიროებასაც, ვიდრე შეერთებული შტატების შესაძლო დროებითი ჰეგემონია მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე**". ძალიან კარგი, მაგრამ მსოფლიო ერთბაშად არ შეცვლილა 1945 წლის შემდეგ. 1949 წელს გამოცემულ პოლიტიკურ რუკებზე, მაგალითად, დღევანდელი კუვეიტის ტერიტორია ჯერ კიდევ ერაყის სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდა, სანამ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სანავთობო ინტერესებმა არ გამოყო იგი ცალკე სახელმწიფოდ. რა გენეტიკურ კავშირშია ბუშის ადმინისტრაციის დღევანდელი ინტენციები 50 წლის წინანდელ ამ მოვლენებთან? ან რამდენად „შესაძლო" და „დროებითი" იქნება შეერთებული შტატების ჰეგემონია, თუ მას დემოკრატიული იდეოლოგიის გარდა ნავთობდოლარებიც გაამაგრებს?

ახლა კი დისკუსიის მონაწილეთა ქულები დავითვალოთ. ზურაბ ჭიაბერაშვილის სტატია, ერთი მხრივ, გამართულადაა დაწერილი და, მეორე მხრივ, მას ავტორის თავისებური და ნაპერწკლიანი აზროვნების კვალი ეტყობა. იგივეს ვერ ვიტყვით ჩვენი პაციფისტების განცხადებების თაობაზე: „ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვარ, მიმაჩნია, რომ ომი ძალადობის ყველაზე საშინელი და მახინჯი გამოვლინებაა", „მოგიწოდებთ ყველას, ვისთვისაც ღირებულია სამართლიანობა და მშვიდობა, მოხვიდეთ აქციაზე უსამართლობისა და ძალადობის წინააღმდეგ". ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, იმდენად ზოგად ელფერს ატარებს, იმდენად მზამზარეულია, რომ სრულიად მოკლებულია დამაჯერებლობას.

და მაინც, ზურაბ ჭიაბერაშვილსა და ჩვენს შინნაზარდ პაციფისტებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი საერთო თვისება აქვთ: უტოპიურობა. ზურაბ ჭიაბერაშვილი: „გამოსავალი მესახება არა შეერთებული შტატების აშკარა (და არაფრისმომცემ) საბოტაჟში, არამედ მსოფლიო წესრიგის შეცვლაში". პაციფისტები: „ჩვენ ვილვწით იმისათვის, რომ მშვიდობა იყოს მთელ მსოფლიოში და ამავე დროს ჩვენთან არსებული პრობლემებიც მშვიდობიანი გზით მოგვარდეს".

მართალია, ზურაბ ჭიაბერაშვილის გაქანება აშკარად სჭარბობს ჩვენი პაციფისტების მასშტაბებს, მართალია, მისი დისკურსი უფრო თანმიმდევრული და ახალია (სხვა თუ არაფერი, მასში არ შეიმჩნევა ჰაგიოგრაფიული და საბჭოური ტერმინოლოგიის უკვე მოყირჭებული აღრევა — „ვილვწით", „მშვიდობა მთელს მსოფლიოში") ეს მაინც არ შველის საქმეს: რა დონეზეც არ უნდა გაფორმდეს ჩვენი მონაწილეობა მსოფლიო პოლიტიკაში, მისი რეალური გავლენა ყოველთვის თანაზომადი იქნება ილიკოსა და ილარიონის საუბრებისა; როგორც არ უნდა იყოს დაკავშირებული ჩვენი ნაბიჯები მიმდინარე გლობალური მნიშვნელობის პროცესებთან, ისინი ვერასოდეს გასცილდებიან პირადი არჩევანის ფარგლებს და ამ არჩევანის შედეგად ერთნი თბილისიდან ნიუ-იორკს გაემგზავრებიან, მეორენი კი პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან ალექსანდრეს ბაღში გადაინაცვლებენ.

„შენა გწადს აწ რომელითა", ჩემო მკითხველო?







### გასულ კვირას

# „არსად ისე არ მღერიან...“

მადი სერებრიაკოვა

ის იყო, სათაურში მოყვანილი ციტატის გაგრძელებას ვაპირებდი, რომ, თავმდაბლობას თავი ვანებოთ და, ობიექტურობის გრძნობამ შემაჩერა. რა თქმა უნდა, ობიექტურობის პოეზიაში ძებნა სრულიად უიმედო საქმეა (ალბათ, არც ერთი მოვლენის შეფასებისას არ უნდა გქონდეს აბსოლუტურ ობიექტურობაზე პრეტენზია), მაგრამ მცდელობას წინ რა უდგას... თუკი “ამ ქვეყნად” კულტურულ ტრანზიციაში ჩარჩენილ თუ მონებივრე ჩვენს ქვეყანას მივიჩნევთ (საფიქრებელია, რომ პოეტიც სწორედ ამას გულისხმობდა), არავინ უარყოფს, ქართველები კარგად, ხშირად ძალიან კარგადაც, მღერიან. გასული კვირის მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენებს შორის ერთ-ერთი მთავარი იყო თბილისის საოპერო თეატრში გამართული ბადრი მაისურაძის გასტროლები.

აი, სად იჩენს თავს ეს ავად სახსენებელი ობიექტურობა - მაისურაძე მართლაც კარგად მღერის, მაგრამ, ძირითადად, არა - “აქ, ამ ქვეყანაში” (ისევე, როგორც სხვა მისივე რანგის არტისტები)... რა თქმა უნდა, ამასაც თავის ობიექტური მიზეზები აქვს - ქართული თეატრი წარმატებულ მომღერალს დღეს, სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს შესთავაზებს: ჰონორარს თავი რომ დავანებოთ, თეატრის რეპერტუარიც ნაკლებად დამაკმაყოფილებელია მრავალფეროვნების მოყვარული, ნიჭიერი მომღერლისთვის. ორკესტრიც, უნდა ვაღიაროთ, რომ საუკეთესო არ არის. ზემოთ თქმულს, სამწუხაროდ, ბადრი მაისურაძის “ბალ-მასკარადის” წარმოდგენაც ადასტურებდა.

თავად მაისურაძის შესრულება იმდენად უნაკლო იყო, რომ წარმატებულ თანამემამულეზე კრიტიკული მხოლოდ ის ითქვა, - გულს არ შეეხოო. სამაგიეროდ, ოპერის ორკესტრი “ხეთქავდა გულსაც” და ყურთასმენასაც – სად იყო კეთილხმოვანება, ან სოლისტებთან შეხმატკბილებული შესრულება... ამას გამოუცდელი მსმენელიც კი ამჩნევდა.

მაისურაძის აქაურ კოლეგებზე მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მომღერალს სამშობლოში, ძირითადად, ახალგაზრდები უწევდნენ პარტნიორობას. თუმცა... ამელიას პარტიას ირმა ბერძენიშვილი ასრულებდა და, მიუხედავად მართლაც გამორჩეულად ბრწყინვალე ტემბრისა და მიმზიდველი სასცენო გარეგნობისა, ვოკალურ და საშემსრულებლო ხარვეზებს (მაღალი ბგერების გადაჭარბებული ემისია და მოუწესრიგებელი სუნთქვა) ეს მაინც ვერ ფარავდა. შესაძლოა, ეს, სწორედ, თეატრის ზემოხსენებული, მწირი რეპერტუარით იყოს გამოწვეული - ბერძენიშვილი აშკარად გადაღალა ლედი მაკბეტის მძიმე პარტიამ, არადა არჩევანი მისთვისაც ძალიან მცირეა; ბერძენიშვილი თავისი ვოკალური გამოცდილებისათვის უფრო შესაფერის როლს ძნელად თუ მოძებნის ჩვენი ოპერის რეპერტუარში. ოდნავ გაუბედავად დაიწყო ბესო გაბიტაშვილმა (რენატო), თუმცა მესამე აქტის არიაში მისმა ემოციურმა შესრულებამ და არტისტიზმმა ყველა ნაკლი დაფარა. ნატალია ვოლჩენკოს ულრიკა, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ მომღერლის საოპერო კარიერაში, თუმცა ამით სპექტაკლის საერთო დონე არ გაუმჯობესებულა.

თავი იმით დავიმშვიდოთ, რომ თუ “ამ ქვეყანაში” არა, “იმ ქვეყნებში” ხომ მაინც გვახარებენ ჩვენი მომღერლები: გასულ კვირას უკვე გაუწყეთ, რომ ვენის სახალხო ოპერაში დებიუტი ჰქონდა ხათუნა მიქაბერიძეს. უცხოურმა პრესამ მიქაბერიძეს “ამომავალი ვარსკვლავი” უწოდა. წესით, ვარსკვლავის შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს ახალგაზრდა თბილისელ სოპრანოსაც - ლიზა მარტიროსიანს. სულ ცოტა ხნის წინ იგი ლოს-ანჯელესში გაემგზავრა, სადაც ის თავად ლუჩანო პავაროტის გაუწევს კონცერტზე პარტნიორობას. ინსტრუმენტულ მუსიკაშიც წარმატებები გვაქვს - ცნობილი მუსიკალური არხი Mezzo აქტიურ რეკლამას უწევს საფრანგეთში ლიზა ბათიაშვილის კონცერტს.

თბილისს დაუბრუნდა მევიოლინე ნატო გაბუნიაც, რომელმაც ჰოლანდიელ მეუღლესთან, ვალტერ ფოსენთან ერთად კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართა კონცერტი. გაბუნია ბავშვობის შემდეგ, ფაქტობრივად, პირველად გამოჩნდა ქართულ სცენაზე. ჰოლანდიაში იგი ცენტრალური რადიოს ორკესტრში მუშაობს, მისი მეუღლე კი ბრაბანტის ორკესტრის პირველი ვიოლინოა. მათ შეასრულეს ბახის კონცერტი ორი ვიოლინოსათვის (D-dur).

რაც შეეხება მუსიკის “იმპორტს”, ეს კვირა თბილისში De-phazz-ის გასტროლით აღინიშნა. მართალია, მათი სახელგანთქმული შოუ არ შედგა (ვიდეო-არტისტი ავტოკატასტროფაში მოყვა; თვითონ კი გადარჩა, მაგრამ შოუს მასალები განადგურდა), და ჯგუფის ლიდერმა, პიტ ბაუმგარტნერმა და ვოკალისტმა, ბარბარა ლერიმაც ვერ მოიცალეს, ჩვენთვის ელექტრონული მუსიკის ლიდერობა რომ დაემტკიცებინათ, მაგრამ ჩვენ მათ ისედაც ვენდეთ და დავუჯერეთ.

De-phazz-თან დაკავშირებით ერთი უსიამოვნო ისტორია მახსენდება: ამ ორიოდე წლის წინ ახალგაზრდა რეჟისორმა ირინა გაჩეჩილაძემ არცთუ ურიგო ფილმი გადაიღო – “ვაშლი”, სადაც ტიტრებში De-phazz-ის მუსიკა ჰქონდა გამოყენებული. De-phazz-ის მენეჯერებთან დიდი ხნის მოლაპარაკებისა და ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, ამ უკანასკნელთ ვერაფრით გამოიმეტეს მუსიკის გამოყენების უფლება. Не положено! – დახლოებით, ასე ჟღერდა მათი პასუხი (საინტერესოა, რამდენად положено გასტროლებზე ნახევარი (თანაც, ძირითადი) შემადგენლობის გარეშე სიარული – აქაოდა, თბილისში ელექტრონული მუსიკის რა ესმითო!). ფილმს კი მხოლოდ საფესტივალო ჩვენების უფლება მისცეს და ავტორს მისი გაყიდვა აუკრძალეს. საბოლოოდ, ფილმი რამოდენიმე კინოფესტივალის პრიზიორი გახდა (მათ შორის, რუსული “კინოშოკის”), თუმცა, De-phazz-ის დამსახურებით, მას დიდ ეკრანზე, ალბათ, მაინც ვერ ვიხილავთ...

დავუბრუნდეთ კვლავ De-phazz-ის გასტროლებს. ყველას მაგივრად, “აჭარა მიუზიკ ჰოლში” კარლ ფრაიერსონი, ფეთ ემფელთოუნი და რალფ გუსტკე ირჯებოდნენ. ვიდეო-არტის ნაცვლად კი, კოსტიუმებს ხშირ-ხშირად იცვლიდნენ. “მოძიგძიგეები” კმაყოფილი დარჩნენ.

საზოგადოების პოლიტიკურად აქტიური ნაწილი კი პარლამენტის წინ დაგეგმილი და ალექსანდრეს ბაღში გამართული ანტი-საომარი აქცია-კონცერტით დარჩა კმაყოფილი. მართალია, აქციამდე უფრო მეტი აჟიოტაჟი შეიქნა, ვიდრე მის შემდეგ, მაგრამ მუსიკოსთა და ლიტერატორთა ჯგუფის (ბასა ჯანიკაშვილი, შოთა იათაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, ზურა რთველიაშვილი, ბაკურ ბურდული, კახა ცისკარიძე, ზაზა ხუციშვილი, ვახო ბაბუნაშვილი, სტეფანე...) ინიციატივას, მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და, უბრალოდ - მსმენელის სახით, დამფასებლები მაინც გამოუჩნდა.

აქტუალურ მოვლენად იქცა სარვამარტო აჟიოტაჟიც. არცთუ შორეული წარსულის მოგონება იყო თუ ფემინისტური განწყობილებების მოჭარბება, ქალთა საერთაშორისო დღეს (“წითელი დღის” სტატუსი მას მხოლოდ საბჭოეთში ჰქონდა) თბილისში რამოდენიმე გამოფენა მიეძღვნა. TMS-ში ეკატერინე ბაღდავაძის გამოფენა გაიხსნა; “ჰობიში” კი საკმაოდ სენტიმენტალური ჯგუფური ექსპოზიცია მოეწყო. უნდა ითქვას, რომ ქალები ნიჭიერი ხალხია და ძალზედ დროულად და გონივრულად ულებენ ხოლმე ალღოს ახალ ტენდენციებს. “ჰობის” ექსპოზიცია მაღალი შემოქმედებითი რანგით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მისმა მონაწილეებმა მოდურ “ქალთა პროექტებში” გაერთიანებისკენ სავალი გზა ნამდვილად გაიადვილეს.

ამ კვირის ქრონიკა სულ ეს იყო; მომავალი კვირა კი - ქართული რომანსის საღამოს, ფეშენ-შოუებს, რამოდენიმე საინტერესო გამოფენასა და წიგნის პრეზენტაციებს გვპირდება.

### კალენდარი

## 10 მარტი



შერონ სტოუნს ხშირად “90-იანი წლების მერლინ მონროს” უწოდებენ ხოლმე. წარმოშობით ესპანელი შერონი პროფესიონალი ფოტომოდელი იყო. მისი სამსახიობო დებიუტი 1980 წელს შედგა – ვუდი ალენის ფილმში “მოგონებები ვარსკვლავების მტვრის შესახებ” მან პატარა ეპიზოდური როლი შეასრულა.

შერონ სტოუნის პირველი როლები გამორჩეული არაფრით ყოფილა – რეჟისორები მხოლოდ მის გარეგნულ მონაცემებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. სტოუნს მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს გაუმართლა: ჰოლანდიელმა რეჟისორმა, ვერჰუვენმა, რომელიც იმხანად ამერიკის შეერთებულ შტატებში ფანტასტიკურ თრილერს, “ყველაფრის გახსენებას” იღებდა, მას ერთ-ერთი წამყვანი როლის შესრულება შესთავაზა. ამ ფილმში შერონმა მუხანათი და სასტიკი ქალი ითამაშა, მას არნოლდ შვარცნეგერი უწევდა პარტნიორობას.

ორი წლის შემდეგ კი, კვლავ ვერჰუვენის ფილმში, “ძირითად ინსტინქტში” შერულებული როლის შემდეგ შერონი საერთაშორისო დონის ვარსკვლავად და 90-იანი წლების სექს-სიმბოლოდ აღიარეს. შერონის გმირი მდიდარი, ინტელექტუალური და გარყვნილი მწერალი ქალია, რომელიც თავის საყვარლების მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

მას შემდეგ, რაც პოპულარობა მოიპოვა, შერონი სასტიკი, “საბედისწერო” ქალის იმიჯისგან თავის დაღწევას შეეცადა, მაგრამ, კრიტიკოსთა ერთსულოვანი შეფასებით, ეს მცდელობა სრულიად წარუმატებელი იყო.

ამერიკელი კინომსახიობი, **შერონ სტოუნი**, დაიბადა 1958 წლის 10 მარტს.

# მსახიობობა - აღმოჩენების სასწაული





*გია როინიშვილი*

თამარ სუხიშვილი

“ერთხელ ჩემმა მასწავლებელმა, ბატონმა მიშა თუმანიშვილმა აფიშაზე ასეთი სურვილი წამიწერა: “გია, გისურვებ ბევრ აღმოჩენას”-ო (საერთოდ მასწავლებლებში გამიმართლა - მიხეილ თუმანიშვილი, ლილი იოსელიანი...). ხელოვანი აღმოჩენებს უნდა ესწრაფოდეს, ეს შემოქმედებით პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია. როცა მსახიობი სცენაზე აღმოჩენას აკეთებს, მაშინ როლი მაყურებლისთვისაც ახლობელი და მიმზიდველი ხდება, - ასე ხსნის მსახიობობის საიდუმლოს გია როინიშვილი, და იქვე სიცილით დასძენს, - რა თქმა უნდა, ყოველთვის ამას ვერ ახერხებ, მაგრამ „ჩავარდნილი“ როლიც, გარკვეულწილად, შეიძლება აღმოჩენად ჩაითვალოს – ამ შემთხვევაში აღმოჩენა ისაა, რომ ასე თამაში არ შეიძლებაო.

რესპონდენტად კინომსახიობთა თეატრის პოპულარული მსახიობი **გია როინიშვილი** შემთხვევით არ აგვირჩევია. უკვე კარგა ხანია ახალ “სარდაფში” რეჟისორი ოთარ ეგაძე ჩეხოვის “ძია ვანიაზე” მუშაობს. ძია ვანიას როლს გია როინიშვილი შეასრულებს. ეს როლი მისთვის, პირველ რიგში, ნდობის გამოცხადებას და, შესაბამისად, დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს: “ხედავთ, როგორ მენდნენ, - არადა, ძალიან მეშინია; ძალიან ვნერვიულობ და (მარტო ნერვიულობა რას მომცემს) ბევრს ვფიქრობ ამ როლზე, მინდა, ბევრი რამ ვუთხრა ქართველ მაყურებელს – ჩეხოვის რთული ენაც ამოვხსნა და ჩემი სათქმელიც მივაწოდო. ვნახოთ, რა გამომივა. ჩანაფიქრის განხორციელება თუ მოვახერხე, უბედნიერესი კაცი ვიქნები...”

საკუთარი სცენური მოღვაწეობის შეფასებისას გია როინიშვილი საკმაოდ თავშეკავებული ჩანს – ისეთი არაფერი გამიკეთებია, სალაპარაკოდ რომ ღირდესო. ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს – მაინც სუბიექტური ვიქნები საკუთარი თავის შეფასებისასო, – ამბობს გულწრფელად, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ ყოველთვის ცდილობდა მიზნისათვის მიეღწია, თეატრის უპირველესი მიზანი კი ისაა, რომ სიამოვნება მიანიჭო მაყურებელს.

გია როინიშვილს არაერთი როლი აქვს ნათამაშევი კინომსახიობთა თეატრში, თეატრალურ სარდაფში... რაღაცა გამოუვიდა, რაღაცა – არა (ასე ფიქრობს თავად მსახიობი), მაგრამ ყველა ნამუშევარმა გარკვეული გამოცდილება შესძინა. ბევრი როლი მართლა უყვარს – სერგო (“ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს”), ეს გმირი 7 წელია ცოცხლობს ამ სპექტაკლში; უსახელო პერსონაჟი (“ორთა ბოდვა”), მაგრამ თავის ნამდვილ აღმოჩენად კარენინს მიიჩნევს ტოლსტოის “ანა კარენინადან”, რომელიც ორიოდე წლის წინ დაიდგა კინომსახიობთა თეატრის სცენაზე.

“ამ როლის შეთავაზება ჩემთვის დაუჯერებელი იყო. თავიდან რეჟისორ გიორგი სიხარულიძეს უარიც კი ვუთხარი. მერე გავიგე, რომ მარტო ჩემთვის არ ყოფილა მოულოდნელი რეჟისორის არჩევანი. სხვებიც გაოცებულან, შენ ხომ არ გადაირიეო, - ეუბნებოდნენ გიორგის. ასეთი რეაქცია იმდენად ბუნებრივი იყო, რომ არც კი მწყენია. იმათ კი არა, მეც ვერ წარმომედგინა ჩემი თავი კარენინის როლში – მანამდე ხომ ძირითადად კომედიურსა და მსუბუქ სახასიათო როლებს ვთამაშობდი... ბოლოს მაინც ვითამაშე ჩემებური კარენინი (ვის – როგორ, მაგრამ ჩემთვის კარენინი რომანის ყველაზე საინტერესო პერსონაჟია, ეს არის კაცი, რომელსაც ბევრი დადებითი და ბევრიც უარყოფითი თვისება აქვს, მაგრამ, ამავე დროს, სწორედ ასეთ ადამიანებზე დგას სახელმწიფო). მე მომწონს ჩემი როლი, არა იმიტომ, რომ ყველაფერს ჩავწვდი, არამედ იმიტომ, რომ უფრო ბევრი ამოუცნობი, ე.ი. ამოსაცნობი დარჩა. ძიება გრძელდება და ეს კარგია. დანარჩენი მაყურებელმა განსაჯოს.”

გია როინიშვილს აქ შექსპირის დამოძღვრა ახსენდება, ნურც რას მოუმატებთ და ნურც რას დააკლებთო. “მეც ვეთანხმები პატივცემულ შექსპირსო,” – ამბობს ღიმილით და სჯერა, რომ ნამდვილ მსახიობს, პირველ რიგში, კომედიის თამაში უნდა შეეძლოს, რადგან, როგორც წესი, კომედიური როლის შესრულება ტრაგიკული როლის თამაშზე ბევრად უფრო რთულია. ისე კი, სასურველია, რომ მსახიობი მრავალჟანრობრივი იყოს.

თავად გია როინიშვილს თეატრში სხვადასხვა სახის ნიღაბი აქვს შექმნილი: “ისიც ვცადე, ისიც. მე მგონი, რაღაც გამომივიდა.” რაც შეეხება ცხოვრებას, აქ იგი ცდილობს, რომ ნიღაბი არ გამოიყენოს. თუმცა, მისი თქმით, ცხოვრებისეული ნიღაბი პროფესიაზე არ არის დამოკიდებული, დღეს ყველა თამაშობს. მაგრამ ცხოვრებისეული თამაში და სცენური თამაში საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს – “ყველაზე მართალი მსახიობი სცენაზეა”:

“თეატრში სანთელივით უნდა დაიწვა, რომ ვიღაცა გაათბო. ბოლომდე უნდა გასცე ენერგია და თანაც ეს ენერგია თბილი და კარგი უნდა იყოს. მე თქვენ ეს ენერგია უნდა გაჩუქოთ, ხანდახან მოგყიდოთ (მხრებს იჩეჩავს და ეშმაკურად იცინის), იმიტომ რომ ბილეთს იღებთ. ბატონი მიშა თუმანიშვილი ასე გვარიგებდა: ითამაშე ისე, თითქოს უკანასკნელად თამაშობო. ყოველი სპექტაკლი თავიდან უნდა ითამაშო, გუშინდელის გამეორება არ შეიძლება. როდესაც კიდევ ერთხელ გაივლი ათასჯერ გავლილ გზას, სწორედ მაშინ იბადება იმპროვიზაცია. ზოგიერთ მაყურებელს უკვე სახეზე ვცნობ – ისინი ერთსა და იმავე სპექტაკლზე სიუჟეტის გამო კი არ მოდიან, მათ იმპროვიზაცია აინტერესებთ. ამიტომაა თეატრი ცოცხალი ორგანიზმი – ეს არის დღეს, აქ, ამ წუთში, მე და შენ (მსახიობი და მაყურებელი) ვხდებით ჩვენ...”

“იცით, როდის იწყება ხელოვნება? – შუა საუბრის დროს უცებ სახე ენთება გია როინიშვილს და კითხვას მიბრუნებს, - როცა როლი უკვე აწყობილია, მაგრამ ჩნდება რაღაც, რაც გონების კარნახს აღარ ემორჩილება, ტკაპ! – დაიძახებს ის რაღაც და იბადება აღმაფრენა.”

*- და თუ ეს აღმაფრენა არ გეწვევა?*

- შენი სულიც და ფიზიკაც მზად უნდა იყოს ამისათვის. მაყურებელს არ უნდა აგრძნობინო, გიჭირს თუ გილხინს – შენ იმ დღეს ბაზარში იჩხუბე თუ შინ მოგივიდა უსიამოვნება. ამას სჭირდება გამოცდილება, ოსტატობა, ტექნიკა, აღმოჩენის სურვილი... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ადვილი არ არის. ამიტომაც მსახიობები ზოგჯერ მთელი დღე საგრიმიოროში იკეტებიან ხოლმე იმისათვის, რომ საღამოს ის სასწაული შექმნან, თეატრი რომ ჰქვია.

თავად გია როინიშვილს სპექტაკლის დაწყებამდე განმარტოება არ სჩვევია, თუმცა რაღაც პატარა ჩვევებისა თუ ცრურწმენების მასაც სჯერა – განსაკუთრებული არაფერიაო, - არ ამხელს მსახიობი სცენაზე გასვლის სამზადისის საიდუმლოს.

*- რატომ, ესეც ცრურწმენაა?*

- არა, - იცინის, - უბრალოდ, მრცხვენია...

ხოლო რაც უკვე რწმენაშია გადაზრდილი და რასაც უბრალო მოკვდავთა ენაზე მადლიერება ჰქვია, ისაა, რომ ყოველი მორიგი სპექტაკლის შემდეგ უკვე ცნობილი მსახიობი გია როინიშვილი ახალბედა სტუდენტივით აბარებს გამოცდას თავის დიდ პედაგოგს – მიხეილ თუმანიშვილს: “მივდივარ და ერთ ყვავილს ვდებ ბატონი მიშას საფლავზე, სულ ესაა...”

ეს “სულ” კი ძალიან ტევადია...

**შეგირდის მონოლოგიდან**

“...დავიწყოთ იქიდან, რომ მიხეილ თუმანიშვილი იყო თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული რეჟისორი, მოვლენა: არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან შექმნა უკვდავი სპექტაკლები რუსთაველის თეატრში, მერე თავის თეატრში, იმიტომ რომ მან შექმნა უზარმაზარი სკოლა; ამ სკოლის მიღწევებზე თაობები გაიზარდა რუსთაველის თეატრშიც, ჩვენთანაც და, საერთოდ, ქართულ თეატრში. ის იყო უზარმაზარი პედაგოგი, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი. მიშა თუმანიშვილი თვითონ იყო თეატრი და მან თავისი თეატრი თან წაიღო მარადიულობაში. რასაც მისი მოწაფეები შექმნიან, ბატონი მიშას შემოქმედება აღარ იქნება, მას ბატონი მიშას მოწაფეთა ნამუშევარი დაერქმევა. და თუ ეს ნამუშევარი წარმატებული გამოვა, სწორედ ეს იქნება თუმანიშვილის თეატრის სიცოცხლე, გაგრძელება და განვითარება ქართული თეატრისა. ასეთი მოძღვარშეგირდობის თვალნათელი მაგალითია თუმანიშვილი და მისი გენიალური მოწაფე რობერტ სტურუა; რობერტ სტურუამ განავითარა ქართული თეატრი და ის ახალ საფეხურზე აიყვანა. მიხეილ თუმანიშვილმა ქართული თეატრის შემდგომი წინსვლის შესაძლებლობებიც დაგვიტოვა. თუმანიშვილის სახელს იმით არაფერი დააკლდება, თუკი სხვა ესთეტიკისა და თვალთახედვის სპექტაკლები დაიდგმება, მთავარია, არ დაიკარგოს ის მოთხოვნები, ის მაღალი ესთეტიკა, რასაც ბატონი მიშა ელოლიავებოდა. მხოლოდ ასე გაგრძელდება ქართული თეატრის დღესასწაული...”

მარტის ბოლოს ახალ “სარდაფში” მორიგი პრემიერაა – ჩეხოვის “ძია ვანია”. მთავარ როლს მსახიობი გია როინიშვილი შეასრულებს.

# ავტორი - რომის პაპი

კრაკოვში რომის პაპის, იოანე პავლე II-ის წიგნის, “რომაული ტრიპტიქონის” პრეზენტაცია ჩატარდა. წიგნი წმინდა სტანისლავის კათოლიკური გამომცემლობის მიერაა გამოცემული და მისი ტირაჟი 300 ათას ეგზემპლარს შეადგენს. წიგნის გამომცემელთა თქმით, ტირაჟის 80 პროცენტს მყიდველი უკვე გამოუჩნდა.

ეს პოემა ერთადერთი ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელიც პაპმა თავისი პონტიფიკატის 25 წლის მანძილზე გამოსცა. ცხოვრების “პოლონურ პერიოდში”, იმხანად კარდინალ კაროლ ვოიტილას რამდენიმე ლექსებისა და პიესების კრებული ჰქონდა გამოშვებული – ეს პიესები შემდგომ მსოფლიოს მრავალ თეატრში დაიდგა, რამდენიმე მათგანი ეკრანიზებულია.

რომის მღვდელმთავარის პოეტური ქმნილების პირველ ნაწილს “წყარო” ჰქვია. მეორე ნაწილში ავტორი მიქელანჯელოს მიერ მოხატული სიქსტის კაპელის შესახებ გვიზიარებს აზრებს. მესამე ნაწილი ძველ აღთქმასა და აბრაამის სულიერ გზას ეხება.



*რომის პაპი - იოანე პავლე მეორე*

პაპს პოემა შარშან, შემოდგომაზე დაუწერია. მისი პირველი მკითხველები და შემფასებლები ძველი კრაკოველი მეგობრები იყვნენ. აღტაცებული მეგობრების შეძახილით გამხნევებულმა ავტორმა მისი გამოქვეყნება გადაწყვიტა.

მათი აზრით, ვინც უკვე მოასწრო ამ წიგნის წაკითხვა, “ასეთი ნაწარმოები მოულოდნელობა იყო; ამავე დროს ის პაპის შესანიშნავ ინტელექტზეც მეტყველებს”.

წიგნის პრეზენტაცია არქიეპისკოპოსის სასახლეში ჩატარდა – ეს სასახლე მრავალი წლის განმავლობაში კარდინალ კაროლ ვოიტილას რეზიდენცია იყო, სანამ ის რომის წმინდა ტახტს დაიკავებდა. პრეზენტაციას პოლონეთის კათოლიკური ეკლესიის იერარქები, ხელისუფლებისა და პოლონეთის ძველი დედაქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

იტალიურად თარგმნილი პაპის პოემის პრეზენტაცია იმავე დროს, ვატიკანში გაიმართა.

### კითხვარი

# კულტურა არ ცნობს კანონებს

ბოჩი გვახარია
*კინომცოდნე*

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**



**1.** ჰუმანიზმის დეფიციტი მეტნაკლებად ყველა საზოგადოებას და სახელმწიფოს ახასიათებს... ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც სტაბილურობისაკენ აქვს მიდრეკილება. ჰუმანიზმი კი – მოულოდნელსა და არაპოპულარულსაც გულისხმობს. კულტურა “მაშველი ჟილეტია” ჰუმანიზმისთვის. კულტურა იცავს სიკეთეს და ვერ ეგუება ჭაობად ქცეულ სტაბილურობას, კულტურა არ ცნობს კანონებს და “დასცინის” მატერიალურ კეთილდღეობას.

**2.** თუ დასავლური კულტურა პოლიტკორექტულობის ჭაობში ჩაეფლო, დღევანდელ ქართულ კულტურას ეს ეტაპი ჯერ გასავლელი აქვს და ვერ ახერხებს ფარისევლურად მაინც მოირგოს ჰუმანიზმის ნიღაბი. საზოგადოება კაფკიანურ გარემოში არსებობს, ქართულ კულტურას (მასკულტურასაც) ეს საერთოდ არ ანაღვლებს. ამ თვალსაზრისით, უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია “კავკასიური სახლის” მესვეურთა მოღვაწეობა თბილისში და ზურა მესხის მოთხრობა “სპაზმები” (ბედის ირონიით, მისი ავტორი უცნობია), აგრეთვე შარშან კონსერვატორიაში გამართული ქართული მრავალხმიანობის სიმპოზიუმი.

**3.** “რადიო თავისუფლების” კულტურის მიმომხილველად მუშაობა მავალდებულებს არ გამომრჩეს არც ერთი კულტურული პროექტი – ე.ი. თითქმის ყველაფერს ვუსმენ, ყველა სპექტაკლს და ფილმს ვნახულობ. ბოლო დროს ნანახ გამოფენებს შორის, არ მავიწყდება კარლო კაჭარავას ნამუშევრების ექსპოზიცია თბილისის “N გალერეაში”. ძალიან მომეწონა ინგლისელი რეჟისორის, მაიკლ ლის ფილმი “ყველაფერი ან არაფერი”, რომელსაც მთელ საქართველოს ვუჩვენებდი.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით.

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## მიროსლავ კლოზე: „კრიზისი დასრულდა!"

ეს ფეხბურთელი მთელმა მსოფლიომ იაპონია-კორეის მუნდიალზე გაიცნო. მანამდე ცოტა ვინმემ თუ იცოდა, ვინ იყო მიროსლავ კლოზე. ხუთი გოლი და ხუთი საუცხოო "სალტომორტალე" - მეტოქის კარის აღებით გამოხატული სიხარულის აღნიშვნის ორიგინალური ფორმა. მუნდიალის შემდეგ ეს ყოველივე წარსულის კუთვნილებად იქცა. არაერთი წინადადების მიუხედავად, კლოზე არც "რომაში" წავიდა, არც "ბაიერნში", არც "ბორუსიაში" და კარიერა გააგრძელა ისევ "კაიზერსლაუტერნში", რომელიც ნელ-ნელა "ქაოსლაუტერნად" იქცა. ადმინისტრაციულმა და ფინანსურმა კრიზისმა გუნდი ბუნდესლიგის ფსკერამდე დაწია. 23 ტური ისე მიილია, "კაიზერმა" ერთი მატჩიც ვერ მოიგო, ვეღარც კლოზეს გაჰქონდა გოლები.

ამ დროს "მიროს" პირად ცხოვრებაშიც კრიზისის ხანა ედგა - იგი მეგობარმა გოგონამ, ჟულიეტმა მიატოვა. პროფესიული და პირადი უიღბლობა კლოზემ მძიმედ განიცადა. "არავინ იცის, რა უბედური ვარ" - ამბობდა მაშინ "მირო". ყველაფერთან ერთად, ფეხბურთელს ფინანსურადაც უჭირდა. მაშინ, როცა მისი კოლეგა ოლივერ კანი ახალი "ფერარით" დაბრძანდებოდა, კლოზე ძველი "აუდით" დადიოდა ვარჯიშზე და იხტიბარს არ იტეხდა - ფუფუნებაზე სულაც არ ვგიჟდები, მთავარი სხვა რამეაო...

ნელ-ნელა ყველაფერი გამოსწორდა. გამოჩნდა ახალი ქალი - 24 წლის სილვია პურშკე, რომელმაც კლოზეს ორმაგი ბედნიერება მოუტანა. კლოზესავით, სილვიაც პოლონეთშია დაბადებული. ახლა კი ორივე კაიზერსლაუტერნში ცხოვრობს. პირადი ცხოვრების მოწესრიგების შემდეგ "მირო" ისევ ათამაშდა და გერმანიის თასის ნახევარფინალში ბრემენის "ვერდერს", რომელიც კარგ ფორმაშია და ჩემპიონატში მეხუთე ადგილი უკავია, ორი გოლი გაუტანა.

ახლა კლოზეს მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს შესასრულებელი - როგორმე ისევ აღიდგინოს ძველი ფორმა, სეზონის ბოლომდე, რაც შეიძლება, მეტი გოლი გაიტანოს და ევროპულ გრანდებს ისევ მოაწონოს თავი, რადგან ბოლო ადგილზე მყოფი "კაიზერსლაუტერნი" მომავალ სეზონში, ალბათ, ვეღარ დარჩება ბუნდესლიგაში და, საეჭვოა, დიდებაზე მეოცნებე "მირეკს" ქვედა დივიზონში თამაშის პერსპექტივა ხიბლავდეს.

## რობერტო კარლოსს ინგლისი მოუნდა

მთელი ესპანეთი გაოცებული დარჩა, როცა მადრიდის "რეალის" ბრაზილიელმა მცველმა, რობერტო კარლოსმა, ინგლისში გადასვლაზე დაიწყო ლაპარაკი. ყოველდღიური ბრიტანული გაზეთის "News of the world"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში რობერტო კარლოსმა განაცხადა, რომ "რეალთან" კონტრაქტის დამთავრების შემდეგ დიდი სიამოვნებით ითამაშებდა პრემიერლიგაში.

"მზად ვარ, კარიერის დარჩენილი წლები ინგლისში გავატარო. როგორც კი დამთავრდება კონტრაქტი "რეალთან", მაშინვე პრემიერლიგაში წავალ. ძალიან მომწონს ლონდონის "არსენალი" და იქ დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. ამ თემაზე ბევრი ველაპარაკე ჟილბერტო სილვას და ედუს. ორივე მოხიბლულია "არსენალით". ძალიან მინდა, ინგლისურ ფეხბურთშიც მოვსინჯო ძალა. ლონდონში რამდენჯერმე ვიყავი ოჯახთან ერთად და ძალიან მომეწონა ეს ქალაქი" - თქვა ფეხბურთელმა.

## დაფი გიგზის სანაცვლოდ?

მილანის "ინტერის" ხელმძღვანელობა უკვე აღარ მალავს, რომ ყველა ხერხით ეცდება, "მანჩესტერ იუნაიტედიდან" უელსელი ბარაიან გიგზი გადაიბიროს. მასიმო მორატის კლუბში თამაში თავად ფეხბურთელსაც სურს. ერთადერთი, რაც ამ ტრანსფერის განხორციელებას ხელს უშლის, ეს "მან იუს" ბოსების ყოყმანია. გიგზი ფერგიუსონის კლუბში მნიშვნელოვანი ფიგურაა და მანამდე ვერ გაუშვებენ, სანამ მის ღირსეულ შემცვლელს არ მოძებნიან.

ბოლო დროს იტალიური პრესა სულ უფრო მეტი დაბეჯითებით საუბრობს გიგზის შეძენაზე. როგორც იტალიელმა ჟურნალისტებმა დაადგინეს, "მან იუს" გიგზის დათმობა აღარ უნდა გაუჭირდეს, რადგან ინგლისელები სერიოზულად არიან დაინტერესებული "ბლექბერნის" ახალგაზრდა ირლანდიელი ფეხბურთელის, დამიენ დაფის კანდიდატურით და უელსის ნაკრების კაპიტნის შემცვლელად სწორედ ის მიაჩნიათ.

## ლამას ინგლისში იწვევენ

პრემიერლიგის კლუბი, "ბირმინჰემ სიტი" 39 წლის ვეტერან ფრანგ მეკარესთან, ბერნარ ლამასთან აპირებს კონტრაქტის გაფორმებას. ბოლო დიდ წარმატებას ლამამ 2000 წელს მიაღწია, როდესაც საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა. ამჟამად ლამა თავისუფალი აგენტია, ამიტომ სატრანსფერო ფანჯრის გახსნის გარეშეც შეუძლია ნებისმიერ კლუბში გადასვლა.

ბირმინჰემელთა ძირითადმა მეკარემ, ბელგიელმა ნიკო ვესენმა ტრავმა მიიღო და, შესაძლოა, სეზონის ბოლომდე ვერ შეძლოს თამაში. ამიტომაც, გუნდის დამრიგებელს, სტივ ბრუსს სასწრაფოდ სჭირდება მისი სრულფასოვანი შემცვლელის მიწვევა. ლამაზე არჩევანი კი ფრანგის მდიდარი გამოცდილების და საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის გამო შეჩერდა.

ისტორიული ფოტო

## ეს იყო 38 წლის წინათ...



1965 წლის 28 აპრილი, ლონდონი.
სტენლი მეტიუზის გამოსამშვიდობებელი მატჩი.
ლევ იაშინი, სერ სტენლი მეტიუზი
და ფერენც პუშკაში.

## შოთა არველაძეს თბილისში გამოსამგზავრებელი ბილეთი დაჯავშნილი აქვს

მიხეილ აბაიშვილი

*ორი დღის წინ შოთა არველაძის "რეინჯერსი" გლაზგოურ დერბიში ჩემპიონობისთვის მებრძოლ ერთადერთ კონკურენტს, "სელტიკს", მისსავე მოედანზე ეთამაშა. ამ მატჩამდე რეინჯერები 6 ქულით უსწრებდნენ თანაქალაქელებს, თუმცა, "სელტიკს" ერთი მატჩით ნაკლები ჰქონდა ჩატარებული. თამაში გლაზგოური დერბისთვის დამახასიათებელი სცენარით, დაძაბულად წარიმართა და ნომინალური მასპინძლების გამარჯვებით - 1:0 დასრულდა. 57-ე წუთზე ერთადერთი გოლი გაიტანა "სელტიკის" თავდამსხმელმა, ჯონ ჰარტსონმა. გუშინ "24 საათი" გლაზგოში ტელეფონით დაუკავშირდა შოთა არველაძეს.*



*შოთა არველაძე (მარჯვნივ) შვეიცარიის ნაკრებთან მატჩში*

**- ამ მატჩში "სელტიკმა" ოპტიმალური შემადგენლობა ვერ გამოიყვანა. ტრავმის გამო ვერ ითამაშა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა და "სელტიკის" წამყვანმა ფორვარდმა, ჰენრიკ ლარსონმა. რამ განაპირობა თქვენი დამარცხება?**

- ზედიზედ 5 მატჩია, "სელტიკთან" არ წაგვიგია. ეს თამაში რიგით მეექვსე იყო, რაც "რეინჯერსს" მაკლიში ჩაუდგა სათავეში. არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ. ტერიტორიულ უპირატესობას "სელტიკი" ფლობდა, თუმცა, ეს საგოლე მომენტების სიმრავლეში არ გამოიხატებოდა. უბრალოდ, ისინი უფრო დიდხანს აკონტროლებდნენ ბურთს, ჩვენზე მეტი კუთხური ჩააწოდეს, სხვა სტანდარტული მდგომარეობების შეფარდებაც მათ სასარგებლოდ იყო. გოლიც სტანდარტული გაგვიტანეს - კუთხურიდან. ძალიან ცუდად ითამაშა ჩვენმა შუა ხაზმა. მათი ბრალი იყო, რომ თამაში, ძირითადად, ჩვენს ნახევარზე მიმდინარეობდა. ჩვენც გვქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ.

**- შენ თუ შეგეძლო გოლის გატანა?**

- არა, საგოლე მომენტი არ მქონია, თუმცა, ჩემი თამაშით მწვრთნელი უკმაყოფილო მაინც არ დარჩენილა, რადგან "შავ სამუშაოს" არ ვთაკილობდი.

**- ამ დამარცხების შემდეგ თავიდან გიწევთ ჩემპიონობისთვის ბრძოლის დაწყება. როგორ ფიქრობ, გათანაბრდა თუ არა "რეინჯერსისა" და "სელტიკის" შანსები?**

- "სელტიკს" 3 ქულით ვუსწრებთ, მაგრამ, სავარაუდოა, რომ ჩემპიონატის გამოტოვებულ მატჩში ის გაიმარჯვებს და ქულებით გაგვითანაბრდება. თუმცა, ბურთების შეფარდება ჩვენ უკეთესი გვაქვს, რისი წყალობითაც სატურნირო ცხრილში ადგილს შევინარჩუნებთ. ჩემპიონატში "სელტიკთან" კიდევ გვაქვს თამაში, თანაც, ჩვენს სტადიონზე, რაც გარკვეულ უპირატესობას გვანიჭებს. ამით იმას არ ვამბობ, რომ "სელტიკს" ჩვენზე ნაკლები შანსი აქვს. ჩვენც და ჩვენს კონკურენტსაც სხვა მატჩებიც გვაქვს და თითოეულ მათგანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

**- როგორ მიმდინარეობს შენი ტრავმის შემდგომი სარეაბილიტაციო პროცესი?**

- ვთამაშობ, პრობლემები არა მაქვს. იმედია, არც მომავალში შემეშლება ხელი.

**- თუ მიიღე მიწვევა საქართველოს ნაკრებიდან და როდის აპირებ თბილისში ჩამოსვლას?**

- ვერ გეტყვით, კლუბში უკვე მოვიდა თუ არა მიწვევა. მე უკვე დავჯავშნე ბილეთი და თბილისში 24 მარტს ჩამოვალ.

**- ირლანდიის ნაკრებმა ბოლო ამხანაგურ, თანაც, გასვლით მატჩში შოტლანდიის ნაკრები დაამარცხა. როგორი შთაბეჭდილება დატოვა შენზე მომავალმა მეტოქემ?**

- შოტლანდიის ნაკრებთან მატჩი კარგ მაგალითად არ გამოდგება, რადგან შოტლანდიელებს ახლა ძლიერი ნაკრები არ ჰყავთ. 2-3 ფეხბურთელს თუ არ ჩავთვლით, გუნდი დაბალი დონის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ახალია მწვრთნელიც, რომელიც, პრაქტიკულად, თავიდან იწყებს გუნდის შექმნას. თუმცა, ირლანდიის ნაკრები რომ მაღალი კლასის გუნდია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. იმ თამაშის მონაწილე ჩემმა თანაკლუბელებმაც მითხრეს, ორგანიზებული და მოწესრიგებული გუნდია, მათ საჯარიმოში ბუზიც ვერ შეფრინდებაო.

**- და მაინც, რამდენად რეალურია ირლანდიის ნაკრების დამარცხება?**

- ძნელი სათქმელია, მაგრამ შეუძლებელი რომ არ არის, ეს რუსებმა და შვეიცარიელებმა დაამტკიცეს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამისთვის, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინალურ ეტაპზე მოხვედრის სიმბოლური შანსი დაგვრჩება.

## კუფურების ოჯახი ცხოვრების ნორმალურ რიტმს უბრუნდება

ალბათ, გახსოვთ, რა საშინელი ტრაგედია დაატყდა თავს მიუნხენის "ბაიერნის" განელ მცველს, სამუელ კუფურს გასულ წელს აკრაში, კუფურების ფეშენებელურ ვილაში. ფეხბურთელის უმცროსი გოგონა, 14 თვის გოდივა საცურაო აუზში ჩავარდა და დაიხრჩო. მაშინ მთელი "ბაიერნი" კუფურის გვერდით იდგა. სემი ყველაზე მეტად ეცოდებოდა ბრაზილიელ ჯოვანი ელბერს, რადგან ერთხელ მისი გოგონა კამილაც ჩავარდა აუზში და, ელბერს რომ არ მიესწრო, ალბათ, დაიხრჩობოდა კიდეც...

ამ ტრაგედიით თავზარდაცემული კუფური დიდხანს ვეღარ თამაშობდა ფეხბურთს. ახლა სემიც და მისი მეუღლე ფრანცისკაც ნელ-ნელა გამოდიან მდგომარეობიდან. კუფური უკვე დაუბრუნდა "ბაიერნს", ფრანცისკა კი შაბათს პირველად გამოჩნდა მიუნხენის ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნაზე.

დარდისგან განადგურებული ქალი ყველას გამხდარი და დაპატარავებული მოეჩვენა. ფრანცისკა მარტო იჯდა და უაზროდ მიშტერებოდა ერთ წერტილს. კარლ ჰაინც რუმენიგე კუფურის მეუღლეს თავაზიანად მიესალმა, ფრანცისკამ უსიტყვოდ, თავის დახრით უპასუხა. მოედანზე კი სამუელ კუფური კვლავაც ჩვეული სიმტკიცით იცავდა "ბაიერნის" საჯარიმოს და აუღელვებლად თამაშობდა. ნამდვილი პროფესიონალები ხომ სწორედ ასეთები არიან...

## „ბაიერნის" იოლი გამარჯვების მძიმე შედეგი

ნინო პირველი

ბოლო დროს გერმანიაში მოვლენები ისე ვითარდება, რომ "ტოპკლუბად" მიჩნეული მიუნხენის "ბაიერნი" არა და არ ავიწყდება საზოგადოებას. ყველა გერმანელი, განურჩევლად იმისა, აინტერესებს თუ არა ფეხბურთი და არის თუ არა "ბაიერნის" გულშემატკივარი, ინტერესით ადევნებს თვალს ბავარიულ კლუბში შექმნილ სიტუაციას. მიუნხენელები ხომ არავის ამადლიან სენსაციებს - ფინანსური სკანდალი იქნება ეს თუ ოჯახური უსიამოვნება. აბა, სხვა რომელი კლუბის წევრები აწყობენ ასეთ სცენებს? ამ გუნდში ყველა, მართლაც, რაღაც ჯადოსნურ წრეშია მოქცეული...

სკანდალების ფონზე თავად ფეხბურთმა თითქოს უკანა პლანზე გადაიწია. არადა, "ბაიერნი" საუცხოო ფორმაშია და დიდი წარმატებით მიიწევს წინ – ჩემპიონის ტიტულისკენ. მიმდინარე სეზონში "ბაიერნმა" უკვე გადაიტანა დიდი იმედგაცრუება, როცა ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე ჯგუფში ჩარჩა. მიუნხენელებმა ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ მესამე ადგილზე მაინც გასულიყვნენ და UEFA-ს თასის ტურნირზე ეცადათ ბედი. ევროასპარეზი "ბაიერნისთვის" აკრძალული ზონა აღმოჩნდა...

ჩემპიონთა ლიგიდან ნაადრევად გასტუმრებულმა "ბაიერნმა" მთელი ყურადღება ბუნდესლიგისა და გერმანიის თასის ტურნირებზე გადაიტანა. ჩემპიონატში, 24 ტურის განმავლობაში, ბავარიელებმა მხოლოდ ორი მარცხი განიცადეს და მტკიცედ დამკვიდრდნენ პირველ ადგილზე. თასის ფინალშიც უპრობლემოდ გავიდნენ - მოუგეს საშინლად დასუსტებულ ლევერკუზენის "ბაიერს".

"ბაიერნი" ისე იოლად იგებს ყველა მატჩს, რომ გერმანიაში უკვე ეჭვი აღარავის ეპარება: წლეულს აუცილებლად ჰიტცფელდის გუნდი გახდება ჩემპიონი. "ბაიერნის" ფანებმა ერთი უცნაური სიმღერაც კი შეთხზეს, რომელიც ასე იწყება: "მარტში ჩვენ უკვე ჩემპიონები ვართ"... დიახ, სწორედ ასეა, ჩემპიონატის დამთავრებამდე ათი ტურით ადრე "ბაიერნს" თითქმის ჯიბეში უდევს ჩემპიონის ტიტული და, ალბათ, გერმანიის თასიც. ძნელი წარმოსადგენია, ბუნდესლიგის ყოვლად უიმედო აუტსაიდერმა, "კაიზერსლაუტერნმა", მიუნხენელებს გამარჯვება აართვას.

ერთადერთი, ვისაც შეეძლო, "ბაიერნისთვის" კონკურენცია გაეწია, დორტმუნდის "ბორუსია" იყო, მაგრამ შაბათ საღამოს მატიას ზამერის გუნდმა ეს შანსი წყალს გაატანა. "ბაიერნმა" მიუნხენში კიდევ ერთხელ მოუგო ლევერკუზენის "ბაიერს", დორტმუნდელებმა კი მიონხენგლადბახში მოსახელე "ბორუსიასთან" წააგეს და ჩემპიონობაზე ფიქრს ამით დაემშვიდობნენ. ახლა "ბაიერნი" 14 ქულით უსწრებს დორტმუნდელებს და მოულოდნელად აღზევებულ "შტუტგარტს", რომელიც სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე...



*მიხაელ ბალაკი*

ბოლო ტურში "ბაიერნმა" სამი გოლი გაუტანა ლევერკუზენის "ბაიერს" და იოლად გაიმარჯვა, მაგრამ ამ მატჩში ისეთი რამ მოხდა, რამაც ოტმარ ჰიტცფელდი და გერმანიის ეროვნული ნაკრების თავკაცი რუდი ფიოლერი დიდად დაამწუხრა. თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მოთამაშე მიხაელ ბალაკმა მატჩის 22-ე წუთზე ისე უხერხულად წაიჩოქა, რომ მარცხენა ფეხის სახსარი დაიზიანა. როგორც კლუბის ექიმმა, ჰანს-ვიჰლემ მიულერ-ვოლფარტმა განაცხადა, ბალაკს მყესები აქვს გაწყვეტილი და ექვსი კვირა მაინც დასჭირდება ფორმის აღსადგენად. ეს იმას ნიშნავს, რომ ბალაკი ვეღარც "ბაიერნს" დაეხმარება და ვეღარც ეროვნულ ნაკრებს, რომელიც 29 მარტს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგ მატჩში ლიტველებს ხვდება. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გაუჭირდება რუდი ფიოლერს ბალაკის გარეშე?

და როცა ტრავმირებული ბალაკი გასახდელში თავჩაქინდრული იჯდა და მეგობარი გოგონას, სიმონეს ალერსსა და ნუგეშზე არც კი რეაგირებდა, რეპუტაციაშელახულ ოლივერ კანს ფანები სიყვარულს უმტკიცებდნენ. როგორც კი კანი ბურთს შეეხებოდა, ტრიბუნები მაშინვე მის სახელს გაჰყვიროდნენ. ასეთმა ერთგულებამ "ოლის" გულიც კი აუჩუყა - რვა წელიწადია, "ბაიერნში" ვთამაშობ და ასეთი რამ არასოდეს მომხდარაო, - განაცხადა მატჩის შემდეგ კანმა. როგორც ჩანს, "ბაიერნის" ფანებისთვის მორალი და ზნეობა არც ისე მნიშვნელოვანია. მთავარია, "ოლიმ" კარგად ითამაშოს და, პირად ცხოვრებაში როგორ მოიქცევა, ეს არავის საქმე არ არის.

რაგბი

# რუსები ქართულ ლელოს ვერ ინელებენ

## რაგბის ანბანი კარგად გვცოდნია

პაატა თოთაძე

არ ყოფილა ღმერთის ნება რუსი მორაგბეებისგან ქართველების დამარცხება... ქართველები რუსებს კლასით აშკარად ჯობნიან. შვიდი წელია, სლავები ჩვენს დამარცხებას ცდილობენ, მაგრამ არაფერი გამოსდით, არადა, იქადნებოდნენ, - უეჭველად გავიმარჯვებთო...

"ისე როგორ მოვკვდები, რუსეთის ნაკრების მიერ დამარცხებული საქართველოს ნაკრები არ ვნახო, - უთქვამს მატჩის შემდგომ გამართულ ბანკეტზე რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტს, იური ნიკოლაევს, რაზეც ქართველ კოლეგას, ბიძინა გეგიძეს უთქვამს, - სანამ მე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ვარ, ეს არ მოხდებაო.

ეს და სხვა ამბები კრასნოდარიდან დაბრუნებულმა ქართველმა მორაგბეებმა გუშინ გვიამბეს. "24 საათის" სტუმრები იყვნენ - კახა ალანია და ზურა მჭედლიშვილი.

**ზურა მჭედლიშვილი:** "თვითმფრინავიდან ჩასულებს ორმაგი კონტროლის გავლა მოგვიხდა - სასაზღვრო და საბაჟო შემოწმების. ამ პროცედურამ საკმაოდ დიდ ხანს გასტანა. კრასნოდარში ეს იყო დამღლელი, სხვა ყველაფერი ნორმალურად იყო. შარშანდელი მოვლენების გამო, ბევრს აინტერესებდა, როგორ დაგვხვდებოდნენ რუსები. უნდა ვთქვა, რომ ჩვენი მეზობლები წელს მშვენივრად შეგვხვდნენ - მატჩამდეც და მის შემდეგაც მათგან ყურადღება არ მოგვკლებია".

**კახა ალანია:** "მორაგბეებს ერთმანეთში მუდამ ნორმალური ურთიერთობა გვქონდა, ამიტომ რუსების ასეთი დახვედრა არ გამკვირვებია. მოულოდნელი ის უფრო იყო, ხალხიც გულთბილად რომ გვეპყრობოდა. მატჩის შემდეგ სასტუმროს ეზოში მოვილხინეთ. სასტუმროს რესტორნის ბარმენი, გამარჯვების აღსანიშნავად, სასმელით გაგვიმანსპიძლდა. ბევრი კი არ დაგვილევია - თითო ჭიქით აღვნიშნეთ ჩვენი გამარჯვება. თქვენ წარმოიდგინეთ, ხალხი სასტუმროშიც კი მოდიოდა და ჩვენთან ერთად სურათს იღებდა."



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*კახა ალანია და ზურა მჭედლიშვილი "24 საათის" რედაქციაში*

**- როგორც ჩანს, ქართველების მიმართ დამოკიდებულება შეცვლილა...**

**ზ.მ.** "ამ ერთი საღამოთი მსჯელობა ძნელია. ერთმა იქაურმა ისიც კი თქვა, - მეტრანახევარზე მაღალი ქართველი ჯერ არ მინახავს და, თქვენ ამოდენები სად გაიზარდეთო. ქართველი მხოლოდ ბაზარზე ჰყავდა ნანახი. აქედან გამომდინარე, ძნელია იმაზე საუბარი, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ქართველების მიმართ".

**- იქნებ ისევ მატჩს და მოედანზე მომხდარს დავუბრუნდეთ...**

**ზ.მ.** "რუსეთთან თამაში ხომ მუდამ დაძაბულია - ახლაც ასე იყო, მაგრამ, ოქტომბრის მატჩისგან განსხვავებით, თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობდით და დარწმუნებულები ვიყავით, რომ გავიმარჯვებდით. ბიჭებს მცირე სასტარტო მღელვარება ჰქონდათ, მაგრამ მატჩის დაწყებისთანავე გაუარათ. თამაშს რაც შეეხება, ასე ვთქვათ, სტაბილური თამაში იყო - ბურთის აუტში გადაგდება, მანძილის მოგება, მეტოქის მოედანზე ჩაკიდება; თამაში მეტისმეტად არც ერთ გუნდს არ გაუმწვავებია. გამორჩეულად ითამაშა ჩვენმა ნახევარდაცვამ - აბუსერიძემ და ჯიმშელაძემ რუსი ნახევარმცველები ბოლომდე დაჩაგრეს".

**კ.ა.** "ჩვენი გუნდისთვის თითოეული მატჩი მსოფლიო თასისთვის მზადებაა. ამიტომაცაა, რომ ჩვენ თამაშში გარკვეული სიახლეც შეინიშნება. მაგალითად, მწვრთნელების თქმით, ფეხით თამაშის ტექნიკა გვაქვს კარგად დასახვეწი. რუსებთან შეხვედრისას სწორედ ამაზე გავამახვილეთ ყურადღება. მოკლედ, გუნდმა მწვრთნელის დავალება შეასრულა. დაცვაში ძალიან ზუსტად ვთამაშობდით. მოედანზე მეორე ტაიმში შევედი და, ძირითადად, დაცვაში მომიწია თამაში. დროის უმეტესი ნაწილი ბურთს რუსები ფლობდნენ, მაგრამ მათ შეტევებს იოლად ვუმკლავდებოდით. ერთი სიტყვით, თამაში ჩვენი იყო. ზურამაც აღნიშნა და კიდევ ვიტყვი, აბუსერიძემ და ჯიმშელაძემ მართლაც ჩინებულად ითამაშეს - საქართველოს ნაკრებში ეს პალიკოს საუკეთესო მატჩი იყო".

**- როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ექსპერიმენტები გუნდში?**

**ზ.მ.** "ეს უკვე მწვრთნელზეა დამოკიდებული. კლოდმა ადრე გვითხრა, - არ მინდა საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასზე ცუდად იასპარეზოს და ვინმეს იმის თქმის საფუძველი გაუჩნდეს, - ამათ აქ რა უნდოდათო; ექსპერიმენტებსაც ამიტომ ატარებს - უნდა, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასზე ღირსეულად გამოვიდეს".

**კ.ა.** "სიმართლე რომ გითხრათ, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი, ამიტომ ეს ექსპერიმენტები კიდევ გაგრძელდება. პატრიკ ფორის მოსვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ეს ექსპერიმენტები, გარკვეულწილად, მისი "დამსახურებაცაა". ბევრი რამ გვასწავლა, მაგრამ თეორიული ცოდნა საკმარისი არ არის - ნასწავლს პრაქტიკულადაც ვიყენებთ."

მორაგბეები თავისებურად აფასებენ მომხდარს, მწვრთნელს კი საკუთარი აზრი აქვს: "კმაყოფილი ნამდვილად ვარ, მაგრამ - უფრო შედეგით. გუნდმა 60 %-ით შესარულა ჩემი დავალება. დაცვაში მართლაც კარგად ვითამაშეთ, რასაც ვერ ვიტყვი შეტევაზე. შეტევაში და დერეფანში თამაში ის კომპონენტებია, რამაც უკმაყოფილო და გულნატკენი დამტოვა".

თავისთავად იბადება კითხვა - "რის ხარჯზე შეძლო საქართველოს ნაკრებმა მოწინააღმდეგის დამარცხება?"

"იმის ხარჯზე, რომ რაგბის საფუძვლები, ასე ვთქვათ, ანბანი ქართველებმა უფრო კარგად იციან", - პასუხობს სორელი.

გუშინწინ და გუშინ ევროპის ერთა თასის დანარჩენი ორი მატჩიც გაიმართა. პორტუგალიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, იოლად მოუგო ჩეხეთს – 43:10, რუმინელებმა კი სტუმრად ესპანელები დაამარცხეს - 31:6.

### სატურნირო მდგომარეობა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 3 | 0 | 0 | 93:55 | 9 |
| საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 87:54 | 7 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 69:42 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 46:22 | 4 |
| ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 28:132 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 10:43 | 1 |

კრივი

# ესაა პიკასოს ბიჭი?

ბიბა გურასაშვილი

*მოვლენათა ასეთ განვითარებას არავინ ელოდა, მაგრამ ფაქტია: უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო WBO (ორგანიზაციის) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს გამოემშვიდობა. ჰანოვერში, "Preussag Arena"-ზე თავშეყრილი 11,500 კრივის მოყვარული თავისი ნებიერას სამარცხვინო მარცხის მოწმე გახდა. უეჭველია, შაბათის ღამე ვლადიმირ კლიჩკოსთვის ერთ-ერთ მწარე მოგონებად დარჩება. კლიჩკო უმცროსის მსოფლიო ჩემპიონობა მეორე რაუნდის დასრულებამდე 33 წამით ადრე შეწყდა. ყველასთვის მოულოდნელად კი გამარჯვება ნაკლებად ცნობილმა სამხრეთაფრიკელმა კორნელიუს სანდერსმა იზეიმა. ამას ვინ წარმოიდგენდა? ესაა პიკასოს ბიჭი?*

### პროლოგის მაგიერ

კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაცავად და სამხრეთაფრიკელ კორნელიუს იუჰანესონ სანდერსთან საბრძოლველად შემზადებული ვლადიმირ კლიჩკო შაბათის ორთაბრძოლისთვის მხნედ გამოიყურებოდა. მისი ოპტიმიზმი პარასკევს, რესტორან "მწვანე ვარხვში" აწონვის ცერემონიაზეც იგრძნობოდა. ის 110 კილოგრამს იწონიდა. არც მასზე 8 კილოგრამით მჩატე სანდერსი ჩანდა უიმედო. ისინი კმაყოფილი იყვნენ საკუთარი ფიზიკური მომზადებით და აცხადებდნენ, რომ ბრძოლისთვის მზად არიან. ერთი სიტყვით, ყველა პირობა იყო იმისთვის, რომ სასეირო ორთაბრძოლა შემდგარიყო.

### კლიჩკო ერთი კვირით ადრე

დეკემბრის შემდეგ უკრაინელს არავისთან უჩხუბია. დეკემბერში კი ჯამელ მაკლაინი მიბეგვა. ამასვე უპირებდა სანდერსსაც. სამხრეთაფრიკელის ნოკაუტში ჩაგდებით უკრაინელს უნდოდა ეჩვენებინა, რომ იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივეა.

"ბრძოლის მოგება მნიშვნელოვანია. ორთაბრძოლაში ერთპიროვნული ლიდერობაც ასევე მნიშვნელოვანია. მოიგო ნოკაუტით... გამარჯვებულს არ ასამართლებენ", - სანდერსთან დაპირისპირებამდე ერთი კვირით ადრე ასეთი რამ განაცხადა ვლადიმირმა.

### თუმცა...

"ხშირად მსმენია, რომ მომავალი მე მეკუთვნის. ისიც, თუ შემდგომ წლებში როგორი ბატონ-პატრონი ვიქნები მძიმე წონაში. თუმცა, ისიც ვიცი, რომ შეიძლება ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად, თვალის დახამხამებაში დასრულდეს", - სანდერსთან ორთაბრძოლამდე აცხადებდა უკრაინელი.

### საკრივო ბიოგრაფია სანდერსის თანხლებით

26 წლის უკრაინელთან შებმამდე სანდერსს პროფესიულ რინგზე 40 ორთაბრძოლა ჰქონდა ჩატარებული. აქედან 38 მოიგო, მათ შორის 28 - ნოკაუტით. თვალშისაცემი სარინგო ნუსხის მიუხედავად, კორის პროფესიულ კრივში არასდროს მიეღწია მნიშვნელოვანი წარმატებისთვის. სანდერსის, იგივე "ბომბდამშენის" (ასე იცნობენ მას კრივის სამყაროში), ერთადერთ დამსახურებად ის თუ გამოდგება, რომ 1991 წელს სამხრეთ აფრიკის ჩემპიონი გახდა. საერთაშორისო ასპარეზზე კი მსოფლიო ჩემპიონობა იქ იზეიმა, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ - გიორგი კანდელაკმა. კერძოდ, 1997-2000 წლებში სანდერსი კრივის მსოფლიო კავშირის (WBU) საჩემპიონო სარტყელის მფლობელი გახლდათ. კლიჩკოსთან დაპირისპირებამდე სამხრეთაფრიკელს რეიტინგში 28-ე საფეხური ეკავა.

### საკრივო ბიოგრაფია კლიჩკოს თანხლებით

37 წლის სამხრეთაფრიკელთან შებმამდე კლიჩკო უმცროსს პროფესიულ რინგზე, ისევე როგორც სანდერსს, 40 ბრძოლა ჰქონდა ჩაატარებული. აქედან 37 ნოკაუტით მოიგო, ერთადერთხელ წააგო და ისიც შინ, კიევში, 1998 წლის დეკემბერში. ისე კი, ახლანდელსა და მაშინდელ დაპირისპირებაშიც არის კავშირი: მაშინ კლიჩკო დამარცხდა იმ როს პიურიტთან (აშშ), ვინც შაბათის ორთაბრძოლისთვის სანდერსი მოამზადა.

### ჰანოვერი, შაბათი, "Preussag Arena"

"Preussag Arena"-ზე თავშეყრილი 11,500 მაყურებელი ამაოდ ელოდა საკუთარი კერპის - ვლადიმირ კლიჩკოს გამარჯვებას (შეგახსენებთ, ვლადიმირი და ვიტალი გერმანიაში ვარჯიშობენ). ძმებ კლიჩკოებს ყველა იცნობს, ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ერთი სიტყვით, კრივის საცქერლად მისული გულშემატკივარი ვლადიმირს ქომაგობდა, მაგრამ...

სამხრეთაფრიკელმა მოკრივემ პირველივე რაუნდში მუშტების კორიანტელი დააყენა. გონგის ხმამდე 33 წამით ადრე, ყველასთვის მოულოდნელად, კლიჩკომ პირველი ნოკდაუნი იგემა. ათ წამში მაყურებელმა კლიჩკო ისევ რინგზე გართხმული იხილა. ასეთ რამეს ვერც კლიჩკო წარმოიდგენდა, ვერც მწვრთნელი, ფრიც ზდუნეკი, ვერც მაყურებელი და ვერც, ალბათ, თავად სანდერსი. მაგრამ ფაქტი ჯიუტია. მეორე რაუნდში კლიჩკოს შანსები თანდათან მცირდებოდა. სამხრეთაფრიკელი ხვდებოდა, რომ ორგანიზაციის ქამარს უფრო და უფრო უახლოვდებოდა. კლიჩკოს თავგზააბნეულობით შეგულიანებულმა სანდერსმა შეტევა კიდევ გაამწვავა და უკრაინელი მესამედ დასცა, ამჯერად - უკვე ნოკაუტით. მსაჯს ისღა დარჩენოდა, ორთაბრძოლა დასრულებულად გამოეცხადებინა. ორგანიზაციაში გაშინაურებულმა ვლადიმირმა ტიტულის მეექვსედ დაცვა ვერ შეძლო. WBO-ს ახალი მსოფლიო ჩემპიონი ჰყავს და ეს კორი სანდერსია.

### ვის არ წაუგია?

შეცდომა ყველას მოსდის, ყველა დიდ მოკრივეს წაუგია, მაგრამ შემდეგ ტრიუმფით დაბრუნებულან. წაგების მიუხედავად, კლიჩკო ოპტიმისტურადაა განწყობილი და ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებას გეგმავს.

"დარწმუნებული ვარ, ისევ მსოფლიო ჩემპიონი გავხდები. ყველა დიდი ჩემპიონი დამარცხებულა, მაგრამ უკან დაბრუნებულან. იგივე შეემთხვა მუჰამედ ალისაც, ლენოქს ლუისსაც (მაიკ ტაისონსაც.-რედ.)", - სანდერსთან წაგების შემდეგ თავს ინუგეშებდა კლიჩკო უმცროსი.



REUTERS

*კორინ სანდერსის დარტყმამ კლიჩკო ნოკაუტში გაგზავნა*

ფორმულა 1

# ფორმულამ სტარტი აიღო: Ferrari საპრიზო ადგილის გარეშე დარჩა

## მიხაელ შუმახერი: "ალბათ, მე-4 ადგილითაც კმაყოფილები უნდა ვიყოთ"

აკა ტონია

გუშინ მელბურნში ფორმულა 1-ის ახალმა სეზონმა აიღო სტარტი. ავტოსპორტის მოყვარულებს იმედი დაუბრუნდათ: ფორმულა კვლავ საინტერესოა!

ავსტრალიის გრან-პრი უაღრესად დაძაბული, ქაოსურიც კი გამოდგა. გამარჯვების შანსი ერთდროულად ოთხ პილოტს ჰქონდა. რბოლას მონაცვლეობით ლიდერობდნენ მონტოია, რაიკიონენი, შუმახერი, გამარჯვებას კი კულჰარდმა მიაღწია. კოლუმბიელ ხუან პაბლო მონტოიას გამარჯვება, თითქოს, გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე მისი ბოლიდი მოცურდა და უპირატესობაც დაკარგა. რაიკიონენი დააჯარიმეს, რადგან ბოქსში გადაჭარბებული სიჩქარით შევიდა, ხოლო შუმახერმა თავისი Ferrari-ს ნაწილები ტრასაზე მიმოფანტა და მხოლოდ მე-4 ადგილს დასჯერდა. 2001 წლის სექტემბრის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა Ferrari-ს პილოტი სამეულში ვერ შევიდა.

გამარჯვებულმა კულჰარდმა მე-11 პოზიციიდან დაიწყო რბოლა და პირველ ადგილზე გავიდა, მისი თანაგუნდელი კიმი რაიკიონენი კი - მესამეზე. ასე რომ, ავსტრალიის გრან-პრი McLaren-Mercedes-ის ტრიუმფით აღინიშნა. "ბედნიერი ვარ ჩვენი გუნდის შედეგით - პირველი და მესამე ადგილები დავიკავეთ, ეს შესანიშნავია!" - თქვა დევიდ კულჰარდმა რბოლის შემდეგ.

სპეციალისტთა აზრით, Ferrari-ს ახალი ბოლიდი მთელი თავით მაღლა დგას დანარჩენებთან შედარებით. იტალიური საჯინიბოს მომავალი წარმატების საიდუმლოდ, საუკეთესო პილოტებთან ერთად, სუპერ-ბოლიდსაც ასახელებენ. გუშინდელ რბოლაში Ferrari-ს უპირატესობა არცთუ ისე თვალშისაცემი იყო. იმ მონაკვეთში, როცა რბოლას რაიკიონენი ლიდერობდა და შუმახერი მას მისდევდა, ნათლად გამოჩნდა, რომ McLaren-Mercedes-ი სისწრაფეში არამც და არამც არ უთმობს Ferrari-ს. შუმახერის ყოველი ცდა, ფინელისთვის გაესწრო, უშედეგო აღმოჩნდა.

ერთი რბოლის მიხედვით ძნელია ვიმსჯელოთ Ferrari-ს უპირატესობასა და სუსტ წერტილებზე, მაგრამ ერთი კი ცხადია: მიმდინარე სეზონში შუმახერს მწვავე კონკურენციას გაუწევენ, იოლი გამარჯვებები მას ნამდვილად არ ელის.

ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებას 7 პილოტი გამოეთიშა, მათ შორის, შუმახერის თანაგუნდელი რუბენს ბარიკელო. სეზონის დაწყებამდე ბრაზილიელი აღიარებდა, რომ არ სურდა, შუმახერის "აჩრდილის" ფუნქცია შეესრულებინა და აუცილებლად ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა. ბარიკელომ კარგად დაიწყო რბოლა, თუმცა, ერთ მოსახვევში მანქანა მოუსრიალდა და ჯებირს დაეჯახა - ის შეჯიბრებას გამოეთიშა.

### ინტერვიუ მიხაელ შუმახერთან

*გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მიხაელ შუმახერმა რბოლის დასრულებისთანავე მისცა გერმანელ ჟურნალისტებს.*

**- Ferrari-ს გამარჯვებების სერია დასრულდა. რამდენად დიდია იმედგაცრუება?**

- არა. ფორმულა 1-ს აქვს თავისი კანონები, რომელთაც უნდა დავემორჩილოთ.

**- მაინც რა მოხდა?**

- ამინდის მიზეზით მეტისმეტად ქაოსური რბოლა იყო. ავარიების გამო ტრასაზე ორჯერ გამოვიდა უსაფრთხოების მანქანა. როცა ასე ხდება, ერთი წრის განმავლობაში გასწრების უფლება არა გვაქვს. ამ დროს ძალიან ძნელია სწორი ტაქტიკის შერჩევა. იღბალიც უნდა გქონდეს, რომ უსაფრთხოების მანქანის გაუჩინარების შემდეგ დროულად მოახერხო საჭირო სისწრაფის დაბრუნება. არ ვიცი, შესაძლოა, ჩვენი წარუმატებლობა ამის ბრალიც იყოს.

**- თქვენ მანქანაც დააზიანეთ. რისი ბრალი იყო ეს?**

- ქვის ჯებირებს გადავუარე. სწორედ ამ დროს დაზიანდა მანქანა, თანაც. ძალიან. ბოქსში მეორედ შესვლამდე მანქანას რომელიღაც ნაწილი მოსძვრა და ნახევრად ეკიდა. მეგონა, რომ მანქანა საბოლოოდ გაფუჭდა. ყველაფერმა ამან მეტისმეტად დიდი დრო წაგვართვა. ამის გამო, ალბათ, მე-4 ადგილითაც კმაყოფილები უნდა ვიყოთ.

**- კიმი რაიკიონენთან დაძაბული ორთაბრძოლა გქონდათ. რას იტყოდით მასზე?**

- ყოველთვის ვამბობდი, რომ ის კარგი პილოტია. ეს ბევრჯერ დაამტკიცა. სხვათა შორის, დღესაც.

**- რბოლა მეტისმეტად დაძაბული გამოდგა. უკანასკნელ წუთამდე ძნელი გამოსაცნობი იყო, ვის დარჩებოდა გამარჯვება. როგორ ფიქრობთ, გაამართლა ახალმა წესებმა?**

- დღევანდელი რბოლის ინტრიგასთან ახალი წესები არაფერ შუაშია. როგორც გითხარით, ორჯერ გამოჩნდა უსაფრთხოების მანქანა, ამინდიც ცუდი იყო. დღევანდელი შედეგები მხოლოდ და მხოლოდ შექმნილმა სიტუაციამ გამოიწვია.

### ავსტრალიის გრან-პრის შედეგები

1. დევიდ კულჰარდი - 10 ქულა
2. ხუან პაბლო მონტოია - 8
3. კიმი რაიკიონენი - 6
4. მიხაელ შუმახერი - 5
5. იანო ტრული - 4
6. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი - 3
7. ფერნანდო ალონსო - 2
8. რალფ შუმახერი - 1
9. ჟაკ ვილნევი - 0
10. იენსონ ბატონი - 0
11. იოს ვერსტაპენი - 0
12. ჯანკარლო ფიზიკელა - 0
13. ანტონიო პაცონია - 0
14. ოლივიე პანი - *გამოეთიშა*
15. ნიკ ჰაიდფელდი - *გამოეთიშა*
16. ჯასტინ ვილსონი - *გამოეთიშა*
17. მარკ ვებერი - *გამოეთიშა*
18. კრისტიანო და მატა - *გამოეთიშა*
19. რალფ ფირმანი - *გამოეთიშა*
20. რუბენს ბარიკელო - *გამოეთიშა*

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

მეუღლე გუია, შვილი მაია, შვილიშვილი ანი, ლიკა და გია ბოცვაძეები, იზა და ზაზა კალაძეები, დალი და ნოდარ ჭალაგანიძეები - იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბედო(მედიკო) შალვას ასული ჭალაგანიძე-ჩახავა**

პანაშვიდი: 9, 10 მარტს, 17 საათზე. დაკრძალვა 11 მარტს 14 საათზე.
მისამართი: თბილისი, ირაკლი აბაშიძის 29.

გაზეთი 24 საათი

10.03.03 N-67

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი ბინა, კაპიტალური რემონტით ქალაქ რუსთავში, (სტამბულის ბაზართან) 251652.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება კეთილმოწყობილი 100 კვ.მ. კერძო სახლი ბაღით ბაგებში. ფასი 30 000. 23 59 18

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ქირავდება საოფისედ გრიბოედოვზე, ბელეტაჟზე ოროთახიანი პარკეტიანი, კაფელიანი ბინა საკუთარი სადარბაზოთი. 98 86 01

ვიქირავებ რესტორანს დილმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

## მანქანები

**იყიდება !**

ა/მ **AUDI 90 Coupe GT.** 1988 **სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$**

**ტელ: 899 16 28 68**

## სწავლება

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას. ფასი 15 ლარი. მეცადინეობა ინდივიდუალური მეთოდით. 98 80 23 ნიკო

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს შეღავათიან ფასში. 75 53 55

ვარ 24 წლის, პროფესიით ჟურნალისტი. ვფლობ კომპიუტერის საოფისე პროგრამებსაც. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 76 26 43, 8(99) 15 69 02 ნანა

საშუამავლო ფირმა „კახი-98“ დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. ალმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90

საშუამავლო ფირმა „კახი-98“ დაგეხმარებათ თანხების სესხება-გასესხებაში დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ალმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90

**გეპატიჟებათ კაფე-რესტორანი „იმედი“**

გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.

**სანდრო ეულის ქ. 1.**
**8(93) 21 76 12**

**სავენახე რკინა-ბეტონის ახალი ბოძები და ლუზები. მოთუთიებული და სპეციალურად ქიმიურად მდგრადი პოლიმერით დაფარული მავთულები.**

**ტ/ფაქსი 94 27 15, 94 26 47**

**სიახლე!**

**გთავაზობთ ყველა უცხოური ავტომობილის სამუხრუჭე ხუნდების (კალოტკების) აღდგენას ქარხნული წესით (გარანტიით) ადგილზე მომსახურებით. დაზოგეთ დრო და ფული**

**9.00-2.00-სთ-მდე**

**მის: დიღომი, კინოსტუდიის ავტოფარეხი.**

## აფიშა

### თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"კონტრაბასი", რეჟ. ნინო ახვლედიანი; მთავარ როლში, გია გოგიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**სამეფო უბნის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"ჰამლეტი", რეჟ. რობერტ სტურუა
დას:18:00 სთ; ფასი 4-7 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 10 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**უნივერსი**
მამუკა მიქელაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ზამთარი ქართველი მხატვრების შემოქმედებაში"

**ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"სიმონა"
დას: 14:00; 19;00; 21:30; ფასი 5-8 ლარი
"ზარი"
დას: 16:30 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუო ყველა"
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სოლარისი"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**„რუსთაველი„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 17;00; 22:00; ფასი 7,9 ლარი
"სოლარისი"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

## TV პროგრამა 9 მარტი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 01.50 კურიერი
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა“
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა“
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.05 მხ. ფილმი „წითელი კარავი“ მთ. რ-ში: პიტერ ფინჩი
02.00 კლასიკა

### პირველი არხი

09.00, 12.00, 15.00, 20.00 „მოამბე“
09.10 მულტსერიალი „ბელფეგორი“
10.10 მხ. ფილმი „სიკვდილი ჰოლივუდში“
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 საქართველოს ეკონომიკური ფორუმი
18.00 „ვესტნიკი“
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 „მრავალჟამიერ“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
20.55 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
22.00 პრეზიდენტი გისმენთ
22.45 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 სერიალი „72 საათი“
00.10 მხ. ფილმი „მადმუაზელი“

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით ქართული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „დევნა“ მთ. როლ-ში რიჩარდ დრეიფუსი
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 ფილმი ბრავო „დაცინვა“ მთ. როლში შარლ ბერლინგი
01.40 ფილმი ღამურა „მეთვალყურე „ მთ. როლში ჯეიმს სპეიდერი, კიანუ რივზი
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.30 დოკ. ფილმი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „კაპიტანი ფრაკასი“ მე-2 ს.

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „უგროშოდ ბევერლი ჰილზე“
10.20 მხ.ფ. „ხასიათი“
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია“
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „ოჯახი გაქირავებით“
22.40 „ბურთი და მოედანი“
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ვნებით შეპყრობილნი“
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.00 რუსული ენის გაკვეთილი
11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 „ვარსკვლავები გვამცნობენ“
13.00 დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში“
13.30 მხ. ფილმი „ურჩხული“
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
21.30 პირველი ნაბიჯები
22.00 მუსიკალური პაუზა
22.30 ინდური მხ. ფილმი

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი „სიყვარულის მაგია“
15.00 მხ. ფილმი „მუშკეტერი“ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „ტაქსი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „ცხოველი“
22.30 მხ. ფილმი „გავარვარებული ასფალტი“

### მეცხრე არხი

10.00 მხ. ფილმი „სიღრმეში“
11.45, 12.45, 17.50, 18.25, 21.55, 23.50 მუსიკა
11.50 მულტფილმი „ცეროდენა და ნამცეცა“
13.00 დოკ. ფილმი „ფოტოროგოტი“ მე-3 ს.
13.50 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები“. „ძარცვა“
14.10 „ბელისიმო“ (ნინო გაირონი)
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.45 „მსოფლიო ფეხბურთი“
15.15 დოკ. სერიალი „ცხოვრებისეული გამოცდილება“ მე-7 ს.
15.45 გადაცემა „ოსტატი“ (განმ.)
16.00 მხ. ფილმი „ბილიარდომანები“
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა“
18.40 მულტფილმი „ალექსი“ მე-18 ს.
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 131-ე სერია
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი“
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი“
22.00 „ტელემეტრი“
22.15 მხ.ფილმი „ამრევი ქალი“
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი“
00.45 მხ.ფ. „კონფესიები: ბოროტების ორი სახე“

### აჭარა

03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 ისტორიული ფილმი „სამი მეფის შერკინება“ 1 ს.
10.00 საბავშვო ფილმი „ჰატჩიპუხი“
11.30 დოკუმენტური ფილმი
12.15 თრილერი „თეთრკანიანი ადამიანის ხვედრი“
14.00 კომედია „გმირი“
16.15 მულტფილმი „მილიონერი ძაღლები“
17.40 სათავგადასავლო ფილმი „თეთრი მგლები“ 1 ს.
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი“
19.30, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
20.00 მელოდრამა „ყვითელი ჯუჯა“
21.40 დოკუმენტური ფილმი
22.00, 00.00 „დღეს“
22.50, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
22.55, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.00 „ალტერნატივა“ საავტორო გადაცემა
01.00 კომედია „მენავთოგე ქალები“
02.30 დოკუმენტური ფილმი
03.30 თრილერი „ნათლიმამის განაჩენი“

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.20 „აჩიკუდა“
09.40 „სახლიდან გაუსვლელად“ -აუდიო-ვიდეო-ტელე
10.20 მელოდია
10.30 „სახლიდან გაუსვლელად“ - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 „ობიექტივი“-სტუმარი (გამეორებით)
12.50 „სახლიდან გაუსვლელად“ - კომპიუტერული ტექნიკა
13.30 დისნეი და მისი მეგობრები
13.50 „სახლიდან გაუსვლელად“ - კომპიუტერული თამაშები
13.55 მელოდია
14.05 „სახლიდან გაუსვლელად“ - მობილურები
14.45 ამინდის პროგნოზი
14.50 ჰოროსკოპი
14.55 სპორტი
18.00 ანონსი
18.05 ამინდის პროგნოზი
18.10 ვალუტის კურსი
18.15 მოკლედ... საქართველო
18.20 „სახლიდან გაუსვლელად“ - აუდიო-ვიდეო-ტელე
18.55 მოკლედ... უცხოეთი
19.00 „აჩიკუდა“
19.20 მოკლედ... ეკონომიკა
19.25 ვალუტის კურსი
19.30 ამინდის პროგნოზი
19.35 „სახლიდან გაუსვლელად“ - კომპიუტერული ტექნიკა
20.15 მოკლედ... სპორტი
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
20.55 „სახლიდან გაუსვლელად“ - კომპიუტერული თამაშები
21.00 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი
21.10 „ლა-ლა-ლა“
22.00 „სახლიდან გაუსვლელად“ - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.25 „კინოკლუბი „ - „ლოს-ანჯელესის საიდუმლოებები“
00.40 „სახლიდან გაუსვლელად“ - მობილურები
01.20 „ბიორითმი“

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер“
09.00 Док.сериал „Твинисы“
09.20 Армейский магазин
09.50 Дисней-клуб
10.15 В мире животных
11.10 „Непутевые заметки“
11.30 Пока все дома
12.10 Дог-шоу
12.55 „Клуб путешественников“
13.35 „Слабое звено“
14.35 Дисней-клуб
15.10 „Властелин вкуса“
16.05 „Валерий Брумель. Жизнь выше планки“
16.35 Спасатели. Экстренный вызов,
17.05 „Новый день“. Подводный мир А. Макаревича
17.35 „Ералаш“
18.00 Живая природа
19.00 Времена
20.10 „Кривое зеркало“ Е. Петросян представляет
23.05 Худ. фильм „ГЛАЗА АНГЕЛА“
01.05 „На футболе“
01.30 Худ. фильм „КРЫША МИРА“

### РТР

07.30 Худ.фильм „ПЕППИ ДЛИННЫЙ ЧУЛОК“
09.35 „Джуманджи“
10.00 „Сборная России“ Спортивная программа
10.35 Вести-Москва
11.15 „Утрений разговор“
11.45 „Городок“. Дайджест
12.20 Комедия „АРГЕНТИНЕЦ В НЬЮ-ЙОРКЕ“
13.55, 17.55 „ХА“. Маленькие комедии
14.10 Парламентский час
15.00, 21.00 Вести
15.20 Вокруг света
16.20 Диалоги о животных
18.05 Комната смеха
19.05 Клуб „Театр+ТВ“
21.25 „Зеркало“
21.50 „Честный детектив“
22.15 Праздничный концерт
00.20 Худ. фильм „ЧУЖОЙ БИЛЕТ“
02.35 Худ.фильм „ВДАЛЕКЕ ОТ ДОМА“

### НТВ

07.20 Худ. фильм „ГОЛУБОЕ ДЕРЕВО“
08.05 „Полундра!“
08.35 Вкусние истории
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 16.00 Сегодня
09.05 Комедия „ЗАМОРОЖЕННЫЙ“
10.30 Путешествие натуралиста
11.05 Кулинарный поединок
12.05 „Снимается кино!“ Юмористическая программа
13.05 „Аэропорт“. „Профессия - репортер“
13.25 Служба спасения
14.05 Худ. фильм „ОСТРОВ ГОЛОВОРОЕЗОВ“
16.35 „История охотника за крокодилами“
17.00, 19.00, 20.00 Сегодня
17.20 Комедия „ЛЮБОВЬ НЕМОЛОДОГО ЧЕЛОВЕКА“
19.05 „Новейшая история“
20.30 Гала-концерт „Звездная весна“
22.30 Боевик „ВОЗВРАТА НЕТ“
00.40 Сериал „КЛАН СОПРАНО“
01.40 Журнал лиги чемпионов



# სწრაფი კვების ობიექტები

## ამერიკული კულტურის ინგრედიენტები

ირაკლი მახარაძე

ლეონიდ გაიდაის ბრწყინვალე კინოკომედიაში „ბრილიანტის ხელი“ უცხოეთის ტურნედან დაბრუნებულ სემიონ სემიონოვიჩ გარბუნკოვს ნახევრად მძინარე მეუღლე ეკითხება: „კოკა-კოლა დალიე?“ ჰმ - პასუხობს გარბუნკოვი. როგორია? გარბუნკოვი მხრებს აიჩეჩავს, ისე რა. ისეთი ნივთები, როგორიცაა კოკა-კოლა, ჯინსი, პოპ-კორნი, საღეჭი რეზინა და ა.შ. 60-იან წლებში და ხშირად ახლაც (მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო და სახელმწიფო საზღვრები ადვილი გადასალახი გახდა) დასავლური ცხოვრების სიკეთეებთან ასოცირდება. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოცნება და ცდუნება მილიონობით საბჭოთა და სოციალისტურ ბანაკში მცხოვრები ადამიანისათვის, და არა მარტო მათთვის. ამერიკულმა მასობრივმა და სამომხმარებლო კულტურამ მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში შეაღწია და მისი ეს ენა გლობალური მასშტაბით ინტერნაციონალურ ენად იქცა და მისი ერთ-ერთი ყველაზე საცნობი სიმბოლო მაკდონალდსია.

ეს სწრაფი კვების რესტორანი ანუ ფასტ-ფუდი, რომელიც მთელს მსოფლიოშია მოდებული (115 ქვეყანაში 24 800 რესტორანზე მეტი და ყოველდღიურად ისინი მასპინძლობენ 40 მილიონზე მეტ ადამიანს) უამრავი პროტესტისა და სასამართლო გარჩევების მიუხედავად მაინც რჩება ერთ-ერთ პოპულარულ და ნაღდ ამერიკულ ატრაქციონად, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის. გახსოვთ, ალბათ, როდესაც თბილისში 1999 წელს გაიხსნა პირველი მაკდონალდსი ყველა უწინასწარმეტყველებდა მის სწრაფ „დაყვინთვას“ ჩვენებური კვების კულტურიდან და მაღალი ფასებიდან გამომდინარე („მაკდონალდსში წასვლას ხინკლეში წასვლა ჯობია, რადგან ბევრად იაფია“), ასევე მრავალი აპროტესტებდა მის ადგილმდებარეობას რუსთაველის ძეგლთან, თუმცა, ეს ყველაზე უსუსური არგუმენტი აღმოჩნდა (თუ ანჩისხატი რესტორნებით არის გარშემორტყმული, რუსთაველის ძეგლმა რა დააშავა?) და დღესაც მაკდონალდსი, როგორც თბილისში, ასევე მთელს მსოფლიოში, ჯერჯერობით, დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს.

არსებობს ორი კარდინალურად განსხვავებული მოსაზრება მაკდონალდსის ფენომენის შესახებ. პირველი: ეს არის იმ ადამიანის ისტორია, რომელმაც უზარმაზარი ძალისხმევით, თავდაუზოგავი შრომითა და პრაგმატული ჭკუის წყალობით, ისე როგორც ამერიკელ პიონერებს შეეფერებოდათ (ამერიკელები კი, ბევრგან განსხვავებით, პირველ რიგში, შემქმნელები არიან და არა მეოცნებენი) შექმნა მეგა იმპერია, რომელმაც დასაბამი მისცა სწრაფი და იაფი მომსახურების რესტორნების ქსელს. მაკდონალდსის მოწინააღმდეგენი მის ისტორიას საშინელებათა ისტორიას ადარებენ, რომლის მთავარი გმირი რეი კროკია - მაკდონალდსის სულისჩამდგმელი, რომელმაც თავის დროზე მოიშორა ძმები მაკდონალდები, შექმნა სწრაფი კვების იმპერია, სადაც იყენებდა მოზარდებს, როგორც იაფ მუშახელს, მოჰფინა და დაანაგვიანა თავისი მახინჯი შენობებით და თაღებით მთელი აშშ და მსოფლიო და მისი წყალობით ამერიკის ნახევარი მოსახლეობა გასუქდა ან კუჭი გაიფუჭა და ახლა სასამართლოებისა და დიეტის მეშვეობით ებრძვის სიმსუქნეს და მაკდონალდსს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო... მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ უამრავი ამერიკელი კალიფორნიაში იწყებდა ბიზნესს. მათ რიცხვში იყვნენ დიკ და მაკ მაკდონალდები. ძმებმა გახსნეს სწრაფი მომსახურების ჰამბურგერების პაწია რესტორანი. იმ დროისთვის ეს სარისკო ბიზნესი გახლდათ, რადგან მაშინ მოდაში იყო ე.წ „დრაივ ინ“. ეს სერვისი საშუალებას აძლევდა კლიენტს მანქანიდან გადმოუსვლელად ესარგებლა სხვადასხვა მომსახურეობით: მათ შორის იყო კინოთეატრი, ბანკი, რესტორანი.

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ძმების ბიზნესს გასაოცარი წარმატება ხვდა წილად და მათ კიდევ რამოდენიმე მსგავსი წერტილი გახსნეს. მაკდონალდებს მარტივი მიზანი ჰქონდათ დასახული: დაეპყროთ თავისი ახლადგამოჩეკილი რესტორნებით ჩრდილოეთ კალიფორნია, ეს იყო და ეს. ძმები კლიენტებს სთავაზობდნენ: მარტივ და იაფ მენიუს - ჰამბურგერს (15 ცენტი), შემწვარ კარტოფილს (10 ცენტი), უალკოჰოლო სასმელს და ე.წ. გლიასეს (20 ცენტი) და ეს ყველაფერი ფეხის ქირის გარეშე; რაც უმთავრესია, მაკდონალდები სთავაზობდნენ ამერიკელებს, მათი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, სწრაფ მომსახურეობას (ერთ წუთზე ნაკლებს). 1952 წლისათვის მათ ისეთი წარმატებული ბიზნესი ჰქონდათ, რომ ისინი ჟურნალ „ამერიკული რესტორნის“ გარეკანზე მოხვდნენ.

1954 წელს 52 წლის ხელმოცარული ბიზნესმენი რეი კროკი, ყიდდა მულტი მიქსერებს, დანადგარს რომელსაც შეეძლო ერთდროულად ხუთი გლიასეს კეთება. მისი მანქანით დაინტერესდნენ ძმები მაკდონალდები და შეუკვეთეს რვა მულტიმიქსერი. კროკი დაინტერესდა და გაოცდა როცა გაიგო, რომ მის დამკვეთს, ჰამბურგერების გამყიდველს, ერთდროულად გასაყიდად 40 გლიასე სჭირდებოდა. მან გადაწყვიტა საკუთარი თვალით ენახა ყველაფერი.

იგი გაემგზავრა კალიფორნიაში და აღტაცებული დარჩა ძმების ბიზნესით. მენიუ იყო მარტივი, იაფი, ჰამბურგერები და კარტოფილი კი ძალზე გემრიელი, თანაც შემწვარი დაფასოებული კარტოფილი ძმების მიერ გამოგონილი დანადგარის წყალობით მუდმივად გამთბარი იყო. გაოცებას იწვევდა ის ფაქტიც, რომ მათ არ სჭირდებოდათ მიმტანი, ჭურჭლის მრეცხავი, აგრეთვე მინის ჭურჭელი, რადგან ყველაფერი ჩალაგებული იყო ერთჯერად ქაღალდის პაკეტებში, შენობები სადაც განთავსებული იყო მაკდონალდსები გამოირჩეოდნენ სისადავით და სისუფთავით. კლიენტთა მომსახურებაც ელვისებურად ხდებოდა. რეიმ მაშინათვე „მოტვინა“ ყველაფერი და დაინტერესდა საქმის გაფართოებასთან დაკავშირებით ძმების მიზნების შესახებ. აღმოჩნდა რომ მაკდონალდები ამაზე საერთოდ არ ფიქრობდნენ, რადგან არსებული მდგომარეობით ისინი კმაყოფილნი იყვნენ. მაშინ კროკმა შესთავაზა ძმებს, მიეცათ მისთვის უფლება გაეხსნა რესტორნები, გამოეყენებინა მათი სახელი და იგი მათ მისცემდა პროცენტს მოგებიდან. ძმები დათანხმდნენ. 1955 წელს რეიმ გახსნა თავისი პირველი რესტორანი დეს პლეინსში, ჩიკაგოსთან ახლოს. პირველივე დღეს შემოსავალმა 366 დოლარი და 12 ცენტი შეადგინა. ეს მომავალი დიდი წარმატების საწინდარი გახდა. ახლა იქ გახსნილია მუზეუმი, სადაც ინახება სხვადასხვა ღირშესანიშნავი ნივთები და მათ შორისაა მულტი მიქსერიც. ექვსი წლის შემდეგ რეი კროკმა ძმებისაგან 2,7 მილიონ დოლარად გამოისყიდა ყველა უფლება და ამ ბიზნესის სრული ბატონ-პატრონი გახდა. ძმებმა შეინარჩუნეს რესტორანი სან ბერნანდინოში, მაგრამ დაარქვეს სხვა სახელი Mac's place, რადგან მაკდონალდსის სავაჭრო ნიშნის მფლობელიც კროკი გახდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ზუსტად მათი რესტორნის წინ, გზის მოპირდაპირე მხარეს, გაიხსნა მაკდონალდსი, რომელსაც ამშვენებდა იგივე ფერები, იგივე მენიუ, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ ოდესღაც ძმების მიერ შექმნილი ფირმის სავაჭრო ნიშნისა და რესტორნის მფლობელი ახლა რეი კროკი გახლდათ. მაკდონალდებმა ვერ გაუწიეს მას კონკურენცია და რესტორანი დაიხურა. „მე ისინი ბიზნესიდან გავყარე“ - თქვა ძმების წასვლის შემდეგ გახარებულმა რეიმ.

მაკდონალდსისა და კროკის შემოსავალი ამერიკის ქალაქებისა და შემოგარენის ზრდასთან ერთად მატულობდა. ეს რესტორნები, პირველ რიგში, გათვლილი იყო საშუალო კლასზე, ამიტომ ხშირად კროკი თვითმფრინავით გადაუფრენდა ახალ რაიონებს, აკვირდებოდა სად იყო სკოლები, საბავშვო ბაღები, ეკლესიები და აქედან გამომდინარე აწყობდა მომავალ გეგმას. მან აგრეთვე ფრენჩაიზინგს მიჰყო ხელი, ეს ლიცენზირების სპეციალური სახეობაა, როდესაც ცნობილი სავაჭრო მარკის მფლობელი აძლევს სხვა კომპანიას უფლებას, რათა მან გამოიყენოს მისი სახელი და ნიშანი საკუთარი პროდუქციისთვის, მაგრამ კონტროლს ხარისხზე აწესებს სავაჭრო ნიშნის მფლობელი. ამგვარად, კროკი უამრავ მდიდარ ფირმას და ადამიანს დაუკავშირდა და მისი გავლენა ამერიკის ბაზარზე სწრაფად იზრდებოდა. სულ მალე მაკდონალდსის სავიზიტო ბარათი - საფირმო



სუვენირი „მაკდონალდსისგან“



ამერიკული კულტურის გლობალიზაცია: „მაკდონალდსი“ ტოკიოში


ამერიკული „მაკდონალდსი“

ფერებში გამოწყობილი კლოუნი სახელად რონალდ მაკდონალდი (თავდაპირველად ამ პერსონაჟს სხვადასხვა დღესასწაულებსა და აღლუმებზე ასახიერებდა ცნობილი ტელეწამყვანი უილარდ სკოტი) ყველაზე პოპულარული და საცნობი სიმბოლო გახდა ამერიკელი მოსწავლეებისათვის, რა თქმა უნდა, სანტა კლაუსის შემდეგ. (სხვათაშორის, მაკდონალდსის პირველი საფირმო სახე და ძმების თილისმა იყო ნახატი მზარეული „სპიდი“ ჰამბურგერის თავით, მაგრამ კროკმა ის შეცვალა, თუმცა ახლა მაკდონალდსის ბევრი რესტორანი აპირებს ისევ აღადგინოს უწინდელი საფირმო ნიშანი).

თავიდანვე კროკი ცდილობდა, რათა ჩამოეყალიბებინა მაკდონალდსის იმიჯი, რომელიც იქნებოდა თავაზიანობის, ღიმილისა და უმაღლესი მომსახურების გარანტი; მისი დევიზი ასე ჟღერდა:“ხარისხი, მომსახურება, სისუფთავე და ფასეულობა“. მომსახურე პერსონალის გაწვრთნისთვის 1961 წელს ჰამბურგერის უნივერსიტეტიც კი გაიხსნა ელკ გროვში, ჩიკაგოსათან ახლოს. თავდაპირველად, სამუშაოდ და სასწავლებლად იღებდნენ მხოლოდ ბიჭებს („კაცმა უნდა გაიპარსოს ყოველ დღე, წესრიგში მოიყვანოს ფრჩხილები, კბილები და სუნთქვა უნდა ჰქონდეს ქათქათა და სუფთა, ყოველდღე მიიღოს აბაზანა და იხმაროს დეზოდორანტი, რათა აღკვეთოს ოფლის სუნი... ცუდი კბილების, არაჯანსაღი კანის ან ტატუირების მქონე მოსამსახურე დახლთან არ უნდა იდგეს“), რადგან კროკის აზრით გოგონებს შეეძლოთ მიეზიდათ კლიენტი ბიჭების არასასურველი კონტიგენტი, რომელიც დაარღვევდა მაკდონალდსის იდილიას. შემდეგში სიტუაცია შეიცვალა და 60-იანი წლების ბოლოს გოგონებთან ერთად მათ შავკანიანი მუშახელის დაქირავებაც დაიწყეს, რისი საქვეყნოდ განცხადებაც არ დააყოვნეს.

1967 წლიდან იწყება რეი კროკის იმპერიის მიერ მსოფლიოს დაპყრობა, რომელიც ახლაც წარმატებით მიმდინარეობს. როდესაც მაკდონალდსი პირველად გაიხსნა იაპონიაში, მისმა პრეზიდენტმა განაცხადა (სერიოზულად თუ ხუმრობით ვერ გეტყვით): „იაპონელები დაბალი ტანის და ყვითელკანიანები იმიტომ არიან, რომ ორი ათასი წლის განმავლობაში მხოლოდ თევზითა და ბრინჯით იკვებებოდნენ, ათასი წლის განმავლობაში მაკდონალდსის ჰამბურგერები და კარტოფილი რომ გვეჭამა, ჩვენ ვიქნებოდით მაღლები, ჩვენი კანის ფერი თეთრი იქნებოდა და თმა კი ქერა“ (ათასი წელი ჰამბურგერი რომ ეჭამათ, შეიძლება იაპონელებს დღემდე ვერც კი მოეღწიათ).

მაკდონალდსი აქტიურად არის ჩაბმული პოლიტიკაში (მაგ. რეი კროკმა რიჩარდ ნიქსონის საპრეზიდენტო კამპანიას 250 ათასი დოლარი შესწირა და როგორც ამბობენ, ეს გახდა ერთ-ერთი თემა უოტერგეიტის სკანდალისა), საქველმოქმედო საქმეებშიც (ფირმა ეხმარება კიბოთი დაავადებულ ბავშვთა ოჯახებს), სპონსორობას უწევს სხვადასხვა სპორტულ სანახაობებსა და დღესასწაულებს, მათ შორის ამერიკული ფეხბურთის ფინალურ მატჩს super bowl-ს, ამან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მაკდონალდსი ჰამბურგერის გასართობი ბიზნესიდან იქცა კორპორატიულ გიგანტად, ხოლო 1973 წელს ჟურნალმა Time თავის მოწინავე სტატიაში განაცხადა, რომ ბიგ მაკი „ჰამბურგერია, რომელმაც დაიპყრო მთელი ქვეყანა“.

წლების განმავლობაში მაკდონალდსის მენიუ აქტიურად იცვლებოდა და იზრდებოდა, სხვადასხვა ქვეყნებში კი მენიუ მათი კვების სპეციფიკიდან გამომდინარე იცვლებოდა (ზოგიერთ სახელმწიფოში მაკდონალდსში სპირტიანი სასმელიც კი იყიდება). როდესაც ჟურნალი wall street journal მენიუს გაფართოების შესახებ ესაუბრებოდა დიკ მაკდონალდს (მაკი 1971 წელს გარდაიცვალა), ამ უკანასკნელმა აღნიშნა რომ მაკდონალდების წარმატების საწინდარი პირველ რიგში განპირობებული იყო მენიუს სიმარტივით:“ისინი ძალზე ყურადღებით უნდა იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სწრაფი კვება სულ მალე ისტორიას ჩაბარდება“.

მიუხედავად ცვლილებებისა, მაკდონალდსში არასოდეს იცვლება ძირითადი რამ: ჰამბურგერი, შემწვარი კარტოფილი და სწრაფი მომსახურება, თუმცა, პირადად მე მაკდონალდსში წასვლას სახინკლეში წასვლა მირჩევნია.

კალეიდოსკოპი

### წყლის თხილამურებით ციყვებიც სრიალებენ

ვირჯინიის შტატის ერთმა მცხოვრებმა უჩვეულო ექსპერიმენტი ჩაატარა. როგორც ქალბატონი ლუ ენ ბესტი ამბობს, ცხოველების გაწვრთნა სრულებითაც არ არის ძნელი, ეს, ფაქტობრივად, იგივეა, რაც ქმრის მოთვინიერება. “ცხოველებსაც და მამაკაცებსაც განუწყვეტლივ უნდა უმტკიცო, რომ ისინი ძალიან გიყვარს და მათ გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია, თანაც ეს ყოველ წამს უნდა შეახსენო ხოლმე.” მისის ბესტის ექსპერიმენტის “მსხვერპლი” ამჯერად ჩვეულებრივი ციყვი აღმოჩნდა, სახელად – ტვიგი. ტვიგი თავისი პატრონის წყალობით წყლის თხილამურებზე შედგა და ისე აუღო ალღო სპორტის ამ სახეობას, რომ გასულ შაბათ-კვირას სახელდახელოდ გამართულ ასპარეზობაშიც კი მიიღო მონაწილეობა. ეს სანახაობა ქალაქ ჩანტილიში ნავების გამოფენა-ჩვენების დროს გაიმართა.

ციყვების გაწვრთნა ბესტების ოჯახისათვის უკვე ერთგვარ ტრადიციად არის ქცეული. პირველი ციყვი მისის ბესტის მეუღლემ, ჩაკ ბესტმა გაწვრთნა. ეს იყო ჯერ კიდევ 1978 წელს. მოშინაურებული ციყვი ცოლ-ქმრისთვის ფულის შოვნის წყარო გახდა. ბესტების უნიკალურ საცირკო ნომერს მაყურებელი არასოდეს აკლდა, ისინი მოგზაურობდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, იყვნენ პარიზში, ბერმუდის კუნძულებზე, მოიარეს ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა...

ამ პოპულარულ ოჯახურ წარმოდგენებს უბედურმა შემთხვევამ შეუშალა ხელი. 1997 წელს ჩაკ ბესტი ტრაგიკულად დაიღუპა. მეუღლის სიკვდილის შემდეგ მისის ბესტს რამდენიმე წლის მანძილზე ეს საქმიანობა აღარ გახსენებია, მაგრამ ამასწინათ, რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, ისევ მიუბრუნდა თავის ჰობის, რომელიც მისთვის ძალიან სახალისოცაა, საინტერესოც და შემოსავლის მომტანიც.

მოთხილამურე ტვიგი ბესტის გაწვრთნილი მეხუთე ციყვია და დღესდღეობით ძალიან პოპულარულია ვირჯინიაში; მაგრამ მისის ბესტი დროს არ კარგავს და უკვე მეექვსე ციყვს ამეცადინებს. ნიჭიერებით ეს მღრღნელიც არ ჩამოუვარდება თავის სპორტსმენ მეგობარს. ციყვების მწვრთნელი ქალბატონი თავისი ხელოვნების საიდუმლოს არ ამხელს, მხოლოდ იმას ამბობს, რომ დედალი ციყვები მამალ ციყვებზე უფრო მოხერხებულნი და დამჯერნი არიან. ამაში მისის ბესტი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე დარწმუნდა: მას მხოლოდ ერთხელ ჰყავდა შეგირდად მამალი ციყვი და მისი მოთვინიერება ძალიან გაუჭირდა - მყვირალობის პერიოდში მამალი ციყვების დამორჩილება თითქმის შეუძლებელია. რაც შეეხება ბესტის ახალ – მეექვსე მოწაფეს, ჯერჯერობით, არავინ იცის, თუ რა სიურპრიზს უმზადებს ის მაყურებელს.

**დღეს**

**ორშაბათი, 10 მარტი**




1910 წელი: კალიფორნიაში პირველად გამოვიდა ჰოლივუდში გადაღებული ფილმი.

1914 წელი: სუფრაჟისტმა მერი რიჩარდსონმა ლონდონის ნაციონალურ გალერეაში ველასკესის ტილო დანით დასერა.

1969 წელი: მარტინ ლუთერ კინგის მოკვლისთვის ჯეიმს ერლ რეის 99 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

1996 წელი: ესპანეთმა საერთაშორისო წყლებში კანადასთან ახლოს თავისი მეთევზეების დასაცავად სამხედრო გემი გაგზავნა.

1999 წელი: მას შემდეგ, რაც სერბებმა მაკედონიის საზღვართან ახლოს ალბანელების ხუთი სოფელი დაარბიეს, კოსოვოში საცხოვრებელი სახლები 4 ათასამდე ადამიანმა დატოვა.

© GRAPHIC NEWS



# გვინეტ პელტროუ: ყველაზე ქალური ვარსკვლავი



გვინეტ პელტროუ





ვითომდა "სანდო წყაროზე", ანუ გვინეტ პელტროუს ახლო მეგობრის სიტყვებზე დაყრდნობით, ლონდონური გაზეთი Sunday Mail გულმოდგინედ ავრცელებს ჭორებს: მსახიობს ახალი შეყვარებული ჰყოლია, ბრიტანელი როკ-მუსიკოსი კრის მარტინი. გაზეთს თუ დავუჯერებთ, ოსკარის ლაურეატი მსახიობი უკვე საიდუმლოდ დანიშნულა კიდეც.

კრის მარტინი ამ ვერსიას გულმოდგინედ უარყოფს. ჟურნალისტების გულის გასახეთქად, ის ყოველ ჯერზე სხვადასხვა ამბებს ყვება: ხან იფიცება, რომ გვინეტი თვალით არ უნახავს და ჯულია რობერტსთან დაიარება, ხან აცხადებს, გვინეტი თავის ყოფილ საყვარელთან, ბენ ეფლეკთან დაშორებას განიცდიდა და მე მხოლოდ ვამშვიდებდიო. სერიოზული პასუხის ღირსად მან მხოლოდ London Evening Standard-ის კორესპონდენტი ჩათვალა: "სტატიები, რომლებიც ჩვენ გვეხება, არ მაინტერესებს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყველაფერი კარგადაა. მე ჩემი ცხოვრებით ძალიან კმაყოფილი ვარ".

გვინეტიც ბედნიერი და კმაყოფილია: "ცუდი არაფერი მეთქმის. ერთადერთხელ იყო, კარადაში აქოთებული წინდები ვუპოვნე. ესაა და ეს".

ნიშანდობლივი ამბავია: მიუხედავად იმისა, რომ გვინეტი მშვენიერი მსახიობია და კინოსამყაროშიც კარგი რეპუტაციით სარგებლობს, მისი პირადი ცხოვრება მასმედიას ბევრად უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე პროფესიული წარმატებები.

დიდი ხნის განმავლობაში მას მხოლოდ ასე მოიხსენიებდნენ: "ის ინგლისელი მსახიობი, ბრედ პიტი რომ დაითრია". ის, რომ თავად გვინეტის "დათრევა" უფრო სერიოზული საქმე იყო, მხოლოდ ამ რომანის დასრულების შემდეგ გახდა ნათელი. გვინეტი წლების განმავლობაში ზრუნავდა თავის კარიერაზე, და ახლა დამსახურებულ ნაყოფებს იმკის.

გვინეტ პელტროუ ლოს ანჟელესში დაიბადა, ანუ ინგლისელი არაა. მამამისი პროდიუსერი და რეჟისორი ბრიუს პელტროუ იყო, დედა – მსახიობი ბლაით დენერი. როდესაც ოჯახი საცხოვრებლად ნიუ იორკში გადავიდა, გვინეტი თეატრში უფრო ხშირად დადიოდა, ვიდრე სკოლაში, ვილიამსთაუნის თეატრში თავადაც თამაშობდა, თან საკმაო წარმატებით.

შესაბამისად, სკოლის დამთავრების შემდეგ გვინეტს უნივერსიტეტში ჩაბარება არ უნდოდა, მაგრამ ოჯახის მეგობარმა, მაიკლ დუგლასმა, მას სანტა ბარბარას უნივერსიტეტში, ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე სწავლა დაუფინანსა. ერთი ხანი გოგონა მართლა ეცადა, კარგი სტუდენტი ყოფილიყო, სანამ არ მიხვდა, რომ მისი მოწოდება მსახიობობაა და უნივერსიტეტში ტანჯვის გარდა არაფერს აკეთებს. მშობლები ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ გვინეტი უნივერსიტეტიდან წამოვიდა.

პირველად გვინეტი ფილმში Shout გადაიღეს, ჯონ ტრავოლტასთან ერთად. შემდეგ სტივენ სპილბერგმა, ასევე ოჯახის მეგობარმა, მას ვენდის როლი მისცა ფილმში „კაუჭი".

ამის შემდეგ გვინეტს სულ იღებდნენ და კინოკრიტიკოსებიც არ ინანებდნენ ქება-დიდებას.

1995 წელს, ფილმ "შვიდის" შემდეგ, გვინეტის შესახებ მთელი მსოფლიო ალაპარაკდა: გადაღებების დროს ბრედ პიტს დიდი სიყვარული ეწვია და ამ სიყვარულის ობიექტი ნახევრად უცნობი, რატომღაც ინგლისელი მსახიობი იყო.

"ყველაზე სექსუალური მამაკაცის" საოცნებო ქალის სტატუსი გვინეტმა 1997 წლამდე შეინარჩუნა, მაგრამ ეს მოკლე ვადაც კი საკმარისი აღმოჩნდა მისთვის – ჟურნალისტები სულ ტყუილად ქირქილებდნენ, გვინეტმა "აკრიფა და შორს წავიდა".

ყოველთვის ელეგანტური და კინოსამყაროსთვის უჩვეულოდ ბუნებრივი გვინეტ პელტროუ სუპერვარსკვლავი გახდა, და მას ხშირად კეტრინ ჰეპბერნსაც კი ადარებენ. "შეყვარებული შექსპირისთვის" მან საუკეთესო მსახიობის წოდება და "ოსკარი" დაიმსახურა.

## სკანდინავიური კროსვორდი



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

**წამალი "სალხინო"**

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში